



K 24779  
2

ბარების ბაზოვი  
მცხათის კუჩის  
რასენები

- 93 -

206004 6114030


K24.7x9  
2

გელათის ქარის

აკადემიუმი

1868.

-K-6469  
2



საქართველოს ცენტრალური ბიბლიოთეკი

---

სახელგამის 1-ლი სტამბა.  
შეკვ. 804. მთავარ. 1133.  
ტირაჟი 4100.

---



11288 176d 3. A

ნაჭილი პირველი

## „მა ნიშტანა“

### I.

რელიგიურობა მაღაზიაში წასვლის დრო.

რელიგიური კაკიაშვილმა იცოდა, რომ იმ დღეს დიდი ვაჭრობა უნდა ჰქონოდა. წინა ღამით კი მისი ნოქარი გაეგრძა ბათომისაკენ სავაჭრო საქმეების მოსავარებლად.

“ უმ მაღაზიაში დასახმარებლად წაეყვანა ერთ-ევილი, მაგრამ რომელი?

რელიგიურმა უკმაყოფილოდ გადაისვა ხელი თავის პატ-რიარქალურ წევეზე. ერთ ხანს ჩაუფიქრდა იმ გარემოებას, რომ მისი შვილები არ ჰგვანდენ ერთმანეთს. სამივენი შილიოდენ თავიანთი გზებით. მაგრამ ამ წუთში არ იყო ამაზე ფიქრისათვის საჭირო პირობები. მაღაზიის თავის დროზე გაღება — ეს იყო პირველ რიგში.

საკითხი თავის თავად გადაიჭრა.

უფროსი შვილი, ლვთის მორწმუნე არონი — ავად იყო.

მეორე შვილი, ხულიგანი ისაკი — ჩვეულებრივად ციხეში იჯდა.

უნცროსი შვილი, გიმნაზიელი ლევი — მეტის მეტად ცნობისმოყვარე იყო.

არ მოსწონდა მოხუც მშობელს თავის უნცროსი შვილი, მაგრამ სხვა გზა არ იყო. ლევი — უნდა წაჰყოლოდა თავის მამას.

ლევის უცდებოდა ერთი დღე გიმნაზიაში, გადახედა  
მწუხარედ თავის წიგნებს და ხმის ამოულებლად გაჰყვა  
თავის მამას.

ლევი ჯერ კიდევ თექვსმეტი წლისა იყო, მაგრამ  
რეუბენის ოჯახში ყველანი ჰგრძნობდენ, რომ მამასა და  
შვილს შორის ძალიან ცოტა იყო საერთო. ლევის დედაც,  
გულკეთილი სარა — ბევრჯელ ეცადა ლევის ხასიათის გა-  
ძოსწორებას, მაგრამ ამაოდ. ბავშვი განსაკუთრებული  
სიცოცხლე სდულდა, მის ნორჩი გონებას ბევრი საკითხები  
აწუხებდა, არ შეეძლო შეგუებოდა რაიმე უცოდინარო-  
ბას, ყველას ეკითხებოდა, ეჯავრებოდა გადაუჭრელი სა-  
კითხები და მხოლოდ ამომწურავი პასუხი შეადგენდა მისი  
პატარა არსების სიხარულს.

ამავე დროს ლევიმ კარგად იცოდა როგორი მკ-  
იყო მისი მამა. მის შუბლზე ყოველთვის არჩევდა ფ-  
ფილების ხაზებს, რომლებიც ჩნდებოდენ მაშინ, ლ-  
ლევი დაიწყებდა „ზედმეტიანობას“, ლევიც ცდილობდ.  
თავი შეეკავებინა, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებდა.  
დღესაც ლევი გადასცდა „საზღვარს“, მაგრამ ლევის მაინც  
არ ესმოდა რა უნდოდათ მისგან, რას ერჩოდენ. ლევი  
შეოლოდ სიმართლის გაგება უნდოდა. ლევი სიმართლის  
მხარეზეა. ლევის უყვარს თავისი ღარიბი ამხანაგი ნეთა-  
ნელი და რა გასაკეირია, როდესაც ნეთანელის მამა შევიდა  
მათ მაღაზიაში „სავაჭროდ“, — თუ მაშინ მოხდა ყოველი-  
ვე ის, რამაც ასე ძლიერ ააღელვა მოხუცი რეუბენი?

\* \* \*

ლევი დახლის უკან იდგა და ღარიბ მუშტარს თვა-  
ლებში შესცეროდა, რომელიც მის მამას დაუინებით  
სთხოვდა ნარმაზე ფასის დაკლებას.

— ძია რეუბენ! ნუ ხარ ასეთი უინიანი. რაღაც ოცი

არშინი ნარმა მინდა. ნუ წამიყვან სხვასთან. უნდა წავიღო  
სოფელში და არშინზე ორი კაპეიკი თუ მოვიგე ბედნიერი  
კაცი ვიქნები. ცოლშვილს მიუტან სახარჯოს.

— ისრაელი არ ხარ, კაცო? უნდა წახვიდე ახლა და  
ქაფარ<sup>1)</sup> ვანოსთან იყიდო, რომ გეუბნები, დამიჯერე.  
თავნად გაძლევ. სტამბოლში გადავიხადე არშინზე ათი  
შაური. ვერა ხედავ სამი სეა. — რეუბენმა გადმოაბრუნა  
ნაჭერი და აჩვენა. ზედ ლურჯი საღებავით დაბეჭდილი  
იყო სამი ასო: ც ც ც.

— ასეთი ნარმა, ძია რეუბენ, ყველგან ცხრა შაურია.

— წადი და ის ცხრაშაურიანი იყიდე! შენ რა კაცი  
ყოფილხარ? ის ბრაკი საქონელია, ორ დღეში ლპება. ჩემი  
ერთი არშინი სჯობია სხვის თცდაათ არშინს. წაიღე, და-  
მიჯერე, თორემ ესეც გაიყიდება და დარჩები ცარიელი.

— ათი შაურის გადახდა არ შემიძლია. საშინაოდ  
ხომ არ ვყიდულობ. ნეთანელს წიგნები უნდა უყიდო და  
თუ არ მოვიგე — რა შავი ქვა მივსცე.

— მამა, მასწავლებელმა მე და ნეთანელს ფიზიკაში  
ერთნაირი წიგნები გამოგვიცხადა. მე რამდენი ხანია ვი-  
ყიდე. ნეთანელმა კი ვერ იყიდა. ყოველდღე სტირის სკო-  
ლაში, მასწავლებელი აგდებს გარედ, სიცივეში. დაუკე-  
ლი მამილო, მიეცი ორაბაზად.

ლარიბმა ისრაელმა მადლიერი თვალებით გადახედა  
პატარა ლევის, მაგრამ რეუბენმა კი ისეთი შეუბლვირა,  
რომ ლევი იძულებული გახდა ხმა ჩაეკმინდა.

— ისრაელო, მთელი ქუთაისი რომ შემოიარო, შენი  
ცოლშვილი არ მომიკვდეს და ჩემი ცოლშვილი, ასეთი  
საქონელი ვერ იშოვო. დილის სიფთაა და გიხათრებ. ორი  
კაპიკი დამიკლია. ვნახოთ, როგორი ხელისა ხარ.

<sup>1)</sup> ქაფარი — უცხო ერის შვილი.

— შე ყოველთვის კარგი ხელისა ვარ, მაგრამ ცხრა  
შაურზე მეტს ვერ მოგცემ.

— კარგად იყავი.

— შენც კარგად იყავი. — და ისრაელმა დააპირა გა-  
მობრუნება.

— მოიცა კაცო, რას მირბიხარ, არ გინდა გამისაღო?

კიდევ ცოტა ხანი ივაჭრეს და ოცი არშინი ნარმა გა-  
დაიჭრა ცხრა შაურის ანგარიშზე.

ისრაელი ცოტა ხნის გასული იყო და მამა მოუბრუნ-  
და თავის შეილს, მაგრამ ვიდრე ლაპარაკს დაიწყებდა,  
შაღაზიაში შემოვიდა მეზობელი ვაჭარი ვანო ხარაზაშვი-  
ლი, რომელსაც ემჩნეოდა, რომ ძალიან ეჩქარებოდა.

— რეუბენ! ხუთასი არშინი ნარმა მჭირდება.

— წაიღე, ძხოლოდ ვანჯვან, არ გეწყინოს, შვიდ  
შაურზე ნაკლებ ვერ მოგცემ, ნარმაზე დიდი მოთხოვნი-  
ლებაა და არშინობით ათშაურადაც ვყიდი.

— ახლა კი ნამდვილი ურია ხარ. რას მევაჭრები კა-  
ცო. ექვს შაურზე ერთ კაპეიკსაც არ მოგიმატებ. გინდა  
მოშეცი, გინდა არა.

რეუბენმა დასთმო და ვანოც კმაყოფილი გავიდა. ლე-  
ვის სახეზე ცვლილება დაეტყო; ნელის ნაბიჯით მიუახ-  
ლოვდა მამას და შეეკითხა:

— მამა, როგორა გაქვს ეს ნარმა სტამბოლში ნაყიდა?

რეუბენმა გაუწოდა ანგარიშის ქაღალდი, მაგრამ ამან  
სრულიადაც არ დააკმაყოფილა. რაღაც აწუხებდა და  
სურდა საქმე გაეგო ბოლომდე.

— აქ სწერია, რომ არშინში გადაგიხდია 28 კაპეიკი.  
გზის ხარჯიც რომ ორი კაპეიკი ვიანგარიშოთ, მაშინ ჩანს,  
რომ ვანოს თავნად მიეცი.

როცა ლევი საკითხს უდგებოდა კომერციული თვალ-  
საზრისით, რეუბენი მაშინ მეტად კმაყოფილი იყო, მის

სახეზე ლიმილი ჩნდებოდა და სიამოვნებით უხსნიდა ლევის  
საქმის ვითარებას.

— იცი შვილო, ვანო გამოსადეგი პირია, მე მისგა-  
ნაც ხშირად ესარგებლობ, ის მეტის მეტად მდიდარი კა-  
ცია და ვაჭარი ხალხის წესი ასეთია: ერთმანეთში ასეთ  
წერილმანზე ანგარიშები არ გვაქვს.

— მე კი შენს ადგილზე რომ ვყოფილიყავი, ვანოს  
პანლურის ცემით გავაგდებდი. იმნაირად სთქვა — „ნამ-  
დგილი ურია ხარო“, რომ კინალამ ბრაზმა დამახრჩო.

— სთქვას, მერე რა, ვანა თქმით რამეს დამაკლებს?

— დღეს თქმით ერ დაგაკლებს, მაგრამ ოდესმე საქ-  
მით კი დაგაკლებს.

— ლევი! შენ ჯერ კიდევ პატარა ხარ და ასე ლაპა-  
რაკი არ არის ქარგი. შენ კიდევ კითხულობ იმ უსამართ-  
ლო წიგნებს, რომლებმაც გამოიღილაყეს ტვინი.

— შემცდარი ხარ, მამაჩემო. მე შეიძლება ჯერ კიდევ  
პატარა ვიყო, მაგრამ ბევრი რამ მესმის. ხეალ-ჭეებ ხომ  
დიდი ვიქნები. რატომ მოგდის გული ჩემს წიგნებზე? იქ  
უსამართლო ამბები სულაც არ სწერია. იქ ყველაფერი  
სიმართლეა, მაგრამ, თუ არ გამიწყრები, მე მინდა გით-  
ხრა... რომ დიდი უსამართლობა სწორედ დღეს ვნახე.  
რაბი<sup>1)</sup> ყოველდღე გვეუბნება, რომ ტყუილის მთქმელი  
ღმერთს ეჯავრებაო. შენც ამას მასწავლიდი. მითხარი,  
გული ნუ მოგდის ჩემზე, ეჯავრება თუ არა ღმერთს  
ტყუილის მთქმელი?

რეუბენის შუბლი შეიკუმშა; ის ჰეგავდა ზეცას, რო-  
მელიც თანდათან იღრუბლებოდა და ემზადებოდა ძლიე-  
რი ქუხილისათვის. მაგრამ ჯერ კიდევ თავს იკავებდა და  
წყნარად უპასუხებდა.

<sup>1)</sup> რაბი — მოძლვარი, მასწავლებელი.

— ღმერთს, რასაკვირველია ეჯავრება ტყუილის  
მთქმელი. რამდენჯელ მითქვამს შენთვის. ეს უნდა გცოდ-  
ნოდა ამდენ ხანსაც.

— მაშ ღმერთს... შენც ეჯავრები!

— რისთვის შეილო? — შეეკითხა ნაძალადევი თავშე-  
კავებით.

— იმისთვის, რომ შენ მოატყუე ნეთანელის მამა. შენ  
იმას შიპიდე ნარმა ცხრა შაურად. შენ შეფიცე იმას, რომ  
ცხრა შაური გილირდა, შენ კი გიყიდია ოცდარეა კაპეიკად.

— აი შეილი, აი ვაჭარი! — ამ სიტყვებით მივარდა  
ლევის და დაუწყო ცემა! — ღმერთო, ღმერთო, ეს რა  
ურჯულო შეილი მეზრდება.

— მე ვარ ურჯულო? — ტირილით მიუგო ლევიმ —  
მე როცა ლევანთან დავდივარ სულ მიჯავრდები: ვიღაც  
ამოთრეულ ქრისტიანთან დადიხარო. შენ კი იმ უსვინდი-  
სო ვანოს ისე იაფად აძლევ საქონელს. ის გლანძლავს, გა-  
გინებს, პირში „ურიას“ გიძახის, გარედ ვინ იცის რას სჩა-  
დის და მაინც ამნაირ ქრისტიანთან კავშირი გაქვს. ჩემი  
და ნეთანელის ამხანაგი ლევანი კი არასოდეს არ გვეძახის  
ურიას, პირიქით ის ყველას ეჩხუბება ჩვენი გულისთვის.  
ნეთანელი ლარიბია და ლევანი არავის არ აძლევს იმის  
დაძლევის უფლებას. შენ კი, საწყალ ნეთანელის მამას  
ნარმა მიპირდე სამი შაურით უფრო ძვირად, ვიდრე მდი-  
დარ და უსვინდისო ვანოს. მე წავალ და ამას ნეთანელ  
ვეტყვი.

— ნეთანელს ვეტყვიო? — ამ სიტყვებთან ერთად  
რეუბენი აინთო, თვალებიდან ცეცხლს ჰყრიდა, მივარდა  
ლევის და ერთხელ კიდევ გაავარჯიშა თავისი ხელები  
ლევის მხრებზე და სახეზე. — წადი და უთხარი შენს წი-  
ტიან ნეთანელს! წადი და ესეც უთხარი, რომ მამა ჩემმა  
მაგრად მიმბეგვა-თქო. ოოჭ, დაიწვა ის წუთი, როდესაც  
მე შენ სკოლაში მიგაბარე! დაიწვა ის სკოლაც, საღაც

თქვენ დადიხართ, თუ იქ ასეთ უზრდელობას გასწავლიან, თუ იქ ასე გაპირუტყვებენ. განა შენი რაბი ტყუილს მეუბნებოდა, რომ არ შეცდე, შვილი სკოლაში არ მიაბაროთ? შენ უნდა იჯდე ციხეში — შენ! ვაი საცოტავი ისაკი! იმას ღმერთი მაინც სწამს, იმას ვაჭრობა მაინც შეუძლია, იმას შშობლების პატივისცემა მაინც აქვს. რა უჭირდა ისაკს, რომ ცოტა ღვინის სმა არ ყვარებოდა? ან და ჩემი უფროსი საყვარელი არონი — ღვთის მორწმუნე და მოშიშე, თალმუდისა და თორის მცოდნე — უნდა იწვეს ავადმყოფი და შენ უნდა გიცქირო იმის მაგიერ? ვიცი, ვიცი, რაც გამოვა ბოლოს შენგან. შენისთანა შვილი — ყველა უბედურებაზე უფრო საშინელია. შენ იზრდები ნამდვილი აფიკოროსი<sup>1)</sup>). წადი ამ წუთში ხალხში, ჩაუჯეჭი თორას და აღარ გაბედო სკოლაში წასლვა. მაღაზიაცი კი აღარ დავინახო შენი წყეული სახე. გესმის? გამეცალე აქედან საჩქაროდ!

ბრაზით აღსავსე რეუბენი გაჩქარებული მიდი-მოდიოდა მაღაზიაში. ხოლო ლევი კი ჩაჩუმდა, ხმის ამოუღებლივ გამოვიდა, ღრმად იმოიოხრა და სახლისაკენ გაემართა. გარედ გულზე მოეშვა, მაგრამ სახიდან მაინც ჩამოსდიოდა ცრემლები.

## II.

1920 წელი გადადიოდა ისტორიის არქივში.

ორ-ჟამ დღეში უნდა დაწყებულიყო ახალი წელი და არავინ იცოდა ვის რას უქადდა იგი. ერთი შეხედვით კი, ყველაფერი ჩვეულებრივად მიმდინარეობდა: დღისით ბირჟაზე გაისმოდა ლირებისა და დოლარების ორომტრიალი, საღამოს კი საზოგადოების „წარჩინებულნი“ დროს ატა-

<sup>1)</sup> აფიკოროსი — ათეიისტი, ურწმუნო.

რებდენ თეატრებში და გასართობებში. სამხედრო პირებიც — იშვიათი მოვლენა აღარ იყო და თანდათან აივსო ქალაქი. კავერკოტები და შევიოტები, აბრეშუმის „ვიქტორია“ ჩულქები და საზღვარგარეთული სხვადასხვა გვარი „დოვლათი“ — აი მთელი შინაარსი და მიზანი ამდროინდელ ბურჯუაზისა, რომელსაც ბათომისა და კონსტანტინოპოლის მეტი აღარაფერი სწამდა.

სიმდიდრე, ფულუნება და განცხრომა — ასეთი იყო ერთი შეხედვით ზედაპირი, მაგრამ სიღრმე კი სხვა შრანაარსს შეიცავდა.

ამ ხანებში ერთ-ერთ საღამოს ქალაქის თეატრში მიღიოდა ია ეკალაძის პიესა „№ 21 +“. თეატრი სავსე იყო ჩასუქებული ხალხით, რომელიც ყოველი მოქმედების დასრულების შემდეგ ტაშს უკრავდა და „ვაშას“ გაჰქიოდა. უფრო სადათ ჩაცმულნი მოსჩანდენ „გალიორკაზე“, რომლებიც ტაშის კვრაში არ ჩამოუვარდებოდენ პარტერის ხალხს. მაგრამ მიუხედავად ამისა, დაკვირვებული თვალი გაარჩევდა, რომ „გალიორკაზე“ ერთსულოვნობა არ არსებობდა.

თეატრის გარედ კი ფუსფუსობდენ ბავშები და ახალგაზრდები, რომლებმაც ეერ მოახერხეს უბილეთობის გამო თეატრში შესვლა და მიუხედავად ზამთრის სიცივისა, მაინც იდგენ ქუჩაში, თეატრის წინ და ჩვეულებრივად ირთობდენ თავს. ცოტა მოშორებით ტელეგრაფის ბოძთან იდგა ერთი ახალაგაზრდა, დაახლოებით 15-16 წლისა და ხელში ეჭირა გასაყიდელი შნუროვები. ეცვა შავი სატინის ბლუზა, დახეული ჩუსტები და სიცივით კანკალებდა. იგი იდგა მორიდებული და ჰქონდა შეშინებული თვალები. ელოდა იმ წუთს, როდესაც ხალხი გამოვიდოდა თეატრიდან. იქნებ ვისმეს გაესალებინა მისთვის „საქონელი“. მაგრამ იგი მარტო ამაზე არ ჰქონდა. ის მთელი სულით და გულით თეატრში იყო. სურდა, რომ მასაც მოესმინა

ეს პიესა. რატომ არა აქვს მას ამის საშუალება? რატომ უნდა იდგეს ამ სიცივეში და კანკალებდეს? რატომ არ შეიძლებოდა ჰქონოდა მას თუნდაც ფეხზე დასადგომი ბილეთი „გალიორკაზე“? მას აინტერესებდა განსაკუთრებით ეს პიესა...

მისი ფიქრები შესწყვიტა ისევ ტაშის გრიალმა. დას-რულდა წარმოდგენა. ხალხი გამოვიდა გარედ. გაისმოდა სიცილ-კისკისი. ახალგაზრდა გაექანა ხალხში და მორთო ძახილი:

— იყიდეთ, ბატონო, კაი შნურკები, იაფალ!

ვიღამაც ხელი ჰქონა და ქვაფენილის მეორე მხარეს გადააგდო.

— რა დროს შნურკებია, ურია, ამ შუალამეში. რას მებლანდები ფეხებში.

ახალგაზრდამ მოიწმინდა ცრემლები და გადავიდა შარჯვნით. მის წინ მიდიოდა თბილ პალტოში გამოწყობილი ახალგაზრდა და მას გაეკიდა.

— ბატონო, ბატონო, იყიდე შნურკები. იაფალ მოგცემ...

პალტოიანი ახალგაზრდა მობრუნდა და გაშეშდა.

— ნეთანელ!

— ლევან!

ჩამოვარდა სიჩუმე. ჰერი შეიკუმშა და სუნთქვა აღარ შეიძლებოდა. ვერც ერთს ვერ შეეხედა ერთმანეთისათვას თვალებში. ინსტიქტიურად იდგენ გაყინულ ქვაფენილზე. მოისმოდა გახშირებული გულის ცემა. ბოლოს სიჩუმე ისევ ნეთანელმა დაარღვია.

— იცი ლევან, ვერ გიცანი. ახალი პალტო ჩაგიცვამს და სხვა მეგონე.

— ჰო, როგორც იქნა შევიქერე. შენ კი ისევ ცუდათ დაღიხარ. რატომ დადიხარ ამ ყინვაში ასეთ ტანისამო-

სით, ისიც შუალამისას. ხომ იცი, რომ გაცივდები. თავს უნდა მოუარო, ნეთანელ.

— რა ვქნა ლევან, მამა ჩემი ღარიბი კაცია. ხვალ დილით მიღის რაჭაში, იქნება ორი კაპიკი მოიგოს. ვანოს მიუცია მისთვის ნისიათ ორმოცი არშინი სატინა. ის ჩამოვა ფურმისათვის<sup>1)</sup>, მანამდე კი ჩვენს დიდ ოჯახს არსებობა უნდა. მე კიდევ ფიზიკის წიგნი ჯერაც ვერ ვიყიდე. ხომ იცი, მასწავლებელი გადამექიდა, უწიგნოთ ჩემს გაჭვე-თილზე არ შემოხვიდეო.

— ფიზიკას მე გათხოვებ ამ კვირაში. მე და ლევი ვი-მეცადინებთ ერთი წიგნით. მაგრამ მე მაინც მიკვირს: გა-კვეთილებს როდის სწავლობ ხოლმე? დღისით ხომ სკო-ლაში ხარ, საღამოთი ამ შნუროვებს უნდები...

— გაკვეთილებს?.. გაკვეთილებს? ვსწავლობ ხოლ-მე... მაშინ... როცა თენდება... გათენებისას... როცა გა-თენდება... .

ჩაჩუმდენ და ისევ ფიქრებში გაერთენ. ბოლოს ისევ ნე-თანელმა ჰქითხა:

— კარგი პიესა იყო?

— პიესა... ჰო, არა უშაგს, მაგრამ მე მაინც უკმაყო-ფილო ვარ. იცი ნეთანელ, მე რამდენი ვიწვალე, ვიდრე ვიშოვე ფული „გალიორკაზე“ ბილეთის საყიდლად. მე ძალიან ენატრობდი, რომ შენ და ლევი ყოფილიყვით ამა-ლამ. ეს პიესა რევოლიუციონური პიესაა, მაგრამ წინასწარ აღებული აზრით და მიღომითაა დაწერილი. აქ გამოყვა-ნილია ერთი ებრაელი სტუდენტი ლეონ ბერგი, რომელიც რევოლიუციონერებთან მუშაობს და შემდეგ კი აღმოჩნდე-ბა მოლალატე და ქანდარმერის ჯაშუში. იცი ნეთანელ, მე ისეთი ბრაზი მომივიდა ავტორზე, რომ ვერ აგიწერ. გა-ნა იმან არ იცის, რომ რუსეთის ებრაელობამ რევოლუ-

<sup>1)</sup> ფურიმი — ებრ. დღესასწაული.

ციას მისცა საუკეთესო რევოლუციონერები? მაშინ რატომ გამოჰყავს ებრაელები მოღალატეებად?

— სამწუხარო ის არის, ლევან, რომ როდესაც პიესაში გამოყვანილია ასეთი ტიპი და მას ეწოდება ებრაელი — მასას ჰებრეი, რომ ეს ტიპიური მოვლენაა. როდესაც მოღალატეა ვინმე ივანე — მასა ამბობს, რომ ივანეა მოღალატე, ხოლო როდესაც აბრამია მოღალატე, ან მოშე — მაშინ მასა მოღალატეს ვი არ უწოდებს თავის ნამდვილ სახელს, არამედ ამბობს, რომ ებრაელია მოღალატე. და ამაზე საშინელი არაფერია, უმტკიცო ვიღაც „ურწმუნო თომას“, რომ ორჯერ ორი — ოთხია!.. მაგრამ კმარა. ხვალ დილით შეხვდებით სკოლაში. მამაჩემი დილით აღრე მიღის და საჭიროა სახლში დავბრუნდე. დღეს ვერაფერი გავყიდე. იქნებ ხვალ მაინც რამე გაეკეთო. ღამე მშვიდობის, ლევან. ფიზიკის წიგნი არ დაგავიწყდეს მომიტანო ხვალ სკოლაში...

— ღამე მშვიდობის, ნეთანელ! არ დამივიწყდება...

\* \* \*

\*

ათასი ფიქრები ირეოდა ნეთანელის თაქში:

„ლევანი ხვალ ფიზიკას მომიტანს... დილაზე აღრე მამა უნდა გავისტუმრო... იგი მოიგებს ბევრ ფულს... შემდეგ სასწავლებელს დაგასრულებ... მე დიდი გავხდები... ვიშოვი სამსახურს... დავეხმარები ჩემსავით ღარიბებს... ებრაელ ახალგაზრდებს მოუწოდებ სწავლისაკენ... ლევი, მე და ლევანი დავაარსებთ სამკითხველოს... ვნახავ ეკალაძის პიესას... ამ დროს მე მწერალი ვიქნები... დავწერ წერილს, რომ ეს პიესა უნდა გადაკეთდეს, რომ ეს დიდი უსამართლობაა... რომ ებრაელები არ არიან მოღალატეები, რომ პირიქით... ეს ხალხია დევნილი ხალხი... მე დავწერ სხვა პიესას... სულ სხვა პიესას“...

როდესაც ფეხი შედგა ჩაბნელებულ გელათის ქუჩაზე,  
უნებურად შეჩერდა და ქუჩას თვალი გადაავლო:

„ნეტავ თუ ოდესმე განათება ეს ქუჩა?.. ვინ გაანა-  
თებს მას?... რა გაანათებს მას?.. ან კი საჭიროა მისი გა-  
ნათება?.. ვისოდეს იყო საჭირო, რომ ყველა ებრაელისა-  
თვის თავი მოეყარათ უსათუოდ ამ ქუჩაზე?.. რამდენი  
უსამართლობაა ამ ქუჩის არსებობაში?.. ვინ მიაწება ეს  
სახლები ერთმანეთს?.. ეს საცოდავი ქოხმახები და რეუ-  
ბენ კაკიაშვილის მდიდრული სახლები... თითქოს რალა-  
ცის ეშინია ამ ხალხს... ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში  
აიმედებენ თავიანთ თავს... მაგრამ რა საერთო აქვთ რეუ-  
ბენ კაკიაშვილს და თუნდაც მამაჩემს, ისრაელ შიმშილა-  
შვილს?.. მხოლოდ ის რომ ცხოვრობენ ერთ ქუჩაზე...  
ერთი მდიდრულად, ოთხმოცდაცხრამეტი ლარიბულად.  
ცეცხლი რომ გაჩნდეს რეუბენ კაკიაშვილი გადავა სხვა  
ქუჩაზე... მაგრამ რას იზამს მამაჩემი?.. რას იზამს სხვა  
ხალხი?.. ვინ დაეხმარება მათ?.. ჯერჯერობით კი არავინ  
ჰილიქობს ამაზე... არავინ... რელიგიით გაუბრუეს ხალხს  
თავი და კუჭი საჭმელის მაგიერ გაუგვეს ათასი სულელუ-  
რი ჩრდილით და დოგმატებით“.

ქუჩის ბოლოში მას გაახსენდა, რომ მისი კუჭიც ცა-  
რიელი იყო, მრისხანედ გადახედა მდუმარე ქუჩას და  
საბოლოოდ განსაზღვრა:

„გელათის ქუჩა — ეს არის სათავე ჩვენი ხალხის კუ-  
ველგვარი უბედურებისა“.

ამ ფიქრებით იგი მიუახლოვდა თავისი მშობლების  
პატარა ქოხს. იგი განათებული იყო პატარა შუშის სანა-  
თით. სახლში ყველა მღვიძარე იყო და შემოსხდომოდენ  
კედლის ღუმელს. იატაკი ქვისა იყო და ძველი ხალიჩით  
დაფარული. ისრაელი იჯდა დაბალ სკამზე, მის ახლოს  
მისი მეუღლე რიბკა და ექვსი პატარა შვილები — ნეთა-  
ნელზე უნცროსები. ნეთანელის შემოსვლა სუყველას გაე-

ხარდა. საკვირველი ოჯანი, იყო. ცხოვრობდენ სიღატაკით და სიმშილით, მაგრამ სახლში სუფევდა განსაკუთრებული მზრუნველობა და სიყვარული ურთიერთისადმი. ნეთანელის მამამ, ისრაელმა, შემოსვლისთანავე შეატყო, რომ შეილს არაფერი არ უფაშრია, ცოტა ხანს თავი მოიფხანა და უთხრა:

— მოდი ნეთანელ, გენაცვალე, ჩემო იმედო, აგერ დაჯექი, გათბი, შენ მალე გაათავებ გიმნაზიას, მიგიღებენ სამსახურში და კაცი გახდები. მანამდე რა ვუყოთ შვილო, უნდა ვიწვალოთ, ცხოვრება იოლად არ შეიძლება. ჩუ იჯავრებ, მე ხუთი მანეთი მივეცი დედას. ამ კვირაში როგორმე იცხოვრებთ. იმ კვირაში ფურიმია, ჩამოვალ და ჩამოვიტან მონაგებ ფულს. მართალია განომ ძვირად მომყიდა სატინა, მაგრამ როგორმე გავასაღებ. ტყიბულიდან ონამდე ფეხით წავალ. ცხენში ფული არასოდეს არ დამიხარჯია; კიდევ კარგი, რომ შეჩვეული ვარ. ამას იმ დროიდან, როცა რაჭაში ეცხოვრობდი. ნაქერალას მთა და გელათის ქუჩა ჩემთვის ერთი და იგივეა.

— მე კი ვისწავლი, მამაჩემო. ლევანი ხვალ ფიზიკას მათხოვებს ერთი კვირით. დავისრულებ სასწავლებელს, გამოვნახავ ახალ გზას, მივანებებთ თავს ამ წყეულს ვაჭრობას, და ვიცხოვრებთ პატიოსნად.

ისრაელი აღტაცებით მოეხვია თავის შვილს და აკოცა შუბლში. შემდეგ რიბკამაც აკოცა. პატარა ბავშები, როცა დაინახავდენ მამის ასეთ კარგ განწყობილებას, შეანტებოდენ მას მუხლებზე და ეალერსებოდენ.

— მე რას მომიტან მამილო?

— შენ... სულუგუნს.

— მე?

— შენ... მუჯლუგუნს.

და გულიანად იცინოდენ.

— მე რას მომიტან მამილო? — შეეკიოხა მესამე.

— შენ... კალმახს.

— მე? — შეეკითხა მეოთხე.

— შენ... მათრახს.

და ისევ გულიანად გადაიხარხარეს.

ყველაზე პატარა ბავშვებს კი უკვე ჩასძინებოდათ დედის კალთაში. თენდებოდა და ისრაელიც უნდა გასულიყო სადგურზე. ჩაიცვა თავისი ახალი ქალაპნები, გადაიგდო მხარზე ხურჯინი, გადაეხვია ყველას სათითაოდ, ჩაჰკოცნა მაგრად და გამოესალმა.

— მშვიდობით, ჩემო გვრიტებო, ჭიკუით იყავით... ფურიში აქა ეარ... ნეთანელ, შენი ჭირიმე, ოჯახს მოუარე... არც სკოლაში გაცდე...

გავიდა ისრაელი და ნეთანელმა ღრმად ამოიოხრა. დაწვა, მაგრამ მის თვალს ძილი არ მოჰკიდებია. მის თავში ირეოდა ათასი ფიქრები. თან უკვე თენდებოდა და უნდა შესდგომოდა გაკვეთილების დამზადებას. მაგრამ ამ განთიადზე ძალიან უხალისოდ იყო. კარგა გათენებამდე არ მოშორებია მის თვალებს: ნაქერალა, მოღალატე ლეონ ბერგი, შნუროკები, ახალი გზა, მისი მეგობრები: ლევი და ლევანი...

მაგრამ არც ლევანს ეძინა ამ დროს. მის ყურებს კიდევ ესმოდა ნეთანელის მწუხარე, სიმბოლიური, ორაზროვანი სიტყვები:

— გაკვეთილებს?.. გაკვეთილებს?.. ესწავლობ ხოლმე... მაშინ... როცა თენდება... გათენებისას... როცა გაოქნდება...

და ლევანი, ჭავჭავაძის ქუჩაზე, თავის ფიცრულ საწოლზე, იმ დილით, როცა ისრაელი მძიმე ბარგით მხარზე მიემართებოდა ქუთაისის სადგურზე — კარგად პგრძნობდა, რომ გარედ თუმცა გათენდა, მაგრამ ნეთანელისათვის ჯერ კიდევ არ გათენებულა, ჯერ კიდევ სიბნელეა.

## III.

დაიწყო მხიარული დღესასწაული „ფურიმი“.

შდიდარი რეუბენის სახლში დიდი მზადება იყო. პირველ საღამოსვე მას ჰყავდა დაპატიჟებული აუარებელი სტუმრები და სახლში ყველა მოუთმენლად მოელოდა დაღამებას. განსაკუთრებით მხიარულ გუნებაზე იყო თვითონ რეუბენი. უფროსი შვილი არონი — თითქმის განიკურნა, პატიმარი ისაკიც გამოშვებული იყო. ლევი ამ ბოლო დროს სულ ჩუმად იყო და მოხუცი მშობელი ამას იმით ხსნიდა, რომ დაიწყო ლევის „დაჭვიანება“. გულკეთილი სარაც წამდაუწუმ დარბოდა ოთახიდან ოთახში და მოსამსახურე ქალებთან ერთად მას შემოჰქონდა ოთახში სხვადასხვაგვარი ტკბილეულობა, ნამცხვარები და მოხდენილი დალაგებდა მათ გრძელ სუფრაზე. ოთახში იდგა შაქრის, ქიშმიშის და ნამცხვარის სუნი.

სასაღილო ოთახში მამაკაცებიდან მარტო ლევი იყო; იგი იჯდა დივანზე, თავი მიეყრდნო კედელზე და კითხულობდა ამ დღესასწაულის ისტორიას. მის გარშემო მოფუსფუსე ქალები და ნამცხვარები მას ნაკლებად აინტერესებდა. სარა მაღლიერი თვალით გადახედავდა ხოლმე თავის უნცროს შვილს და კვლავ აგრძელებდა დიასახლისობას. მაგრამ ერთ მომენტში ვერ მოითმინა დედამ, მიუახლოვდა შვილს და შუბლზე აკოცა..

— რომ იცოდე, ლევი, მამაშენს როგორი კარგი საჩუქარი აქვს შენთვის, მაშინ შენს სიცოცხლეში აღარ გააჯავრებდი მას.

— განა მე იმას ვაჯავრებ? განა მე მინდა, დედიკო, იმის გაჯავრება? შავრიამ ხანდახან რა მეტის-მეტად უსამართლოდ იქცევა?

— გაჩუმდი შვილობის შენი შამა და შენი უფროსია.

უენს გამოსაზრდელიად არაფერს არ იშურებს. ასეთი სიტყვებით არ უნდა მოიხსენიო შენი მშობელი.

— კარგი, დედა. გავჩუმდები, აღარაფერს არ ვიტყვა.

— ჰო ასე, ჩემო უნცროსო, ჩემო კონტა შვილო. მალე სტუმრები მოვლენ და შენ კარგ ხასიათზე უნდა იყო. ასე ცხვირჩამოშვებული როგორ შეიძლება.

— ცხვირაშვებული ხომ გყავთ ისაკი და მეტი რა გინდათ? დათვრება დღეს მავრად, კიდევ ვინმეს აუტებს ჩხუბს და ხელახლა ციხეში უკრავენ თავს. ისაკისთანა გინდა რომ ვიყო?

— შენ კიდევ დაიწყე ლევი, უფროსივით ლაპარაკი. არ არის კარგი. მოემზადე. ტანისამოსი ჩაიცვი. ნახევარ საათში სტუმრებიც მოვლენ. ევტიხი იყო ეხლახანს: ვანო მალე მოვაო.

— ვანოც მოვა? ეს კი დიდი ამბავია, დედაჩემო, რა კარგი იქნებოდა, რომ ნახევარი საათით მაინც უფროსი ვყოფილიყავი, ან ისაკის ხასიათი მჯონოდა.

— რას იზამდი მაშინ?

— რას ვიზამდი და მაგ თქვენ ვანოს მაგრად მივტყებავდი.

— ხა, ხა, ხა! — გულიანად გადიხარხარა სარამ. — საიდან მოგდის თავში ასეთი აზრები? განა შენ მაგისთანა საქშეების ჩადენა შეგიძლია? მერე რა დაგიშავა ეანომ? რა საქმე გაქვს ვანოსთან? მითხარი, გენაცვალე, ლევი.

ლევიმ არაფერი არ უპასუხა. დედამ ერთხელ კიდევ ჩაიკრა გულში და მეორე ოთახში გავიდა. ლევი მიუბრუნდა თავის წიგნს, მაგრამ ვეღარ კითხულობდა. პატარა ოთახიდან ხმაურობა ისმოდა. ნელა გამოაღო პატარა ოთახის კარები და შევიდა. მაგიდასთან იჯდა მისი უფროსი ძმა არონი, გამხდარი, წევერ მოშვებული, თავზე პატარა შავი ჭუდით, ხელში ეჭირა სქელი თაღმუდი და ხმა მაღლა ღიღინებდა:

— „კვერცხი, რომელიც გაჩნდა უქმე დღეს — ბეთშა-  
მაი ამბობს: არ იჭმებაო, ხოლო ბეთილელი კი ამბობს,  
რომ იჭმებაო“.

ლევიმ ველარ მოითმინა და შეაწყვეტინა:

— მერე შენ ვისი მიმდევარი ხარ: ბეთშამაისა რაუ  
ბეთილელისა?

— რასაკვირველია ბეთშამაისა. — და განაგრძო იმავე  
მონოტონური ხმით: — „კვერცხი, რომელიც გაჩნდა უქმე  
დღეს“...

— მოიცა არონ, მე მაინც ვერ გამიგია, რამდენ  
კვერცხს შენ ჰყლაპავ და საიდან იცი, რომელი შაბათ დღეს  
გაჩნდა, რომელი ორშაბათს და კიდევ სხვა, უბრალო  
დღეს?

— დამეკარგე თავიდან და ხელს ნუ მიშლი, პატარა  
აფიკოროსო.

— ეჭ, რა გაეწყობა, წავალ არონ. მაგრამ მე მაინც  
ვერ გავიგე. შენ თუ გესმის, ალბად შენ ყოფილხარ ქათმე-  
ბის უსტაბაში და ჰყარაულობ ხოლმე მათ იმ დროს. მაინც  
საკვირველია. მწვანე ყვავილაზე ბევრი კვერცხი იყიდე-  
ბა, ზედ არ აწერია და ისე, რა ვიცი.

— ლევი, ამ წუთში თუ თავს არ დამანებებ მამას  
დაუძახებ.

ლევი იძულებული გახდა გამოსულიყო ოთახიდან. სა-  
სადილო ოთახში იგი შეხვდა მეორე ძმას ისაკს. იგი მარ-  
ტო მიმჯდარიყო მაგიდასთან და შეექცეოდა სვირის  
ღვინოს.

— ისაკ, ყოჩაღ! ჯერ სტუმრები არ მოსულან და შენ  
უკვე შეუდექი ღვინის სმას. არა გრცხვენია?

— ერთი ვერ უყურებთ ამ ძალლის თავს? ესეც მე  
უნდა მასწავლიდეს ჭკუას, თფუ!

— ეჭ ისაკ, ისაკ. მოდი შევრიგდეთ. სეი რამდენიც  
გინდა. მე არავის არ ვეტყვი. კუზიანს მხოლოდ სამარე

გაასწორებს. შენ მაინც ისე შეუვარებული ხარ ციხეზე,  
რომ ვგრძნობ აქედან პირდაპირ იქ წახვალ.

— მერე რა ცუდია იქ, თუ იცი?

— იქ ხომ ღვინო არაა?

— რა იცი რომ არაა? ციხის უფროსები სულ ჩემთან  
სვამენ ღვინოს. იქ ყველანაირი ღვინო გვაქვს: კახური,  
სვირული, ხვანჭურა...

— აბა ისაკ, ვინაიდან ასე კარგად ცხოვრობ შენი  
ციხის სამოთხეში და იქ წასვლას არ დაიშლი, წასვლამდე  
ერთი თხოვნა შემისრულე.

— მაინც რას ინებებ?

— როცა მაგრად დათვრე და ჭიუა გამოვა შენი ტვინი-  
დან — ერთი მაგრად მიბეგვე ვანო. სინდისს ცფიცავარ ამ  
პატივისცემას არ დაგივიწყებთ მე და ჩემი მეგობრები.

ორივემ გადიხარხარეს და კარგ ხასიათზე დადგენ.  
ისაკს უკვე უნდოდა ვანოს „სადლეგრძელო“ ავანსად შეე-  
სვა, მაგრამ კაბინეტიდან მოისმა რეუბენის ძლიერი ხმა:

— ლევი! შემოდი ჩემთან.

ლევი მოკრძალებით შევიდა მამის ოთახში, სადაც მა-  
მასთან ერთად დაინახა თავის დედაც. ორივეს სახე უბრ-  
წყინავდა.

— მომიახლოედ!

ლევი კიდევ უფრო მოკრძალებით მივიდა.

— აი შვილო, ყური მიგდე. მართალია შენ ბევრჯელ  
გამაჯავრე, ბევრი უსიამოვნო წუთები შემხვდერია შენის  
გამო, მაგრამ მე მგონია, რომ ეს იყო წარსულში. ახლა შენ  
უკვე შედიხარ ახალგაზრდობაში, დროა რომ ჭკუაში ჩა-  
ვარდე. რეუბენის ოჯახზე მტერი არ უნდა გაახარო, დღეს  
ფურიმია. ამ დღის გულისათვის მე შენთვის მიპატივებია  
შენი ძეველი ცოდვები. ამას გარდა მე შენთვის გამოვიწერე  
კონსტანტინოპოლიდან ოქროს საათი, რომელიც მივიღე  
დღეს. აი შვილო, ჩემი საჩუქარი და გაიხარე.

ამ სიტყვებთან ერთად მამამ პატარა ყუთიდან ამოილო  
ოქროს სათი და ლევის გაუკეთა მაჯაზე.

— აკოცე შვილო მამას. — უთხრა სარამ.

ლევი ნაძალადევათ მიუახლოვდა მამას და ხელზე აკო-  
ცა. ძნელი იყო იმის გაგება, რაც ხდებოდა ლევის გულ-  
ში. სახეზე არ დაეტყო არავითარი ცელილება. იგი ამ  
წუთშიაც თავის ამხანაგებზე ფიქრობდა. რეუბენი კი გა-  
ნაგრძობდა დარიგებას.

— აბა შენ იცი შვილო, როგორ მასახელებ. ნეთანე-  
ლისთანა და ლევანისთანა ამხანაგებთან შესწყვეტ კავ-  
შირს. სამაგიეროდ დაუმეგობრდი ვანოს შვილს. დღეში  
სამი ლოცვა ილოცე. მაღაზიაში ვაჭრული წესები შეისწავ-  
ლე. სკოლაში იარე, მხოლოდ გლახაებთან კავშირს ნუ  
დაიჭირ.

ლევის ფერი ეცვალა. ხელოენურად იკავებდა თავს.  
მისჩერებოდა იატაქს და არ იცოდა რა ექნა. ინსტიქტიუ-  
რად დახედა თავის ახალ საათს, რომელიც მეტად ძეირ-  
ფასი და იშვიათი იყო. მაგრამ ამისათვის არ მიუქცევია  
ყურადღება. ციფერბლატი მას უჩვენებდა, რომ დაიწყო  
საღამოს მეცხრე საათი და... უცბად გაახსენდა: მალე უნდა  
გამოვიდეს გაზეთი. ბალის კიდეზე მას უცდიან ლევანი და  
ნეთანელი. რა ჰქნას?..

კიბეებზე გახშირდა ნაბიჯების ხმა. ამოდიოდენ სტუმ-  
რები. რეუბენი გავიდა მათ შესაგებებლად. ოთახში დარ-  
ჩენ. მხოლოდ ლევი და მისი დედა. მოისმოდა სასაღილო  
ოთახიდან: „ვანოს გაუმარჯოს“, „რეუბენს გაუმარჯოს“,  
„მოგვილოცავს მხიარული ფურიმი“ „ფურიმ ბესიმხა“<sup>1)</sup>  
და სხვ...

ლევის მოუსვენრობა დაეტყო და უცბად მიმართა თა-  
ვის დედას.

<sup>1)</sup> „ფურიმი სიხარულით“.

— დედა, ჩემო დედიკო, ხომ არ გინდა ჩემი სიკვ-  
დილი?

— ვაიმე შვილო, რას მექითხები.

— აბა ახლა უნდა გამიშვა, საჩქაროდ.

— სად უნდა წახვიდე შვილო?

— მამას არ უთხრა. შენ კი ვერ მოგატყუებ. მივღივარ  
ჩემს მეგობრებთან: ლევანთან და ნეთანელთან. ერთ საათ-  
ში დავბრუნდები, მე არ დავიგვიანებ.

#### IV.

დანიშნულ დროს ბაღის კიდეზე შეხვდენ მეგობრები.

სახვალიო გაზეთი ჯერ კიდევ სტამბაში იძეპდებოდა  
და მის გამოსვლას აგვიანდებოდა. მეგობრები ყოველთვის  
ერთად კითხულობდენ ერთად-ერთ გაზეთს, რომელიც გა-  
მოდიოდა ამ ქალაქში. ამ საღამოს გაზეთს აგვიანდებოდა,  
მაგრამ მშვენიერი, მოწენდილი საღამო იყო და შედა-  
რებით არც ციოდა. მათ გადასწყვიტეს დაეცადათ გაზე-  
თის გამოსვლისათვის. განსაკუთრებული მოლოდინით  
ელოდენ დღევანდელ გაშეთს, რადგანაც მათ რედაქტორი  
შეჰპირდა, რომ თუ ადგილი იქნებოდა გაუშვებდა სამი  
მეგობრის დაწერილ წერილს. წერილი დაწერილი იყო  
კოლექტიურად და ფსევდონმიც შესდგებოდა მათი სახე-  
ლების დასაწყისიდან: ლ ე-ნ ე-ლ ე. ამ წერილში ისინი  
პირველად გამოდიოდენ ებრაელთა სასულიერო წოდე-  
ბის — რაბინებისა და მათი დამქაშების — კლერიკალების  
წინააღმდეგ; ამ წერილში აშუქებდენ აგრეთვე საქ. ებ-  
რაელთა კულტურულ ჩამორჩენილობას, ებრაელი ქალის  
უმწეო მდგომარეობას და ეხებოდენ მთელ რიგ საყურად-  
ღებო საკითხებს. ახალგაზრდა მეგობრები კარგად ჰერძნო-  
ბდენ, როგორ საპასუხისმგებლო ნაბიჯს სდგამდენ ამით,  
მაგრამ ისინი თავს ინუგეშებდენ იმით, რომ ამოეფარენ  
ფსევდონიმს. თან უნდოდათ წარმოედგინათ ის დიდი გან-

გაში და ალიაქოთი, რომელიც ატყდებოდა გელათის ქუჩე, მხიარული ფურიმის დღეს, მათი წერილის გამოქვეყნების შემდეგ. ბნელეთის რაზმები დაირაზმებოდენ ერთად და ჯოჯონეთის მაშალებით დაუწყებდენ ძებნას წერილის ავტორს!

დეე!

ახალგაზრდა მეგობრებმა კარგად იცოდენ, რომ ისტორიის ბორბლებს თავისი კანონები აქვთ და ისინი მიღიან თავისი გზით. ისინი ოცნებობდენ მხოლოდ იმაზე, რომ გამოჩენილიყო რაიმე ძალა, რომელიც ელექტრონის სისტრაფით დააჩქარებდა ამ ბორბლების აუცილებელ მსვლელობას.

შეგობრებში შეუხვიეს ბაღში და ჩამოჯდენ განაპირა ადგილას მდებარე გრძელ სკამზე. ნეთანელი განსაკუთრებით დალონებული იყო და ლაპარაკის ხასიათი არ ჰქონდა. ერთხანს გამეფებული მდუმარება ლევიმ დაარ-

— რა მოგივიდა ნეთანელ, რატომ ხარ ასეთ ცუდ ფერზე?

— მამაჩემი უნდა ჩამოსულიყო ამ საღამოს. ასე დაიბარა, ფურიმისათვის უსათუოდ დავბრუნდებიო. ნეტავ, ხომ კარგად არის, ჯავრით აღარ ვართ.

— ისრაელი ჭკვიანი კაცია. ალბად რამე საქმე შეხვდა და დარჩა რაჭაში. სხვა დროსაც ასე შვრება ხოლმე — დააწყნარა ლევიმ და შემდეგ დაუმატა:

— ფული ხომ არ გჭირდებათ?

— არა, გმადლობ: ჯერ კიდევ გვაქვს სახარჯო. — ცოტა ხნის შემდეგ ძალა მოიკრიფა და განაგრძო: — მაშ ასე. ხვალ ბევრს ჩაუმწარდებათ ფურიმი. გაბაები<sup>1)</sup> და ხახმები<sup>2)</sup> გერარ იქეითებენ მაღიანად.

<sup>1)</sup> სალოცავის სტაროსტები.

<sup>2)</sup> ებრ. სასულიერო პირები.

— შე მაინც მაინტერესებს გავიგო — სთქვა ლევან-  
მა — რა დღესასწაულია ეს ფურიმი და რის აღსანიშნა-  
ვათ არის იგი დაწესებული.

— ფურიმის ქარგა მარტივია და ჩვეულებრივი —  
დაიწყო ლევიმ: — 386 წლის წინედ ქრისტეს დაბადებამ-  
დე სპარსეთში ცხოვრობდა მეფე არტაქსერქსი, ებრაუ-  
ლად ჰახაშვეროში. მას ჰყოლია მთავარი თავადი ვინჩე  
ჰამანი, რომელსაც განუზრახავს ებრაელი ერის ამოწყვე-  
ტა-განადგურება სპარსეთის სახელმწიფოში და საამისო  
ნიადაგიც მოუმზადებია. გაულეტის დღეთ დანიშნული იყო  
14 ადარი, ებრაული რიცხვით, ე. ი. დღევანდელი დღე,  
მაგრამ განზრახვა ვერ განუხორციელებია, ვინაიდან მეფეს  
უკვარდა ებრაელი შთამომაცლობის ქალი — ესთერი და  
მოექცა მისი გავლენის ქვეშ. ჰამანი კი თავის დაგებულ  
მახეში თვითვე გაბმულა. რასაკვირველია, ხალხის ფანტა-  
ზიასაც შეუმქია ეს თავისებური ლეგენდარული ელფე-  
რით და აღუნიშნავს ეს მოვლენა მხიარული დღესასწაუ-  
ლით. მაინც საკვირველია: რატომ წაეპოტინენ ამ დღე-  
სასწაულს სასულიერო პირები და მისცეს მას რელიგიუ-  
რი ხასიათი, როდესაც აქ ყველაფერი ჩვეულებრივი ამბა-  
ვია და არაფერია მათი საკბილო..

— ფურიმში მოჩანს უმთავრესი დამახასიათებელი ხა-  
ზები დამონებული ხალხის ფსიქოლოგიისა — სთქვა ნე-  
თანელმა. — გასაჭირში ჩაეარღნილი ერი, რომელსაც უპი-  
რებენ გაულეტას და დედამიწის პირიდან აღგვას, თვალ-  
ცრემლიანი შეჰყურებს სხვა მხსნელებს და ქალის სა-  
შუალებით ცდილობს სულელი მეფის გულის მოლბობას  
და სიცოცხლის ჩუქებას. დიახ, აქაც გამარჯვებაა. მაგ-  
რამ გამარჯვება არა დიდად საპატიო და ამამიღლებელი.

— ჰამანმა მორდეხაისა და სხვა ებრაელების ჩამო-  
სახრჩობად გაამზადებინა უზარმაზარი მაღალი ხე — გა-  
ნაგრძო ლევიმ. — ბედის ტრიალმა კი მორდეხაი მოაქცია

სახელმწიფოს სათავეში, რომელმაც იმავე ხეზე ჩამოა-  
ხრიობინა ეს პირველი ანტისემიტი.

— კი კი მგონია, რომ მორდეხაიმ დიდი შეცდომა  
დაუშვა იმით, რომ ისეთი დიდი ანტისემიტი, როგორც  
ჰაშანი ყოფილა, ხეზე დაუკიდია. — ჩაერია ლაპარაკში  
აქადე ჩუმად მყოფი ლევანი. — ეს ხე როგორც ჩანს ძა-  
ლიან განაყოფიერებულა და დაუსხავს ბევრი ანტისემი-  
ტები, რომლებიც ასე მრავალნი არიან ყველა ეპოქაში და  
ყველა სახელმწიფოში.

მეგობრებმა გადინარხარეს.

. — გაზეთის გამოსვლას კვლავ აგვიანდება. — ამბობ-  
და ლევი. — თუ ეს ჩვენი წერილი მართლა დაბეჭდეს, მა-  
შინ მას უნდა მივაყოლოთ მეორე წერილი. უნდა შევატ-  
ყობინოთ მთელ საქართველოს, როგორ მოგვახვიეს თავზე  
სოციალდემოკრატებმა დამთურნებელ კრებაში ხახამი დე-  
ბუტატი, რომელიც პარლამენტში ზის ეგვიპტის მუმია-  
სავით გაჩერებული და მხოლოდ ჩვენს სალოცავშია დიდ  
გულზე და იქ დაიწყებს ხოლმე ლაქლაშს.

— ახალი გაზეთი! ახალი გაზეთი! ახალი გაზეთი!!! —  
უცბად ყველა მხრიდან გაისმა. მეგობრები თვალის დახამ-  
ხამების უმაღ გაჩნდენ ერთ მეგაზეთესთან და იყიდეს ერ-  
თი ექვემპლიარი. წყნარად გაუხვიეს ისევ ბალისაკენ და  
მიყრუებულ ადგილას, სადაც ძლიერი ანათებდა ელნათუ-  
რი, ჩამოჯდენ. მათი წეოილი „დროა გონს მოვიდეთ“  
მოთავსებული იყო თვალსაჩინო ადგილას. რედაქციას გაე-  
კეთებინა შენიშვნა: „საღისკუსიოა“.

— ეშმაქმა წაიღოს იმ რედაქტორის თავი. — გაბრა-  
ზებით წამოიძახა ლევანმა — ჩვენ ვითხოვთ კულტურას  
და შეგნებას, ის კი საღისკუსიოდ აცხადებს ამ ამბავს.  
წაიკითხე ნეთანელ, შენ ყველაზე კარგად კითხულობ ქარ-  
თულ ენაზე, ნეტავ სხვა ხომ არაფერი არ გადაუსწო-  
რებიათ.

ნეთანელმა აიღო გაზეთი და დაიწყო კითხვა. სამივეს  
გული ფანცქალიბდა და სიხარულით იქსებოდა. წერილ..  
დაწერილი იყო ახალგაზრდული ცეცხლით და ტემპერა-  
მენტით. იგი სავსე იყო მხურვალე სიტყვებით და თავდე-  
ბოდა ასე:

„თქვენ კი ჩვენი ცხოვრების ბნელნო ძალნო, გა-  
ნაგრძეთ ეს გველის სისინი, ვიდრე ისტორია ხელთ  
გიპყრიათ და მას თქვენთვის ზურგი არ შემოუქცე-  
ვია!.. ჩვენ კი მოვითხოვთ, რომ სასწრაფოდ გაიხსნას  
ჩვენთვის კულტურის სახლი, ვინაიდან რა უნდა  
გახდეს ჩვენი მამოძრავებელი ღერძი, იგი უნდა გა-  
დაიქცეს იმ ცხოველმყოფელ ნაკადად, საიდანაც ჩვენს  
ახალგაზდობას შეეძლება ამოსწოვოს წყარო სინათ-  
ლის. კულტურის სახლი უნდა გადაიქცეს იმ ახალ მოვ-  
ლენად, რომელიც მილეწ-მოლეწავს ყოველსავე  
ძეელს და გამოგვიყვანს ააალი გზების ძიებაში. მოგვ-  
ბეზრდა აფიშებში ვიკითხოთ: „ებრაელებო! ხმა მიე-  
ცით პირველ ნომერს“. სწავლა-განათლება არ უნდა  
შეადგენდეს მხოლოდ შეძლებულთა პრივილეგიას.  
დროა უკვე დაიწყოს ნამდგილი კულტურული აღორ-  
ძინება. დროა ვიფიქროთ მეწერილმანეთა და ლარიბ-  
თა ფართო მასების მდგომარეობის გაუმჯობესება-  
ზე. ჩვენ არ გვაკმაყოფილებს ქაღალდის რეცოლუ-  
ცია. მოგვეცით ნამდვილი რეცოლუცია!“.

### ლე-ნე-ლე.

და მეგობრებმა დაუმატეს:

- გაუმარჯოს ამ პირველ ყუმბარას, რომელიც გას-  
კდება ხეალ გელათის ქუჩაზე და დაანთებს დიდ ხანძარს,  
რომლის შუქზე ბრმებს აეხილებათ ოფალები!
- გაუმარჯოს ლე-ნე-ლეს!

- გაუმარჯოს კულტურის სახლს!
- შემდეგ მხიარულად განაგრძობდენ.
- გავსწიოთ ეხლა სახლისაკენ!
- გაზეთი გადავმალოთ!
- არც ერთმა კაცმა არ გაიგოს ვინ დასწერა ეს წერილი.

- ჩვენ ჯერ კიდევ ძლიერ ახალგაზრდები ვართ და ვინ გვაპატიებს ამას?
- რედაქტორმა რომ გაგვცეს?
- არა, არ იყალრებს!
- რედაქტორმა უკვე მოძხადა თავის მოვალეობა იმით, რომ სადისკუსიოდ გამოაცხადა ეს ამბავი.
- დავასრულოთ გიმნაზია და მერე ვაყურებინოთ მაგათ სეირი!
- მორიგი წერილი პარლამენტზე და ხახამ-დეპუტატზე!
- ყოველ კვირაში თითო წერილი, თითო ყუმბარა ქველ სამყაროს!

— გაუმარჯოს ლენე-ლეს!

და ის იყო, სახლისაკენ ბრუნდებოდენ, მხიარულნი და ბედნიერნი, რომ ამ დროს... ნეთანელს გაზეთი გაუვარდა ხელიდან, შეჰვივლა საზარლად და გულწასული მიწაზე წაიქცა. ელდანაცემი მეგობრები დაიბნენ. ვერ გაიგეს რა მოხდა. ლევანი მივარდა გულწასულ ნეთანელს და დაუწყო მობრუნება. ლევის კი თავში გაუელვა საშინელმა აზრმა, სასწრაფოდ აიტაცა გაზეთი მიწიდან და იმ ადგალას, სადაც დასრულდა მათი წერილი, წაიკითხა შემდეგი პატარა ცნობა დაბეჭდილი შავი პეტიტით:

„დღეს დილით 11 საათზე, ნაქერალას მთაზე ბანდიტებმა მოჰკლეს სახლისაკენ უკან მომავალი ღარიბი ებრაელი ისრაელ შეშილაშვილი“.

ისრაელის დასაფლავების რამოდენიმე დღის შემდეგ, სასამართლოს აღმასრულებელი მიადგა მის დაობლებულ ოჯახს. ასწერეს ნივთები, რომელთა საფასური სრულიად არ აკმაყოფილებდა მაძიებელ განოს. განსვენებულის მიერ ნისიად წალებული ფართლის ლირებულება გაცილებით შეტი იყო, ვიდრე ამ პატარა ქოხში მდებარე ლარიბული ავეჯი. ბავშები სტიროდენ. ქვრივი ჩიბკა თმებს იგლეჯდა, ხოლო ნეთანელი გამოშტერებული იდგა და სიცოცხლის აღარავითარი ხალისი არ გააჩნდა. ერთად-ერთი მისი მანუგეშებლები იყვნენ მისი მეგობრები ლევანი და ლევი, რომელიც ამ უბედურების შემდეგ სულ ნეთანელთან იყვნენ და თითქმის არ სცილდებოდენ მას.

ლევიმ იცოდა, რომ დღეს მოვიდოდა სასამართლოს აღმასრულებელი ნეთანელთან, ამიტომ იგი მოვიდა თავის დროზე და თან მოიტანა 20 არშინი რალაც თეთრი საქონელი, რომელიც წამოიღო თავის მამის მაღაზიიდან ჩუმად და გადასცა სასამართლოს აღმასრულებელს ნეთანელის მამის ვალში.

მაგრამ არც ამით ამოიწურა საქმე; ვაჭრობამდე ორი დღე იყო მხოლოდ. საჭირო იყო მოქმედება სასწრაფოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში ნეთანელის მოელ ოჯახს გამოჰყრიდენ გარედ, ნივთებს წაიღებდენ და ქოხსაც გაჰუდენ. გამოსავალი არ იყო. მეგობრებმა არ იცოდენ რა, ექნათ. ნეთანელმა კი სრულებით დაპკარგა მსჯელობის უნარი.

დაიწყო საჯარო ვაჭრობაც. მეზობლებში შეგროვილი დახმარების ფული ე. წ. „ნედაბა“ ვერ გასწვდა ვანოს გაუმაძლარ სურვილებს. ვანო იდგა შეუპოვარი კლდესავით და არ აქცევდა ყურადღებას გაუბედურებულთა უბე-

დურებას. ჰყადდენ სკამებს, მაგიდებს, ტახტებს და ქვის  
იატაკზე დაგებულ ძველ ხალიჩას. შემდეგ დაიწყეს თვით  
ქოხის გაყიდვაც. დამსწრე ხალხი იქვითინდა. ვერ გაუჭ-  
ლეს ასეთ დიდ უსამართლობას. ისრაელის ოჯახის წევრე-  
ბი ხომ სტიროდენ და საშინლად მოსთვევამდენ. პატარა  
ბავშები ჰყიოდენ, თუმცა არ იცოდენ რაში იყო საქმე,  
მხოლოდ ჰერიტებდენ, რომ ამდენი ხალხის ყოფნა მათ  
სახლში არ მოასწავებდა არაფერ კარგს.

როცა შეუდგენ ქოხის გაყიდვას, ლევანშა ვეღარ მოი-  
თმინა, გადაიძრო თავის ახალ თბილი პალტო და წინ  
დაუგდო აღმასრულებელს:

— ბატონო აღმასრულებელო! ბევრი აღარ აკლია ვა-  
ლის დაფარვას. იქნებ შეაჩეროთ ქოხის გაყიდვა. აი მიირ-  
თვით ჩემი პალტო.

ვანომ ცხვირში მიახალა ლევანს თავის პალტო:

— შენ რა იცი, რამდენია ჩემი ვალი.

მაშინ წინ წამოდგა ლევი, ჩადგა შუაში და შეაჩერდა  
ვანოს თვალებში. ეს ისეთი შეხედვა იყო, რომ აღმასრუ-  
ლებელი იძულებული იყო ერთ წუთს შეჩერებულიყო.  
ხალხის ყურადღება დაჭიმული იყო და შესკეროდა  
ლევის.

— თქვენ გსურთ ააწიოკოთ ეს ოჯახი და სამჯერ მე-  
ტი გადაახდევინოთ. კმარა. თქვენ, ბატონო ვანო, ვერასო-  
დეს ვერ გაძლებით, ის დროც დადგება, როცა თქვენი მა-  
და შეიკვეცება. მანამდე კი რასაკვირველია... თქვენ ბა-  
ტონი ხართ და უფლება გაქვთ ნისია გაინაღდოთ ისე, რო-  
გორც თქვენ მოგეპრიანებათ. ეს საცოდავი ქოხი სულ  
ღირს ასი მანეთი. თქვენ კი გჭირდებათ კიდევ ორმოცი  
მანეთი, რათა გაასწოროთ თქვენი ანგარიში. მე ფულები  
არა მაქვს, მაგრამ მე გაძლევთ ისეთ ნივთს, რომელიც გა-  
ცილებით უფრო მეტი ღირს, ვიდრე თქვენი ორმოცი  
მანეთი.

ხალხში ელექტრონის დენასავით დაიარა ლევის და ლევანის პატივისცემაშ და იღფრთოეანებით შესცემრდენ ნეთანელის თავდადებულ მეგობრებს. ლევიმ გამოსწია მაჯა, მოიხსნა ოქროს საათი და გადასცა ვანოს. ვანო ცნობისმოყვარეობით დააცემრდა საათს, გამოცდილი ვაჭრის სუნით იგრძნო, რომ ეს მეტისმეტად ძვირფასი ნივთი იყო და დიდი სიამოვნებით გაიკეთა მაჯაზე.

— მე სრულიად დაკმაყოფილებული ვარ. — განაცხადა ვანომ და გავიდა.

ნეთანელის ოჯახის წევრები და ხალხი შემოეხვიენ ლევის, ჰერცინიდენ მას და ულოცავდენ ასეთ კეთილშობილ და გმირულ საქციელს. ნეთანელს სახეზე ცრემლები შეშრობოდა და ლაპარაკის უნარი აღარ ჰქონდა, მაგრამ სადღაც, მის ტანჯულ და დაობლებულ ორგანზმში ფერწავდა იმედი, რომ თუმცა მოკვდა ისრაელი, მაგრამ ცოცხალია და იცოცხლებს: ლ ე-ნ ე-ლ ე.

\* \* \*

ყველას ეძინათ რეუბენის ოჯახში, გარდა თვითონ რეუბენისა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ შუალაშე ქარგახნის გადასული იყო იჯდა თავის კაბინეტში ვანოსთან ერთად, რომელთანაც აწესრიგებდა სხვადასხვაგვარ კომერციულ ანგარიშებს და გეგმავდენ ახალ კომბინაციებს. რეუბენს თანდათან მოუსვენრობა ეტყობოდა. სახლში ყველას ეძინათ და ლევი ჯერ კიდევ არ იყო მოსული. თუმცა წინადაც იგვიანებდა ხოლმე, მაგრამ ასეთ აშკარა თავხედობამდე ლევი დღემდე არ მისულა. როდესაც მოპჩენ საქმეს, შეეკითხა ვანოს:

— ჩემი შვილი იგვიანებს, ნეტაც რომელი საათია?

ვანომ დახედა მაჯის საათს და უპასუხა:

— ნაშუალამევის ორია.

ყურადღება მიიპყრო ნაცნობმა ოქროს საათმა... ეს ხომ  
ლევის საათია!

— ვანო! ეს საათი საიდან გაქვს?

— შენმა შვილმა მომცა ისრაელის ვალებში.

— ჩემმა შვილმა?

— ჰო, შენმა შვილმა. იმან 20 არშინი მიტკალიც  
მომცა.

მეხივით გავარდა ეს ამბები რეუბენის გულში, მაგ-  
რამ ოსტატურად თავი შეიკავა და ვანოს არაფერი აგრ-  
ძნობინა. იმათ გამოსცვალეს სალაპარაკო საგანი, მაგრამ  
რეუბენის ფიქრები კი მაინც უკან მიიწევდა. კიდევ ცოტა-  
ნანს ილაპარაკეს და ერთმანეთს გამოესალმენ. რეუბენი  
შძიმედ ჩაეშვა სავარძელში და ფიქრებში გაერთო:

„ლევი მაინც არ გამოსწორდა... პირიქით, რაც დრო  
მიდის, იგი თანდათან უარესდება... იზრდება და უარეს-  
დება... სრულიად დაჰკარგა ჩემი პატივისცემა... აღარ მი-  
წევს არავითარ ანგარიშს... რასაც ვეუბნები იმის საწი-  
ნააღმდეგოს სჩადის... დაეთრევა გლახაკებში... ჩემს ქო-  
ნებას ანიავებს... ამ ბოლო დროს ქურდობასაც მიჰყო ხე-  
ლი... ამბობენ, რომ ლევისაც კავშირი აქვს იმ ხალხთან,  
რომლებმაც დასწერეს ის სამარცხვინო წერილი ჩვენი  
რაჯულისა და რაბინების წინააღმდეგ... იმ წერილმა გა-  
გვიმწარა ფურიმი... ვაათავებს გიმნაზიას და უარესს ჩაი-  
დენს... ხალხი ნიშნის მოგებით მეუბნება: იი შენი გა-  
მოზრდილი შვილიო... არა, ამდენის მოთმენა აღარ შეიძ-  
ლება... სად გდია ნეტავ ეხლა... საჭიროა მივიღო გადამ-  
წყვეტი ზომები... იკივლოს რამდენიც უნდა სარამ... ასე-  
თი შეალი მე აღარ მინდა... გათავდა... რაც იქნება იქნეს..  
ამაღამვე უნდა გავათავო მასთან ყოველივე ანგარიში..  
აგერ ნაბიჯები... იმისია, სწორედ“...

— ლევი!

ლევი შემოვიდა ოთახში.

- სად ბრძანდებოდი, ვაჟაპონო?
- ნეთანელთან.
- სად არის 20 არშინი მიტკალი?
- ვანოს მაღაზიაში იქნება, თუ არ გაუყიდია ჯერ.
- სად არის შენი ოქროს საათი?
- ვანოს მაჯაზე.

რეუბენი თანდათან მოთმინებიდან გამოდიოდა და  
შეჰვევირა:

- ქურდო!
- მამაჩემო, ნუ მიწოდებ ამ სახელს.
- ქურდო! — გაიმეორა რეუბენმა.
- თუ ასე ინებებ, დე ასე იყოს. ჩვენ ორივე ქურ-  
დები ვართ; დიახ მამაჩემო! მომისმინე და ვანსხვავებასაც  
გეტყვი. შენ პპარავ აშკარად მთელ ქვეყნიერებას და მათ  
შორის მოპპარე საწყალ ლარიბ ისრაელსაც. გახსოვს ნარ-  
მა რომ მიჰყიდე ცხრაშაურად? შენ იპარავ, რადგანაც  
შენი მიზანია სხვის სიღარიბეზე ააგო შენი სიმღიდრე. მე  
კი, თუმცა მოვიპარე ფარულად, მაგრამ ჩემი მიზანი იყო  
გადამერჩინა დაღუპული და დაქცეული ოჯახი შენისთანა  
ადაბრანის და შენი მეგობრის ვანოს კლანჭებიდან.

- ყაჩალო! მამზერო! <sup>1)</sup> — ისეთი შეჰვიცლა რეუბენმა,  
რომ გაიღვიძეს ოჯახის დანარჩენმა წევრებმა და საჩქა-  
როდ შემოვარდენ ოთახში. შემოვარდენ, მაგრამ ერთ ად-  
გილას დაეკვრენ. რეუბენის სახე იმდენად მრისხანე და  
საშინელი იყო, რომ მასთან მისვლა და დამშვიდება სრუ-  
ლიად უმიზნო იყო; ამ წუთებში მასთან მისვლა სახიფათო  
იყო. გულის ფანცქალით იდგენ კუთხეში. იცოდენ, რომ  
ეს საქმე ასე ადვილად არ გათავდებოდა და მით უფრო

<sup>1)</sup> მამზერ — უკანონოდ შობილი შვილი.

სამწუხარო და საშინელი იყო, რომ ვერავინ გაბედავდა  
ჩარევას.

რეუბენი კი თმებს იგლეჯდა, მაგიდაზე აბრახუნებდა  
და თვალებიდან ცეცხლსა ჰყრიდა.

— მე ვიცი, რა სულიცა ხარ შენ. ის წერილიც, ალბად  
შენი და შენი გადარჯულებული ამხანაგების დაწერილია.

ლევი ჰგრძნობდა, რომ მისი მამა მას არ დაინდობდა  
და ამიტომ არჩია გაჩუმებულიყო, მაგრამ რეუბენი არ  
ეშვებოდა.

— ჰა, შეგეშინდა ძალლის წიწილო? სთქვი, ვინ დას-  
წერა ის წერილი? გესმის, სულს ამოგაძრობ და ისე გათ-  
ქმევინებ!

— რა საჭიროა ამდენი აღელვება? მე უკვე საკმაოდ  
მოზრდილი ვარ, რომ რამეთი შემაშინო. ის წერილი დავ-  
წერე მე!

— შენ?

— დიახ, მე!

— ამ წუთიდან შენ ჩემი შვილი აღარ ხარ. მოსქებნე  
სხვა ბინა... წყეულიმც იყავ!.. დამეკარგე აქედან...

და ისეთი თვალებით გადახედა ოჯახის ყველა წევრს,  
რომ შიშით ვერავინ გაბედა მისთვის თვალი გაესწორებრ-  
ნა, ლევიმ თავი ჩაილო, ინსტიქტიურად შეხედა დედასა და  
თავის ძმებს, გადმოჰყარა ცრემლები და კარებისაკენ გაე-  
შურა:

\* \*

\*

პირველი მისი აზრი იყო: ლევანი. ლამეს იმასთან გაა-  
თევდა, მაგრამ ხვალიდან რას იშამდა? როგორ აფორიაქ-  
და მისი ცხოვრება? რო იქნება ხვალიანა?  
..

მაგრამ რა იფორთა მან, პიონერმა მეტრძოლმა, რომ  
რამოდენიმე დღეში ყოველივე ქველი ძირჭესვიანიდ უნ-

და შეცვლილიყო და ახლისათვის დაეთმო აღვილი? და  
დაბოლოს, რა იცოდა მან, რას უმზადებდა ახალგაზდო-  
ბას საბჭოთა მომავალი, რომელიც მოდიოდა საქართვე-  
ლოში მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა გიგანტიუ-  
რი ნაბიჯებით?

## VI.

ქავჭავაძის ქუჩა.

აგერ, ლევის მეგობრის, ლევან ხარაბაძის ოთახი.  
ლევი შედგა.

ოთახის პატრონს სინათლე არ ჩაექრო. თანაც ისმოდა  
რაღაც გაურკვეველი ლაპარაკი.

მიმოიხედა გარშემო. ქუჩა თეთრი თოვლით იყო მო-  
ფენილი.

იყო სრული სიწყნარე, დუმილი.

რა უნდოდა სულიერ არსებას ამ ყინვაში?

მხოლოდ რეუბენის უნცროსი შვილი იყო განწირუ-  
ლი. იდგა აქ, მარტოდმარტო, სიცივეში, გაოცებული.

— „დაახლოებით უნდა იყოს ნაშუალამევის სამი სა-  
ათი, თუ მეტი არა“ — გაიფიქრა ლევიმ.

გადადგა ნაბიჯი, ისევ შეჩერდა.

— „რა ვქნა, ვინ უნდა იყოს ამ დროს ლევანთან: ლე-  
ვანი ხომ ყოველთვის მარტო ცხოვრობს?“

ური დაუგდო. გაარკვია რუსული სიტყვები. კიდევ  
უფრო გაოცდა, მაგრამ ვეღარ მოითმინა და დაიძახა:

— ლევან!

ლევიმ შეამჩნია, რომ ოთახში მყოფნი ჩავარდენ უხერ-  
ხულ მდგომარეობაში და უცბად შესწყვიტეს ყოველგვა-  
რი ლაპარაკი. ლევანმა ნელა გამოაღო ფანჯარა, ოდნავ  
გამოჰყო თავი და აღელვებულმა იქითხა:

— ვინ არის?

— ლევი.

— ლევი, შენ? ამ დროს? რა მოხდა, ხომ მშვიდობაა? — ლევანის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა.

— არ შეიძლება შენთან ლამე ზავათიო? როგორც ჩანს ვიღაც სტუმარია შენთან. ხელს ხომ არ შეგიშლით?

— სისულელეს თავი დაანებე. შემოდი სახლში საჩქაროდ.

ლევი შევიდა ლევანის ოთახში.

— გაიცანით. ამხანაგი ლევი. ამხანაგი ვასილი.

„ამხანაგი ვასილი“ — უცნაურად მოეჩვენა ეს გამოთქმა ლევის.

ეს კაცი, დანაოჭებული სახით, დიდი თვალებით, რუსული გამომეტყველებით, რომელსაც ზურგზე ეკიდა არა ნაკლები ორმოცი წლისა — სადაური ამხანაგი იყო?

მაგრამ ფიქრების დაღრმავების საშუალება არ მისცა ლევანმა.

— ალარ იტყვი, რა მოხდა?

— მამაჩემმა გამომაგდო სახლიდან. ჩვენ შორის ყველაფერი დასრულდა. ყველაფერი ითქვა.

ლევანი მიხვდა მიზეზებს და გაჩუმდა. სხვა საქითხების მიცემა — ეს იქნებოდა მისი საუკეთესო მეგობრისათვის კიდევ ახალი ჭრილობის მიმატება. ეხლა იყო საჭირო მეგობრობა, ნუგეში, ახალი გზა.

— არ დაეცე სულით ლევი, მომავალი ჩვენ გვეკუთვნის. და ეს მომავალი არც ისე შორსაა. მაპატივე თუ ამდენ ხანს გიფარავდი ერთ დიდ საიდუმლოებას ჩემს ცხოვრებაში. მე ამაღამ აგიხსნი ყველაფერს. მალე ამხანაგი ვასილი გაემართება სადგურისაკენ, ჩვენ დაერჩებით ერთად და შენ გაიგებ ბევრ ახალ აშბავს...

— ესმის ქართული ენა შენს სტუმარს? — შეეკითხა ლევი.

— არა.

ერთხანს ჩაფიქრდენ სამივე.

„ამ ახალგაზრდას აქვს უდიდესი პირადი ტრადეცია. იგი გამოსული უნდა იყოს ბურჟუაზიის წრიდან“ — პირ-ქრობდა სტუმარი.

„როგორი იქნება ლევი მას შემდეგ, როდესაც ყველა-ფერს აუხსნი? აუხსნელობა კი აღარ შეიძლება“ — პფიქ-რობდა ლევანი.

„რა კავშირი უნდა ჰქონდეს ამ სტუმარს ლევანთან? თუმცა ვინ იცის, შეიძლება მას კავშირი აქვს ლევის-თანაც“...

გაუგებრობაში იკარგებოდა ლევი.

— ამხანაგი ლევი — მიმართა ლევანმა სტუმარს რუ-სულ ენაზე — არის ჩემი საუკეთესო მეგობარი და მწამს იგი იქნება საიმედო ყავარჯენი ჩვენს მომავალ ბრძო-ლებში.

— ძალიან მიხარია. ნეტავ კი ასე იყოს. პროლეტა-რიატს ესაჭიროება თავდადებული და გულწრფელი მე-ბრძოლები. — უპასუხა „ამხანაგ ვასილად“ წოდებულმა სტუმარმა და წამოდგა.

— მე ეხლა წავალ. თუმცა მეორე მატარებლის გას-ულამდე ოთხი საათია, მაგრამ ვამჯობინებ რიონის სად-გურზე მოცდას, ვიდრე ქუთაისში ყოფნას.

სტუმარმა ხელი ჩამოართვა ლევის და გავიდა. მას თან გაჰყვა ლევანი, რომელიც დაბრუნდა ათი წუთის შემდეგ.

მეგობრებს დიდხანს ეძნელებოდათ ბაასის დაწყება. მოლოს ველარ მოითმინა ლევანმა, მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— იცი ლევი, ვინ იყო ის კაცი?

ლევი უცდიდა პასუხს.

— ბოლშევიკი. — ხაზგასმით დააბოლოვა ლევანმა და უცდიდა გაეგო, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მის შეგობარზე ამ ამბავმა.

ლევი გაფითრებული თვალებით შესცემოდა ლევი განს და ეტყობოდა მისი გონება ელგის სისწრაფით მოქმედებდა.

— ლევან... შენ კომუნისტებს თანაუგრძნობ!

— სწორია, ლევი. სხვანაირად არც შეიძლება. ისტორიას აქვს მხოლოდ ორი გზა: ან ბურუუაზიასთან, ან პროლეტარიატთან. არ არსებობს მესამე გზა და ისინი ვინც ეძებენ ან ეპოტინებიან მესამე გზას — ებრძებიან პროლეტარიატს.

— ჩვენ ამდენი ხანი ვმუშაობთ, ვსწავლობთ, ვიზრდებით ერთად და შენ კი საჭიროდ არ სცანი ამ საკითხზე გელაპარაკა ჩემთან.

— მართალია ლევი, მაგრამ მე არ ვარ საყვედურების ღირსი. ყოველი შეგნებული პროლეტარი ასევე მოიქცეოდა ჩემს ადგილზე. ვიდრე ძალა უფლება ხელთ უპყრიათ, ჩვენივე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ქალალდის რევოლუციის გმირებს — ყოველი რევოლუციონერის ბედი ბეწვზე ჰქიდია, მათ ათასობით ერეკებიან ციხეებისა და სახრჩობელებისაკენ. დასავლეთის იმპერიალიზმის ლაქიები არ ინდობენ პროლეტარიატის უფლებებისათვის მებრძოლებს.

— კი მაგრამ... მე რა შუაში ვარ ლევან?

— რა გულბრყვილო ხარ, ლევი. აქ არ დგას შენთვას პირადი ნდობა-უნდობლობის საკითხი. აქ არის მტკიცე კლასობრივი ხაზი. მიუხედავად იმისა, რომ შენ მთელი არსებით მუშათა კლასის მხარეზე ხარ, მაგრამ შენ მაინც გამოსული ხარ ბურუუაზის წრიდან. შენ ვჭირია ასპროცენტიანი გადახარშვა პროლეტარულ სამზარეულოში. დღეს როდესაც ძალაუნებურად გასწყდა კავშირი შენსა და შენი მშობლების შორის, რომელთა ნამდვილი მიზეზები მე კარგად ვიცი — მე უკვე საშუალება მეძლევა გელაპარაკო ამ საკითხზე. მე მწამს ლევი, რომ შენ ჩად-

გები ჩვენი საუკეთესო მეტროლ ახალგაზრდობის რი-  
გებში.

„გადახარშვა... ასპროცენტიანი... პროლეტარულ სამ-  
ზარეულოში“ — ღრმად ჩაწერთა ეს სიტყვები ლევის.

შემდეგ დიდხანს ილაპარაკეს მეგობრებმა. ბევრი ახა-  
ლი შეიტყო ლევიმ. საქართველოში მალე უნდა მომხდა-  
რიყო საბჭოთა გადატრიალება. ამხანაგი ვასილი გამოგ-  
ზავნილი იყო პარტიის მიერ. ადგილობრივი აჯანყებები  
დღე დღეზე მასიურ ხასიათს ღებულობდენ. ლევანი ეკუთ-  
ვნოდა მომავლის მებრძოლებს.

ლევი კი?

ჰუიქრობდა ლევი ამ საკითხზე მაშინაც კი, როდესაც  
ლევანს უკვე ეძინა. ძილი არ ეკარებოდა. ხელში ეჭირა  
არალეგალური კომუნისტური პროკლამაცია და ხარბათ  
ეწაფებოდა.

ოქტომბერი ახლოვდებოდა საქართველოში, მაგრამ  
ლევის მის შესაცნობად და ღრმად შესათვისებლად ბევრი  
რამ აკლდა.

უმთავრესი: გადახარშვა პროლეტარულ სამზარეუ-  
ლოში.

და უცბად: გადასწყვიტა.

გადახედა ლევანს. მას ღრმად ეძინა.

სასწრაფოდ დასწერა ბარათი, დასტოვა მაგიდაზე, ჩუ-  
მად გამოაღო კარები და მტკიცე ნაბიჯებით გაემართა  
სადგურისაკენ.

განთიადი ახლოვდებოდა.

\* \* \*

\*

რიონის სადგურზე „ამხანაგ ვასილის“ მყუდროება  
მოულოდნელად დაარღვია ლევიმ.

— წამიუვანეთ თქვენთან. მე მინდა ვიყო თქვენთან. მე მინდა ვისწავლო თქვენთან. მე მოვიტან სარგებლობას.

— ჩემო ახალო მეგობარო, მე მიეღიარ რუსეთში. რა უნდა გააკეთო შენ იქ?

— რასაც დამავალებთ ყველაფერს. მე ღრმად გადა-  
წყვიტე კავშირი ბურუუაზიასთან. მე ვიქნები მუშა, პა-  
ტიოსანი მშრომელი, მხოლოდ ნება მომეცათ, თქვენს ახ-  
ლოს მყოფმა, შევისწავლო და შევიცნო ღრმად იმ ხალხის,  
აზრები, რომლებიც იბრძვიან ბურუუაზის ბატონობის და-  
სამხობად და ამ უკულმართი მსოფლიოს გარდასაჭმნელად.  
როდესაც უკვე ვიქნები საკმაოდ მომზადებული და და-  
მოუკიდებელი, მაშინ ღავბრუნდები საბჭოთა საქართვე-  
ლოში ძევლ თაობასთან ანგარიშის გასასწორებლად.

არ შეეძლო „ამხანაგ ვასილს“ ეჭვი შეეტანა ამ უც-  
ნაური ახალგაზდის გულწრფელობაში. მაგარი ხელის ჩა-  
მორთმევით აგრძნობინა, რომ ამიერიდან ის იყო მისი  
მფარველი.

— ბილეთი თუ გაქვს?

— არა. ფული არ მაქვს. უბრლეთოდ წამოვალ.

„ამხანაგ ვასილშა“ ოდნავ გაიღიმა და შეიძინა ბილე-  
როულოდნელი თანამგზავრისათვის.

და როდესაც ორთქლმავალმა შეჰქიფელა რიონის სად-  
გურიდან გასვლის გამო, ქუთაისში, ჭავჭავაძის ქუჩაზე,  
გაოცებული ლევანი მეოცედ კითხულობდა პატარა ბა-  
რათს:

„შენ მართალი ხარ, ლევან. მე მჭირია ასპროცენტიანი  
გადახარშვა. თუ კი ეს მოხდება — ჩვენ შევხედებით. თუ  
არა — არა. ჩემი გზაც მიემართება „ამხანაგ ვასილის“  
გზით. ერთს გთხოვ: ნურავის დააჩაგვრინებ ნეთანელს.  
ლევი“.



— „მა ნიშთანა“...<sup>1)</sup>.

დაიწყო და შეჩერდა. ეს ორი სიტყვა, რომელიც წარმოსდგება ძველი ებრაულისა და არამეულისაგან — ყოველ წლიურად იკითხება ჩვეულებრივად და თითქმის შეუმჩნევლად. ამ სალამოს კი, მისი წაკითხვის დროს აუბენი შეჩერდა. თავზე ხელი გადაისვა, მძიმედ ამოიოხრა. ამ სიტყვებთან ერთად მის თვალშინ გადიშალა მოვლენათა მსვლელობის უკანასკნელი ამბები, მაგრამ ყველაფერი არეულდარეულად და უსისტემოდ. ხოლო ფიქრებისა და ფაქტების ზემოდ — დაპფრინავდენ ეს საშინელი ასოები, რომლებიც ელექტრონის სისწრაფით იზრდებოდენ და ერთდებოდენ საშინელ საკითხში:

— „მა ნიშთანა“...

ოთახში სამარისებური სიჩუმე იყო. სუფრის გარშემო ისხდენ ოჯახის წევრები: არონი, ისაკი და მათი დედა სარა. სუფრის თავში დადგმული იყო მაღალი და რბილი სავარძელი, რომელშიდაც იჯდა რეუბენი. სუფრასთან დევ იდგა ერთი ცარიელი სკამი, ელიაუ ჰანაბისი<sup>2)</sup>. პატივისცემოდ. მაგიდაზე აუარებელი სანთლები იყ სუფრა მორთული იყო სადღესასწაულოდ. მაგიდაზე დაფარებული იყო მდიდრული საფარი.

ამ დღესასწაულს ეწოდება ფესახი<sup>3)</sup>.

მაგიდაზე, ტრადიციის მიხედვით ელაგა მაცა,<sup>4)</sup> მარორი<sup>5)</sup> და ხაროსეთი<sup>6)</sup>. ყველას გაშლილი ჰქონდათ პატარა

<sup>1)</sup> „მა ნიშთანა“... — რა გამოიცვალა.

<sup>2)</sup> ელიაუ ჰანაბი — ილია წინასწარმეტყველი.

<sup>3)</sup> ფესახი — პასექი, ებრ. დღესასწაული.

<sup>4)</sup> მაცა — რომელსაც ებრაელები სკამენ პურის მაგივრად პასექში.

<sup>5)</sup> მარორი — მწარე მცენარე.

<sup>6)</sup> ხაროსეთი — ბროწეულით გაქეთებული საჭმელი.

მიუხედავად იმისა, რომ რეუბენისათვის ფესახი დიდი  
დღესასწაული იყო, ამ საღამოს ყველაფერი მიმდინარეობ-  
და ხელოვნურად და ძალდატანებით. სრულებით არ იყო  
დღესასწაულის შთაბეჭდილება. ყველანი ისხდენ უსიტ-  
ყვოდ, როგორც მგლოვიარენი და ჩასცეპოდენ ჰაგადის  
უსულო სიტყვებს, ან ხანდახან შეხედავდენ მორიდებული  
თვალებით ოჯახის უფროსს, რათა მის თვალებში წაე-  
კითხათ მისი სურვილი და ნება.

— არონ! დაიწყე თავიდან, მნილოდ ქართულად. —  
მიმართა უფროს შვილს.

უფროსშია შეიღმაც, ღვთის მორწმუნე არონმა, გადა-  
შალი ჰაგადის წიგნი და იმ ადგილიდან, საღაც იწყება  
სიტყვები: „ჰალახმაყანია“ — სთარგმნა, და სპეციფიური  
მონოტონური მოტივით — წარმოსთქვა:

— „ესე პური ტანჯვისა... რომელსაც სჭამდენ მამები  
ჩვენი... ქვეყანასა, მიცრაიმისასა<sup>3)</sup>.. ვისაც რომ სურ-  
დეს... მოვიდეს და სჭამოს... ვისაც სჭიროდეს, მოვიდეს  
და იფესახოს...“

დაასრულა წერტილამდე და შეჩერდა. რეუბენმა კი  
ანიშნა, რომ გაეგრძელებინა. არონი აგრძელებდა და რო-  
დესაც მივიდა იმ ადგილას, საღაც იწყება „მა ნიშთანა“,  
სარას წასკდა ცრემლები და დაიწყო ტირილი...

— რა გატირებს დედაკაცო — შეუბლვირა რეუბენმა.

— ყოველწლიურად „მა ნიშთანას“ კითხულობდა  
ლევი, ახლა კი, დედა მოუკვდეს ჩემს ლევის, ვინ იცის,  
ამისთანა ამბებში, სად არის და როგორ არის.

<sup>1)</sup> სიდური — სამლოცველო წიგნი.

<sup>2)</sup> ჰაგადა — სამლოცველო კუპლეტები, სპეციალურად შედგე-  
ნილი ჰასექისათვის.

<sup>3)</sup> მიცრაიმი — ეგვიპტე.

— გაჩუმდი სარა, რატომ გინდა დამიმწარო ფესახი? და შემდეგ მიუბრუნდა არონს — გააგრძელე „მა ნიშთნა“ ქართულად...

და არონიც, აღელვებული სხვებთან ერთად, სთა გმნიდა და უცნაურად მდეროდა:

— „რა გამოიცვალა აშ ლამეს?.. რატომ არა ჰგავს იჯ სხვა ლამეებს? ყველა ლამეებში ჩვენ ვჭამთ პურსა... ამ ლამცნდელ ლამეს კი მხოლოდ მაცასა... რა გამოიცვალ ამ ლამეს?.. ყველა ლამეებში ჩვენ ვჭამთ სხვა მწვანილს ამაღამ კი მხოლოდ მარორსა... რა გამოიცვალა ამ ლამეს

და არონი აგრძელებდა საკითხებს ამ გზით და თვით: უპასუხებდა. ხოლო ცოტა ხანს რომ თვალი მოეშორები ჰავადის წიგნისთვის, იგი დაინახავდა, რომ მისი აღარავ ესმოდა. სარა ჩუმად სტიროდა და ცრემლებს იწმენდდ ისაკი ფიქრებში იყო გართული, ხოლო რეუბენი კა იჯდა უსიტყვოდ გაშეშებული და ძნელი იყო იმის სახეზე წაკითხვა, თუ რას განიცდიდა იგი ამ დროს. რეუბენი საოცარი თავდაჭერილი კაცი იყო და ძნელად გასცემდა თავის ფიქრებს და აზრებს. იშვიათად აგრძნობინებდა იდი გარეშეს, თუ რა ხდებოდა მის არსებაში. ეხლაც, ამ ლამეს, ფესახის მხიარულ ლამეს, როცა ყოველი მორწმუნე ებრა-ელი ზის თავის ოჯახში საგანგებოდ ვამართულ სუფრის გარშემო და სიამოვნებით იგონებს ათასეულ წლების წილ ნედ ევვიპტის ფარაონებისაგან განთავისუფლებას, — რეუბენი არ არღვევდა ტრადიციას და მთელი თავის სისტიკით იცავდა წესს. იგი ხელმძღვანელობდა სუფრის და იტარებდა ტრადიციულ „სედერს“<sup>1)</sup>.

მაგრამ იმ წუთში, როდესაც გაისა „მა ნიშთანას“ თარგმანი, მის დანაოჭებულ სახეზე გაღმოიღვარა ოჯლის წვეთები, მას დაავიწყდა ყოველივე და ესმოდა მხელოდ ერთი საკითხი:

<sup>1)</sup> სედერი — სადლესასწაულო ცერემონიალი.

— „რა გამოიცეალა“...

სარა უხმოდ სტიროდა, ისაკი ფიქრებში იყო გართული, არონი მექანიკურად კითხულობდა, ხოლო რეუბენს მოსეენებას აღარ აძლევდა საშინელი საკითხი, რომელმაც გადაშალა მისი გულის ჭრილობები, საკითხი, რომელიც ასე მრისხანედ ეწვეთებოდა სულის სილრმეში და რომელიც თან სდევდა შეუბრალებლად მთელი ღამის განმავლობაში.

— „რა გამოიცეალა“...

და რეუბენმა იცოდა, რომ ბეგრი რამ გამოიცეალა. გამოიცვალა მრისხანედ და ულმობელად. მას ამ წუთში აღარ აწუხებდა ეგვიპტისა და ფარაონების ამბები. იგი ფიქრობდა მხოლოდ იმაზე, რაც გამოიცვალა ამ წელს, 1921 წელს, მისი თვალების წინ, საქართველოში!

სედერი თავისთავად მიმდინარეობდა. რეუბენი სულ არ გრძნობდა, რას კითხულობდენ. აღარც იმ ადგილის-თვის მიუქცევია ყურადღება, როცა კარი უნდა გაიღონ და ოთახში „შემოვიდეს“ მისტიური ილია წინასწარმეტყველი, აღარც ის ესმოდა როგორ დაიწყეს ვახშამი, როგორ დაიცალა სავალდებულო ოთხი ჭიქა, როგორ დასრულდა ვახშამი და როგორ დაიწყეს მხიარული კუპლერების „ხაღ-გადია“<sup>1)</sup>...

განსხვავება წარსულისა და აწმყოს შორის მეტად თვალსაჩინო და საგრძნობი იყო რეუბენისათვის. ყოველწლიურად, ფესახის ღამეს, მის გვერდით იჯდა მისი უნცროსი შვილი ლევი... მოხუცი მამა სტკებობდა მისი მზერით... ლევი სთარგმნიდა ხოლმე ჰაგადას... თან თავისებურად ჩაურთავდა მხიარულ და მოსწრებულ შენიშვნებს... ამაღამ კი მის გვერდით აღარ იყო ლევი... ლევი, რომელიც სამუდამოდ დაკარგული იყო მისთვის, ლევი, რომელიც აღბად გაქრისტიანდა... ან გაკომუნისტდა... მი-

<sup>1)</sup> „ხაღ-გადია“ — „ერთი თიკანი“ — კუპლერები.

ზოგის ეს სულ ერთი იყო... ჰეთიქრობდა იმასაც, შეიძლება იგი სადმე მშიერი მოკვდა... ასე თუ ისე, იგი უკვალოდ გაჰქრა... არავინ იცის მისი ბინადრობა, არც მისმა წყეულმა ამხანაგებმა.... მაგრამ რა საჭიროა ამაზე ფიქრი... ლევი მისი შვილი აღარ არის... ლევი არ გაჰყვა მის გზას... ლევიმ სული ეშმაკებს მიჰყიდა... დევ, ისინი იყვენ მისი პატრონები ამიერიდან... ისინი... რეუბენ აღარ იფიქრებს იმაზე... აღარა... მაგრამ საფიქრებელი სხვაც ბევრი იყო...

მის წინ, ჩაის ჭიქაში ელგარებდა წითელი ღვინო. რეუბენი თითქმის უკვე მოვრალი იყო, მაგრამ მაინც გადაჰკრა და კიდევ დაისხა. არონს და ისაკს უკვე ეძინათ. სარა კი ქმრის ახლოს დაფუსფუსებდა, მარამ რეუბენის კატეგორიული მოთხოვნით იმანაც დასტოვა ოთახი.

... საქართველო გაწითლდა... ბათომი დაიკეტა... დოლარები და ლირები ჩამოართვეს... ვაჭრებს სდევნიან... მის ორ საუკეთესო სახლში ყაზარმები მოაწყვეს... დარჩა ეს ერთი უკანასკნელი სახლი... ცოტაოდენი ფული... მომავალი უიმედობა... გაბზარული გული და... როგორც მოგონება ძველისა... გუშინდელი დღისა... კონსტანტინოპოლისა... თავისუფალი ვაჭრობისა... ლევისა... ოქროს საათისა...

ეს საათი დიდ ფასში, დღესასწაულის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, ჩუმად, უკან შეატენდა ვანოსაგან. ნელა ამოიღო და მაგიდაზე დასდო. დახედა: შუალამის თორმეტი იყო. შემდეგ კიდევ ერთი ჭიქა ღვინო დალია, თვალები გაუწითლდა...

... რა უნდა ამ სარდაფში, ვინ მოიყვანა, აღარ ახსოვს... ესმოდა მხოლოდ როგორ დაიძახა ვიღამაც: რევოლუციონური კომიტეტის სახელით... არა... არა... თვითონ ჩეკას სახელით... შემდეგ ხელგაპრული შემოაგდეს აქ... სადაც მხოლოდ ტალახიანი წყალია და ბაყაყები... დაიწყო ყვირილი, ტირილი, წვერების გლეჯა... არავინ იცოდებდა... შემდეგ დაემხო მიწაზე და დაიწყო ლოცვა: ლმერთო

ისრაელისაო... დააქციე შენი მრისხანება ბალშევიკებზე... უცბად... თეთრ სამოსში მის წინ გაჩნდა მოხუცი, ილია წინასწარმეტყველი... დამშეიღდა: იელოვამ შეიწყნარა შენი ლოცვა... წამოდი ჩემთანო... გაპერა სარდაფი... ტალახი... ბაყაყები... ისინი მიპეროლავდენ უსაზღვრო სივრცეში... ძირს ზღვა იყო... ხოლო ზევით ჰაერი... ეს რა ზღვაა... ჰკითხა რეუბენმა ილიას... ეს შავი ზღვაა და ეს ქალაქი კი... სტამბოლია... ხედავ?.. როგორ არა... რეუბენი ხედავს... აგერ მისი ამხანაგები... ელიგულაშვილები... რიუინაშვილები... რომლებიც გაიქცენ მენშევიკებთან ერთად... უსაყვედურა... რატომ მეც არ წამიყვანეთო... საქართველოში რა ამბებია?.. ოჭ, საშინელება, ნუ იკითხავთ... ბალშევიკებმა ყელი გამოსჭრეს თქვენს ცოლებს და შვილებს... გელათის ქუჩაზე სისხლი მოდიოდა რიონივით... სინაგოგები და ეკლესიები დალეწეს... რაბინები და მღვდლები საჯაროდ ჩამოახრჩეს... ვაჭრებისათვის გარედ გამოსვლა აკრძალულია... სანოვაგე აღარ იშოვება... გირვანქა პური ღირს ხუთი მილიონი მანეთი... ქრისტიანები იძახიან მეორედ მოსვლააო... ისრაელები კი ამბობენ, რომ მაშიახის<sup>1)</sup> მოსავლის ნიშნებიაო...

... ნუ გეშინია, რეუბენ, არ დაეცე სულით... ვბრუნდებით საქართველოში... მართლა?.. არ გჯერა, არა უშავს, დაიჯერებ, წავიდეთ. აგერ ხომ ხედავ ინგლისელებსა და იტალიელებს... იქ კიდევ რუსი თეთრგვარდიელები არიან... ესენი კიდევ ქართველები... წავიდეთ საქართველოში... ერთ ბალშევიკს აღარ დავტოვებთ ცოცხალს... და რეუბენი ხედავს: მოდის საქართველოში დიდი ჯარი... წინ მოუძღვიან ილია წინასწარმეტყველი და რეუბენი... უკან ინგლისელები, მენშევიკები, რუსები და იტალიელები... აგერ ბათომი... ვაშა, ბათომი აღებულია... აი, გამოცდენ

სამტრედიას... მუხიანი, რიონი.... ქუთაისი... გაუმარჯოს  
თავისუფალ საქართველოს... ვაშა... ვაშა... გაუმარჯოს  
ილია წინასწარმეტყველს... გაუმარჯოს... და რეუბენი სი-  
ხარულით ტრიბუნაზე ადის: ძმებო... მეც თქვენთან ვარ...  
ძირს ბალშევიკები... ძირს...

და დაეცა ძირს. ხმაურობაზე შემოვარდა სარა და ნა-  
ხა, რომ მისი ქმარი რეუბენი, რომელსაც სკამზე მისძინე-  
ბოდა, სკამიდან ჩამოვარდნილიყო და მიწაზე გაშელარ-  
თულიყო. რეუბენმა იგრძნო ტკივილები და გამოეღვიძა. სარა  
მივარდა აღელვებული და შეშინებული:

— რა იყო, რეუბენ, რა მოვივიდა, რატომ საწოლზე  
არ დაიძინე, რა დაგემართა ადამიანო?

შემდეგ დაეხმარა, რომ წამომდგარიყო; რეუბენი მძი-  
მედ წამოდგა და თვალები მოითშვნიტა. გარედ უკვე თენ-  
დებოდა. უცბად მოესმა ჯარის სიმღერა, მოაგონდა ჯარი  
და სიხარულით შესძახა:

— გესმის, სარა? ჩენ დავბრუნდით...

— რა მოხდა, რეუბენ?

ხოლო რეუბენი სმენად იყო გადაჭცეული. მისი ფან-  
ჯრის ახლოს მიდიოდენ წითელი არმიის ნაწილები, რომ-  
ლებიც მიიმღეროდენ:

„Смело мы в бой пойдем  
за власть советов...“

ფერი ეცვალა. მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ სიზმარი  
ნახა. ერთ ხანს იდგა იმედგაცრუებული, თავზარდაცემუ-  
ლი, შემდეგ მივიდა მაგიდასთან და საათს დახედა. საათი  
ისევ თორმეტს უჩვენებდა, მაგრამ აღარ უკვირდა. და  
ამიტომაც, როდესაც სარამ კვლავ განუმეორა კითხვა თუ  
რა მოუვიდა, მან სრული დამშვიდებით მიუგო:

— არაფერია, სარა... ჩემი ოქროს საათი დადგა... გა-  
ჩერდა... და აღარ მუშაობს...

ნაზილი მეორე  
„ბარუხ დაიან ჰავავთ“

I.

გამოურკვეველი მომავალი დაუდგა იმ ხალხს, რომელიც დღემდე ყველაფერს არშინით ზომავდა. ნეპის ილიუზიები მალე გაჰქრა. აწმყო უიმედო იყო, მომავალი უჩინარი და უდიდესი ნაწილი ამ ხალხისა ცხოვრობდა მხოლოდ წარსულით. წარსულის ნაშთებიდან კი, ჯერ-ჯერობით ყველაზე ამაყად თავი ეჭირა სალოცავს, რომლის ეზოც გადაიქცა „ერთა ლიგის“ მსგავს სალაყბო ორგანიზაციის — გელათის ქუჩის განცოფილებად.

ყოველ სალამოს, დალაშებამდე ერთი საათით ადრე, ორი ლოცვის „შინხა“—სა და „ყარბით“—ს შუა გაივსებოდა ეზო. ვინ არ მოდიოდა აქ? ორიოდე ჩასუქებული, რომელთაც ჯერ კიდევ ეცვათ თუმცა გახუნებული, მაგრამ მაინც „ევროპიული ტანსაცმელი“ — ნაშთი „ძველი დიდებისა“; წერილმანით მოვაჭრები — დღეს უკვე გაღატაკების გზაზე შემდგარი ფართო მასა, თავიდანვე ღარიბები და უკვე გაპროლეტარებული ხალხი, თეთრწვერა რაბინი ავტორიტეტული ცხვირით და შავწვერა ხახმები — უკვე მეორე კატეგორია სასულიერო წოდებისა, გაბაები<sup>1)</sup> და შამაშები<sup>2)</sup>; გზადაბნეული „ინტელიგენტები“, რომელ-

<sup>1)</sup> გაბაები — სალოცავის სტაროსტები. <sup>2)</sup> შამაშები — სალოცავის დარაჯები.

თაც მოასწრეს მხოლოდ საშუალო სკოლის დამთავრება  
 და მიუხედავად ამისა არ ეღალატნათ შაშების ტრადიცი-  
 ისათვის გაჭრობის გაგრძელებაში და დღეს, როდესაც მა-  
 თი ძირითადი საქმე ისტორიის არქივში გადადიოდა, თავს  
 ირთობდენ საერთაშორისო პოლიტიკაზე ლაყბობით და  
 როგორც „სწავლულები“ უხსნიდენ „უსწავლელებს“  
 ქვეყნიერების ამბებს და წინასწარმეტყველებდენ მომა-  
 ვალს; იყვნენ აგრეთვე სხვა კატეგორიის ახალგაზრდებიც:  
 ახალგაზრდები, რომელთაც ჩამოეკიდნათ შორწმუნეობის  
 სიმბოლო — გრძელი კიყინები — პირისახეზე და იყვნენ  
 ფანატიკური გატაცებით მიმდევარნი ზასიდების <sup>1)</sup> სექტი-  
 სა; უდიდესი ნაწილი — ეს იყვნენ ის ახალგაზრდები, რო-  
 მელნიც ინერციით მიჰყვებოდენ მამაპაპათა ზნე-ჩვეულე-  
 ბებს, მაგრამ თვითონ კი ინდიფერენტულად იყვნენ გან-  
 წყობილნი სარწმუნოებისადმი; და დაბობოლს აქ იყვნენ  
 მცირერიცხოვანი, თითებზე ჩამოსათვლელი ისეთი ახალ-  
 გაზრდებიც, რომელთაც სრულიად შეგნებით გაეწყვიტათ  
 ყოველგვარი კავშირი ღმერთთან და თუ დადიოდენ სა-  
 ლოცავში, ეს იყო მათ მიერ მხოლოდ დროებითი შანერი,  
 დიპლომატიური აუცილებლობა წარსულის მრისხანე წარ-  
 მომადგენლობასთან და უცდიდენ მოხერხებულ დროს,  
 რათა თავისი აზრები აშკარად გამოეთქვათ. ამ უკანასკნე-  
 ლთა რიცხვს ეკუთვნოდა აგრეთვე ნეთანელიც, რომე-  
 ლიც ჩვეულებრივად მოსულიყო ამ სალამოს და თვალ-  
 ყურს აღევნებდა უფროსების საქმიანობას და მსჯელობას.

რა აერთიანებდა ამდენ ხალხს, რომელიც ბუზივით  
 ირეოდა სალოცავის ეზოში? რა ჰქონდათ საერთო მშიერს

1) ხასიდები — ყველაზე უფრო რელიგიურ ფანატიკური  
 სექტა ებრაელთა შორის, რომლებსაც მიაჩნიათ წმინდანათ თავიანთი  
 უფროსი ე. წ. ადმორი, რომლის უფლებები გადადის შთამომავლო-  
 ბით. რუსეთში ასეთი „პრივილეგიებით“ სარგებლობდა შნეერსონის  
 შთამომავლობა.

და მაძლარს, მოხუცს და ახალგაზრდას, ერთეულ „პოლი-  
ტიკანებს“ და უშავლელებს, რეუბენს და ნეთანელს?

ყველას ჰქონდათ თავის საკუთარი მიზნები: ზოგი მო-  
დიოდა ღმერთთან სალოცავად, ზოგიც ღმერთთან საჩხუ-  
ბრად, მაგრამ ყველა ესენი იყვნენ მორწმუნენი; მოდიო-  
დენ ისეთებიც, რომელთაც არაფერი არ სწავლათ, მაგრამ  
ვინაიდან მათ კერძო ინიციატივამ ცხოვრების სხვა დარ-  
გებში განიცადა სრული მარცხი, ეხლა სურდათ ეს კერძო  
ინიციატივა, თავისი ავტორიტეტი — ერთგვარი ავტონო-  
მია შენარჩუნებიათ აქ მაინც, სალოცავის კედლების  
ფარგლებში; ის ერთეული ახალგაზრდები კი, რომელიც  
მოკრძალებით გამოიყურებოდენ აქა-იქ, ცდილობდენ მო-  
ხერხებულ დროს ლაპარაკში ჩაერთოთ თავიანთი რეპლი-  
კები და კონტრაბანდათ. შეეპარებინათ ახალ-ახალი  
იდეები.

ხალხი, ჯგუფებად იყო დაყოფილი და ყველა ჯგუ-  
ფებში გაცხარებული კამათი სწარმოებდა; ნეთანელი  
ჯგუფიდან ჯგუფში გადადიოდა და ყველგან ჩაურთავდა  
თავის შენიშვნებს, მიუხედავად იმისა, რომ მორწმუნე მა-  
სისათვის მისი შენიშვნები მეტის-მეტად სახიფათო იყო.

პირველ ჯგუფში კამათი იყო „დიდი პოლიტიკის“ შე-  
სახებ, რომელიც შეეხებოდა საბჭოთა კავშირის შინაურ  
და საგარეო საკითხებს. ამ საკითხში დიდ აქტივობას იქნ-  
დენ თითოროლა ყოფილი ხალხი, დანარჩენები ეჭვის  
თვალით თავს აქნევდენ, თითქოს თანხმობის ნიშნად. წვე-  
რიანი ხალხი და მოინტელიგენტო-მორწმუნები — დიდ  
ნდობით და ავტორიტეტით იყვენ აღჭურვილნი. ამიტო-  
მაც, რა აზრიც არ უნდა წარმოეთქვათ მათ, ყველაფერი  
მისალები იყო. ჯგუფი თანდათან იზრდებოდა და კამათიც  
ეფურო „მიმზიდველი“ ხდებოდა.

— არ ვიცი, როგორდა უნდა იცხოვოს ისრაელის  
შვილმა. ეს მთავრობა აღარაფერს გვანარჩუნებს. რაც

რამე გვეძალა, სულყველაფერი წაგვართვა. წაიღეს სახლები და მაღაზიები. თან ვაჭრობის ნებასაც არ გვაძლევენ. ჩვენ კი, ყოველ წუთში ვგანკალებთ, ჩეკაში არ დაგვიჭირონ-თქო. აბა, რით უნდა ვიცხოვოთ? სტამბოლის გზა დაქეტეს და ჩვენ აქ უნდა მოგვახრჩონ. — ამბობდა რეუბენი.

— ნამდვილად მაშიახის<sup>1)</sup> მოსელის დღეებია; სწორედ ასე სწერია „თორა“-ში<sup>2)</sup>, რომ მაშიახის მოსელის დღეებში ისრაელებს გაუჭირდებათო. — დაუმატა არონშა.

— ეჭ, ჩემო რაბი არონ — გამოეხმაურა ვიღაც, კი-თილშობილი ღიპით — ვიდრე მაშიახი მოვა, ჩვენ სუჟე-ლას ამოგვულეტავენ.

— ამოგვულეტავენ და მერე რა იქნება? „თიხიათ ჰა-მეთიში<sup>3)</sup> ხომ გრწამს?

— „თიხიათ ჰამეთიმი“-კი მწამს, მაგრამ...

— ვერაფერი ნუგეშია, „თიხიათ ჰამეთიმი“, არა? — ჩაერია ლაპარაკში ნეთანელი. — ჩვენ იმაზე უნდა ვი-ფიქროთ, რომ ვიდრე ცოცხლები ვართ, რამე კარგი გავა-კეთოთ, თორემ როცა მოვკედებით, ძნელი იმედია, რომ კიდევ მოვბრუნდებით სააქაოს. ასე ადვილად ბალშევი-კები ვიზას არ მოგვცემენ.

რეუბენმა მრისხანედ გადახედა ნეთანელს; მისშა აშა-ყმა და თავხედურმა კილომ გაუხსნა მას ძველი ქრილობები და მოაგონა დაკარგული ლევი. რეუბენის აზრით მისი შეი-ლის დკარგვაში — ნეთანელსა და მის ოჯახს შიუძლოდა ბრალი, რომლებმაც გზიდან გადააცდინეს ლევი, მაგრამ ვინაიდან არ უნდოდა ლევის გახსენება, ამიტომ არ შეი-შჩია ნეთანელის სიტყვები.

<sup>1)</sup> მაშიახი — მესსია, მხსნელი. <sup>2)</sup> თორა — ებრ. რელიგიური წიგნი. საქართველოში შეცდომით თორას ეძახიან სალოცავს (სინა-გოგა). <sup>3)</sup> თიხიათ ჰამეთიმ — მკვდრების გაცოცხლება.

ერთმა მოხუცმა ებრაელისა მძიმედ ამოიოხრა და შოი-  
გონა ნეთანელის მამა, რომელიც ძლიერ მორწმუნე იყო,  
ხოლო შვილი კი დარჩა ურწმუნო და გუბედურებული.  
კამათი ისევ გრძელდებოდა. წინ გამოიჭიმა „ნასწავლი“  
ვაჭარი, რომელმაც ასე „შეაფასა“ გიმდინარე ამბებია:

— ნასწავლმა სახელმწიფოებმა ბალშევიკებთან შე-  
სწყვიტეს ყოველივე კავშირი. არც ანგლია, არც ფრანცია,  
არც ტურცია, არც ამერიკა — ამათთან არ არის. სუსკელა  
აშათი მტერია. ბალშევიკებს ფული არა აქვთ და ჯერჯე-  
რობით ჩვენი ფულით ცხოვრობენ. მოსავალი წელს არ  
მოსვლიათ. მთელი რუსეთი დამშეულია. როცა ჩვენი ფუ-  
ლები გამოელევათ და აღარავინ ეყოლებათ, რომ წა-  
ართვან ფული, აღარც პური ექნებათ, გადაღვებიან ტახ-  
ტიდან, აბა რა იქნება? მე ერთმა დიდმა კაცმა მითხრა  
„სეკურეტათ“, რომ წუხელის ბალშევიკებს ტელეგრამა გა-  
უგზავნიათ ნოე უორდანიასათვის, რომ მობრძანდი საქარ-  
თველოში, დაგვეხმარე და ისევ შენ იყავი მთავრობის თავ-  
მჯდომარეთო.

— მერე, მერე? — დაინტერესდენ ზოგიერთი ლი-  
პიანები.

— მერე და, უორდანიას შემოუთვლია, მე თქვენთან  
არაფერი საქმე მაქს, მე სულ ერთია ანგლიჩანებით და  
ფრანცუზებით ორ კვირაში მანდა ვარო.

ნეთანელმა ველარ მოითმინა და ისევ ჩაერია:

— ორ კვირას კი მოითმენთ, თუ შეტი არ დაგჭირდათ...

მოკამათეთა მეორე ჯგუფიდან მოისმოდა აღელვებუ-  
ლი ხმები.

— არ გვინდა ცალკე რაიონის შრომის სკოლები! —  
იძახოდა რაბინის თანაშემწე. — ჩვენ დღეშის იოლად გა-  
ვდიოდით სხვა სკოლებით, დღესაც ასე იოლად გავალთ.  
ტფილისში იმიტომ მოუგონიათ რაიონის სკოლები, რომ  
შვილები გაგდიქრისტიანონ, გაგვიბრიყვონ და სარწმუ-

ნოება გამოგვაცალონ. ჩვენი ჯაშათი ყველაზე დიდი ჯა-  
მათია, ჩვენი ხმა გასჭრის, თუ საჭირო იქნება დელეგა-  
ცია გავაგზავნოთ თვითონ კამენევთან. ხომ გაგიგონიათ,  
კაბენევი თურმე ძალიან კარგი ისრაელი ყოფილა. როშპა-  
შანასა და ქიფურში <sup>1)</sup> — ყოველწლიურად დაღის სალო-  
ცაში და ლოცულობს. მთელი წლის განმავლობაში კი  
სახელმწიფოს საქმეებს აკეთებს და როცა ჩაუვარდება  
ხელში ისრაელების საქმე — უცბად გადასწყვეტს ისრაე-  
ლების სასარგებლოდ. ამიტომ ვიძახი, თუ საჭირო იქნება  
თვითონ კამენევს გავუგზავნოთ დელეგაცია, რომ უნდათ  
ჩვენი გაქრისტიანება, რომ ჩვენთვის უნდათ გახსნან  
ცალკე სკოლები.

— არ გვინდა ცალკე შრომის სკოლები — გაიძახოდა  
ერთი საეჭვო სტუდენტი, რომელსაც სტუდენტობას მხო-  
ლოდ ძველი გახუნებული ქუდი „უმტკიცებდა“ — ჩვენ  
ყოველთვის ერთად ვიყავით ქართველებთან და ერთად  
დავრჩებით. რატომ არ შეუძლია ისწავლოს შაბათა მაწო-  
ნაშვილს პეტრე კაციტაძესთან?

ისევ გამოჩნდა ნეთანელი, რომელიც ეძგერა „სტუ-  
დენტს“.

— ამხანაგო „სტუდენტო“, რასაკვირველია შაბათა მა-  
წონაშვილშა უნდა ისწავლოს პეტრე კაციტაძესთან და ეს  
ასეც უნდა იყოს. მაგრამ არ შეიძლება მიპასუხოთ შემ-  
დეგ საკითხებზე: რამდენი მაწონაშვილია დღეს სკოლაში? რა-  
მდენი ჩვენებური ისრაელის ბავშებია სკოლებში? ძა-  
ლიან ცოტა? რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ რაბინები და  
ხახმები არ აძლევენ მათ საშუალებას სწავლისას. მაშინ

<sup>1)</sup> როშპაშამი და ქიფური — ებრაელთა მრისხანე  
დღესასწაულები, წლის თავი (ახალი წელი) და შენდობის დღე (სა-  
მართლის დღე).

ვილამ უნდა ისწავლოს ხელერებსა<sup>1)</sup> და იეშიბებში<sup>2)</sup>? რა-  
ბინებიც იძაბიან, არ კვინდა ცალკე სკოლებით და ოქვენც,  
ინტელიგეტები, მასვე იმეორებთ. რაღა განსხვავებაა  
თქვენს შორის? ორიგეს მიგყავთ ხალხი დაღუპვისაკენ და  
სიბნელისაკენ. ხომ ხედავთ, ვაჭრობას გამოეცალა ნია-  
დაგი. დღეს მთავრობა მოგვიწოდებს სწავლა-განათლები-  
საკენ და აგრეთვე იმას, რომ ამოვირჩიოთ ახალი პატიო-  
სანი გზები. თქვენ კი, დახმარების მაგიერ, გზებს ჰქონავთ,  
რომ სინათლე არ შემოგვეპაროს გელათის ქუჩაზე. თუ  
კინშე ჩვენთაგანი ამოიღებს ხმას — მაშინვე მზადა ხართ  
ქვებით ჩატქოლოთ. თუ მთავრობა ჩვენ გვიხსნის ჩვენ  
რაიონში შრომის შკოლას, ჩვენ უნდა გავაგზავნოთ იქ-  
ბავშები და არ უნდა წამოვეგოთ არც რაბინების და არც  
ამ ვაჟბატონების პროვოკაციაზე.

— მართალია, მართალი! — გაისმა აქა-იქ ოდნავ მო-  
კრძალებული ხმები.

— რას ლაპარაკობ რაშაყო<sup>3)</sup>? — ალელდა რაბინის  
თანაშემწე. — იo დახეთ, ისრაელის შეილებო, რას შევე-  
სწარით? ახლაც იტყვით კიდევ, რომ მაშიახის დრო არ  
დამდგარა? ვაი ჩვენს მოსწრებას, როგორი შეილები გა-  
გვიჩნდენ. ჩვენ ამდენი ხანია ვწვალობთ, როგორმე ფული  
შევაგროვოთ, სასაფლაოს ლობე შეზოვაკრათ და ეხლა მო-  
დიან ჩვენი ურჩი შელები და გვეუბნებიან: სხვას ყველა-  
ფურს თავი მიაწებეთ და ფულები დახარჯეთ გაქრისტია-  
ნებაზეო.

— სიცრუეა! — შეაწყვეტინა ნეთანელშა. — ნულარ  
ატყუებოთ ხალხს, სწავლა-განათლება გაქრისტიანებას არ  
ნიშნავს. გარდა ამისა, ვინ გითხრათ, რომ მთავრობას სკო-

<sup>1)</sup> ხედერი — პირველწყებითი რელიგიური სასწავლებელი.

<sup>2)</sup> იეშიბა — შემდეგი საფეხურის რელიგიური სკოლა.

<sup>3)</sup> რაშაყ — ავი, ურწმუნო კაცი.

ლის გახსნისათვის სჭირია ოქვენი ფულები? საბჭოთა შთა-  
ვრობა ყველგან ხსნის სკოლებს თავის ხარჯზე.

— სასაფლაოს ღობე?

— სასაფლაოს ღობე? — ჩაიცინა ნეთანელმა. — სა-  
საფლაოს რაში სჭირია ღობე? ცოცხლებს არ სურთ სასა-  
ფლაოში შესვლა, მკვდრები კიდევ ვერ გამოვლენ იქ-  
დან. მაშ, ვისთვის აკეთებთ ღობეს? თუ რამე ფული  
გაქვთ, რომელიც ღარიბ ხალხს აატყავეთ, მე წინადაღება  
შემომაქვს ამ ფულით გავხსნათ სამკითხველო.

ეს მეტის-მეტი იყო კლერიკალური სამყაროსათვის.  
ყუმბარა გასკდა, ვინაიდან უკვე აიგსო მოთმინების ფია-  
ლა. წინ წაშოდგა რეუბენი და წინადაღება შეიტანა, რომ  
ნეთანელი გაეხერემებინათ <sup>1)</sup>.

— მეც რეუბენივით ვფიქრობ, რომ რაშაყი ნეთანე-  
ლი უნდა იყოს გახერემებული. რა გინდა შენ, ცოდვი-  
ლიანო, აქ, სალოცავის წმინდა გალავანში? რა გინდა შენ  
აქ ჩვენთან ლირსეული მამის ულირსო შვილო? მაშიშენის  
სიკვდილის შემდეგ არც ერთხელ მისთვის „კადიში“ <sup>2)</sup>  
არ გითქვია. მამიშენის სულს „ყოლამ-აბას“ <sup>3)</sup> დაეპატრო-  
ნება „სიტრა-ახარა“ <sup>4)</sup>. ყველაფერი ეს კი, შენი ცოდვე-  
ბით... წადი, მოგვშორდი აქედან, იყავ წყეული. ნუ შე-  
მოადგაშ ფეხს სალოცავის ეზოში, ნუ წაბილწავ წმინდათა  
წმინდას, წადი, გაგვეცალე აქედან, ვიდრე შევიდოდე სა-  
ლოცავში, ავილებ შოფარს <sup>5)</sup> და როგორც წესია გაგანე-

<sup>1)</sup> გახერემება — დაწყევლა, შეჩვენება. <sup>2)</sup> კადიში —  
გადაცვალებულისათვის სპეციალურად დაწესებული ლოცვა, რო-  
მელიც გადაცვალებულის ნათესავმა უნდა იყითხოს პირეველი წლის  
განმავლობაში. <sup>3)</sup> ყოლამ-აბას — საიქო. <sup>4)</sup> სიტრა-ახარა —  
ბოროტი სული. <sup>5)</sup> შოფარ — ჩქა, გაკეთებული სპეციალურად  
ებრაელთა დღესასწაულებში სალოცავის ტრიბუნიდან დასაქრავად,  
რომელსაც ეძლევა სიმბოლიური მნიშვნელობა.

ემებდე. მაშინ აღარც ერთი ლირსეული ისრაელი არ მო-  
წარება სამი ნაბიჯის სიახლოვით...

— ნუ შეწუხუბები, რაბი. ჯერ კიდევ საშუალო საუ-  
ნებმა ვერ შესძლეს მოედრიყათ ურიელ ჰაკოსტის  
იცე სული. ვისაც ნებისყოფა აქვს, ის არის ქეეყნიერე-  
პატრონი. დღეს ხელისუფლების საჭე ხელში უჭირავს  
ქოთა მთავრობას. გან გვინდია, რომ დღევანდელი  
ვრობის დროსაც ასე ადვილად იპარპაშებთ? რაც  
ჩო მეტად გაამწვავებთ დამოკიდებულებას, რაც უფ-  
ხელს შეგვიშლით ახალი გზების ძიებაში — მით  
რო ადრე თქვენ იმზადებთ საკუთარი ხელით სამუ-  
შო სამარეს, მით უფრო ადრე თქვენ დაგჭირდებათ და-  
იცალოთ ისტორიის არენა. ეხლა მე მივდივარ, დავბრუ-  
ები თქვენთან მხოლოდ მაშინ, როცა თვით დარწმუნ-  
ბით, რომ გაჭირვების დროს ღმერთი შორს იქნება და  
იშარებისთვის ძებნას დაიწყებთ არა ზეცაში, არამედ  
დამიწაზე.

ნეთანელის სიტყვებმა თავზარი დასცა ძველი ქვეყნის  
ძმობადგენლებს, სამაგიეროდ მან მოახდინა უღიდესი  
პეტდილება ახალგაზრდებზე და ლარიბ-ლატაკთა შე-  
ჩინევ ნაწილზე; ნეთანელმა ერთხელ კიდევ გადახედა  
მყოფთ და მძიმე ნაბიჯებით, გულზე მოწოლილი  
მა სევდით, გამოვიდა ქუჩაზე.

მარტომბის სევდა აწუხებდა ნეთანელს, როცა მიაბი-  
იბდა დამტვრეულ ფილაქანზე. თავაუღებლად მიდი-  
ა და ვერ ამჩნევდა, რომ მის წინ, ქუჩის მარცხენა მხა-  
რი მისკენ მოიმართებოდა ხალხი ყვირილით და ერთი  
იამულით. თავი ასწია და მის წინ დაინახა მილიციელი  
ვაჭარი განო.

ვერც კი გაიგო ნეთანელმა, ამდენი ხალხი როგორ შე-  
რტყა რკალივით და რა უნდოდათ მისგან. ვანომ მიუ-  
ნა მილიციელს ნეთანელზე.

— თქვენა ხართ მოქალაქე ნეთანელი? — შეეკიტხა  
მიღიციელი.

— დიახ.

— თქვენ დაბატიმრებული ხართ.

ნეთანელის დამძიმებულ გონებას უკვე აღარაფერი  
ესმოდა. ასეთ სიურპრიზს ის არ ელეოდა. არავითარ და-  
ნაშაულს არ გრძნობდა, მხოლოდ ინტუიციით მიხვდა,  
რომ აქ რაღაც პროვოკაცია იყო. ძალა მოიკრიფა და მი-  
ლიციელს კატეგორიულად განუცხადა:

— აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი. გამაგებინეთ, რა-  
შია საქმე?

— თქვენ ბრალი გედებათ, რომ გიწვალებიათ ქრის-  
ტიანის ბავში სისხლის აღების მიზნით. წავიდეთ კომი-  
სარიატში. იქ კომისარი დაგკითხავთ და ყველაფერი გა-  
მოირკვევა.

— რიტუალი? ხა, ხა, ხა! მე მოვდივარ თქვენთან, იმე-  
დი შაქს ერთ საათში გავნთავისუფლდები, მაგრამ თქვენ  
კი, მოქალაქე ვანო, ნუ გვონიათ, რომ დღეს, საბჭოთ,  
ხელისუფლების დროს, კიდევ შეიძლებოდეს ბეილისი.  
ამბების განმეორება. ფრთხილად, თქვენ ცეცხლს ეთამა-  
შებით!

## II.

ნეთანელი არ დაიბნა არც მაშინ, როცა რაიონის კო-  
მისრის მოლოდინში, იგი შეაგდეს გრძელ და ცარიელ  
ოთახში და ვარედან კი გაიკეტეს კარები. ოთახში ძველი  
დამტვრეული მაგიდის გარდა არ იყო არავითარი აე-  
ჯეულობა. სამაგიეროდ ოთახი მეტის-მეტად ნათელი  
იყო და თითქმის ყველა ფანჯრები გადიოდა სხვადასხვა  
ჭურის მიმართულებით. იგი ჩამოჯდა ერთ-ერთ ფანჯა-  
რაზე და ფიქრს მისცა თაფი.

თუმცა ძნელი იყო ასეთ წუთებში რაიმე გარკვეულ  
საგანზე ფიქრი, მაგრამ ნეთანელი ეკუთვნოდა ახალ-  
გაზრდათა იმ ჯგუფს, რომელიც ადრე, ბავშობიდანვე  
შეეჩინა შერიგებოდა ცხოვრების ყოველგვარ უსამართ-  
ლობას. ნეთანელმა ძალიან ადრე გაიგო ცხოვრების სიმძი-  
მე და მიუხედავად ყოველგვარი გაჭირვებისა, ერთსა და  
იმავე დროს იგი ჰუიქრობდა, როგორც თავის დაობლე-  
ბულ ოჯახზე, რომელზედაც ზრუნვა დარჩა მას მემკვი-  
ცრეობით მამის სიკვდილის შემდეგ, აგრეთვე თავის ლა-  
რიბ თანამომექმნებზე, რომლებიც დღემდე იმყოფებოდენ  
სიბნელის ბურუსში.

ნეთანელი ხედავდა, რომ ახალი ხელისუფლება მო-  
ვიდა სწორედ სათანადო დროს, რომ მხოლოდ ეხლა შე-  
იძლებოდა რისამე გაკეთება, მაგრამ აშავე დროს იმასაც  
ჰერქნობდა, რომ რევოლუციის ქარტეხილმა შეარყია ამ  
ხალხის მხოლოდ ეკონომიური საფუძვლები, ხოლო მათ  
სულიერ ცხოვრებაში თითქმის არავითარი ცვლილება არ  
მომხდარა.

### მიზეზი?

მიზეზი ბევრი იყო: ბნელეთის მოციქულებს ჯერ კი-  
დევ ღრმიდ ჰქონდათ გადგმული ფესვები. ერთ მერცხალს  
კი გაზაფხული არ მოჰყავს. ახალი ქვეყნის მშენებელსა  
და ამ ხალხს შორის საჭირო იყო გამაერთიანებელი ხიდი,  
მაგრამ ჯერ არ სჩანდა ის ინჟენერი, რომელიც ასეთ  
ხიდს გააშენებდა.

ოდესლაც იყვნენ მტკიცე ნებისყოფით შეკავშირე-  
ბულნი, ფოლადის მეგობრები: ლევი, ლევანი და ნეთანე-  
ლი. ყოველ მათვანს ძვალსა და რბილში გაშვერდარი ჰქონ-  
და ერთი მიზანი: ზრუნვა ამ ჩამორჩენილი ხალხის კე-  
თილდღეობაზე. დღეს კი, ცხოვრების ულმობელი პირო-  
ბების გამო დაიშალა ეს განუყრელი ჯგუფი. ლევი გადი-  
კარგა. იგი მსხვერპლი გახდა რეუბენის ფანატიზმისა. ხო-

ლო ლევანი რევოლუციამ დატვირთა ბევრი საქმეებით და  
იგი შოუცლელი შეიქნა. დარჩა ერთი ნეთანელი. რა შე-  
ეძლო მარტო ერთ ნეთანელს გაეკეთებინა და არ გააკე-  
თა? ნეთანელი სინდისის წინაშე მართალი იყო. ამ სიმარ-  
თლის გულისათვის მას ყველა სდევნიდა: ებრაელი და  
ქრისტიანი. ებრაელებმა, მისმა თანამოძმეუბშა იგი გამო-  
ავდეს, არ იწამეს მისი აზრები. ხოლო გარედ გამოსვლისას  
მას იჭერენ როგორც ებრაელს, რომელშაც აწამა ქრის-  
ტიანის ბავში...

იცნობდა ნეთანელი ვანოს. იცოდა, კარგად იცოდა  
მისი შხამიანი შინაარსი. ვანა ეს ვანო არ იყო, რომელშაც  
თავის გაუმაძღარ ჩარჩულ კლანჭებში სული ამოაძრო ღა-  
რიბლატაკ მოსახლეობას? ვანა ეს ვანო არ იყო, რომელ-  
შაც უკანასკნელი ნივთები გაუყიდა ნეთანელის ოჯახს —  
უფროსის სიკვდილის შემდეგ? ვანა ვანო არაა გაუღენთი-  
ლი კაციჭამიობით, რომელიც ყოველდღე იმას ფიქრობს,  
რომ როგორმე, რომელიმე ებრაელს, რითიმე კისერი მო-  
სტეხოს? ვანა ვინ იტყვის ისე ღვარძლიანად სიტყვა  
„ურიას“, როგორც ამას ჩარჩი ვანო ამბობს? და ბოლოს,  
ვინ მოიყვანა ნეთანელი ამ ადგილას? ვანა ვანომ არ  
შეთხშა ახალი ჭორი? მაგრამ რისთვის? ან როგორ მო-  
ხდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს, ისიც საქარ-  
თველოში, სადაც ასეთ შემთხვევებს თითქმის სულ არ  
ჰქონია ადგილი, ვიღაც მაინც წამოეგო ვანოს გაბმულ  
შახეში და ნეთანელი დააპატიმრეს ასე უდინაშაულოდ?

გაიხედა გარედ. ვიღაცამ დუქანზე შიაკრა თეატრის  
აფიშა. წაიკითხა, რომ დღეს ქალაქის თეატრში წარმო-  
დგენილი იქნება ახალი პიესა. დიდი და შავი ასოებით  
ქვეშ ეწერა:

„ინტერესთა თამაში“.

დაფიქრდა. უცბად გაახსენდა და უნებურად გაი-  
მეორა:

— ინტერესთა თამაში...

შეავლო თვალი ოთახს და გაიცინა. მიღიცის საძ-  
მართველო ვანოს შენობაში იყო მოთავსებული. ეს ოთა-  
ხიც ფორმალურად მიღიცის ექირა, გაგრამ შიგ არაფერი  
იყო. გასულ კეირაში კომპაეშირის უჯრედში დასმული  
იყო ამ შენობის ჩამორთმევისა და მასთან დაკავშირებით  
ცარიელ ოთახებში სხვადასხვა კულტურული დაწესე-  
ბულებების მოთავსების საკითხი. ნეთანელმა ყველაზე  
უფრო თავგამოდებით და აქტიურად მხარი დაუჭირა ამ  
წინადაღებას. ეს ამბავი გაიგო ვანომ და გადასწყვიტა შუ-  
რი ეძია ნეთანელზე თავის სიძის ხელით. მისი სიძე კი პა-  
ტარა კაცი არ იყო. იგი იყო რაიონის კომისარი.

შემთხვევაც საუკეთესო მიეცა ვანოს: მისი ნოქრის,  
ევტიხი მოდებაძის ბავში გადაიკარგა შეორე დღეა. დაკარ-  
გული ბავშის მშობლები გადმოსახლებული იყვნენ სო-  
ფლიდან. თან ჩამოიტანეს ცრუმორწმუნეობა და ძელი  
აზრები. საჭირო იყო მხოლოდ ნაღვერდლის გამლვივებე-  
ლი. ასეთ როლს ვანოზე უკეთ ვინ შეასრულებდა, მით  
უმეტეს, როდესაც მისი სიძე ყოვლის შემძლე იყო. ახლა  
კი, ჰერიქობდა ვანო, ასწავლიდა ჭკუას ამ „ურის  
ბარტყეს“...

გაგრამ „ურის ბარტყეს“ არ სჭირდებოდა ჭკუის სწავ-  
ლება. იგი საკმარი ჭკვიანი იყო, რომ გარკვეულიყო ამ  
აშშების ხლართში და გულდამშვიდებით ელოდა რაიონის  
კომისარის მობრძანებას, რომელიც შეუდგებოდა ნეთა-  
ნელის დაკითხვას.

მაგრამ რაიონის კომისარი არ ჩქარობდა. ზემო სარ-  
თულში იგი ჩაის მიირთმევდა და ტკბილ მუსაიფში იყო  
გართული ცოლთან და სიმამრთან. აქ როლები განაწი-  
ლებული იყო: ვანო მოწმე იყო, მისი სიძე კი მოსამარ-  
თლე. ნეთანელს მოიშორებდენ და სახლიც დარჩებოდა  
ვანოს, ხოლო ცარიელი ოთახები კიდევ მის სიძეს.

ის ოთახიც, სადაც ეხლა საოცარი სიმშვიდით და სეირნობდა ნეთანელი, შეხვდა კომისარს... ამ ოთახში ის სასტუმრო ოთახს მოაწყობდა.

ყოველივე ეს წყდებოდა ზევით სართულში. ნეთანელმა დეტალები არ იცოდა, მაგრამ ზოგადად ყველაფერს მიმხვდარი იყო. ერთხელ კიდევ გაიხედა ქუჩისაკენ და ერთხელ კიდევ წაიკითხა სარკასტიული ღიმილით შავი და დიდი ასოები:

— ინტერესთა თამაში...

შემდეგ მოშორდა ფანჯარას და დაიწყო ოთახში სეირნობა. უცბად ერთმა აზრმა გაუელვა თავში, შეჩერდა შუაგულ ადგილას და შემოაბრუნა დამტვრეული მაგიდა ფანჯრისაკენ. შემდეგ ერთხელ კიდევ გაისეირნა, გულმოლგინებით შეისწავლა ჭერი და იატაკი, რამოდენიმეჯერ დაითვალა კარები და ფანჯრები, შემდეგ ამოიღო უბიდან ქალალდი და ფანქარი, გადაიღო ოთახის გეგმა და შიგ დასვა სამი წერტილი, გადააბრუნა ქალალდი და მეორე გვერდზე გაამწკრივა ციფრები. საბოლოო ჯამში მას შერჩა: ასოცი მანეთი.

და ნეთანელის სახეზე აღიბეჭდა იმედი და მძლავრი სიხარული. ელექტრონის დენასავით დაუარა სხეულში ახალმა იდეამ და თავისთვის მოულოდნელად შესძახა ხმა-მალლა:

— გადაწყდა!

კარები გაიღო და ოთახში საჩქაროდ შემოვარდა ლევანი. გაშტერდა. არ ელოდა, რომ ნახვადა ასეთ ნეთანელს. როცა ლევანი მორბოდა აქეთკენ, მას ეგონა, რომ ნეთანელი დახვდებოდა დალვრებილი და უსამართლობით აღშეფოთებული. მაგრამ იგი გაოცდა, როცა დაინახა, რომ ნეთანელი იდგა შუა ოთახში გაბრწყინვებული სახით, ხელში ეჭირა ფანქარი და ქალალდი და მოლიმარი თვალებით უცქეროდა მეგობარს. როდესაც კარები იღებოდა

და ლევანი შემოღიოდა, მან აშკარად გაიგონა, რომ ნეთა-  
ნელმა წარმოსთქვა ერთი სიტყვა: „გადაწყდა“. იმ მო-  
მენტში ლევანს ეგონა, რომ მისი მეგობარი ჭკუიდან შე-  
ცდა, მაგრამ ეხლა, მხოლოდ ეხლა, ამ წუთში, როდესაც  
მან პირდაპირ შეხედა ნეთანელს ცისფერ და საოცრად  
დამშვიდებულ თვალებში, დარწმუნდა, რომ შესცდა.  
ერთხანს იდგენ უსიტყვოდ და შემდეგ ერთსა და იმავე  
დროს მიუახლოვდენ ერთშანეთს და გადაეხვიენ.

— ნეთანელ! მეგონა შენ დამხვდებოდი ძალიან აღ-  
შფოთებული და თურმე შევმცდარვარ. გავიგე თუ არა ეს  
ამბავი, გავვარდი პარტიულ კომიტეტში. იქ თურმე ჩემზე  
ადრე გაეგოთ. მივიღე დირექტივები და საჩქაროდ გაშოვ-  
ვარდი. ნუ სწუხარ, ყველა დამნაშავენი, ყველა პროვო-  
კატორები სასტიკად იქნებიან დასჯილნი.

— მე სრულებითაც არ ვსწუხვარ ამაზე, ამხანაგო ლე-  
ვან, განა არ მესმის, რომ რიტუალის ლეგენდას საბჭოთა  
ხელისუფლების დროს არავინ მისცემს გასაქანს? ყოვე-  
ლივე ეს ჩვენი კლასობრივი შტრების ამბებია, რომელ-  
თაც სურთ ძველი რუსეთის მაგალითით ჩვენშიაც აურიონ  
წყალი. მე ერთი წუთითაც არ მეპარებოდა ეჭვი, რომ ამ  
უდღეურ პროვოკაციას ასე მაღლე მოეღებოდა ბოლო. მაგ-  
რამ იცი შენ ქართული ანდაზა, რომ ერთი ჭირი შარგე-  
ბულია? იცი შენ, რომ მე ეხლა ძალიან მიხარია, რომ შე-  
მომაბრძანეს აქ ერთი საათით?

— რას ლაპარაკობ ნეთანელ? მე შენი არაფერი  
მესმის. აქ რომ მოვდიოდი კარებთან გავიგონე, რომ შენ  
იძახოდი: გადაწყდაო. რა გადაწყდა? ნეტავ რატომ გიხა-  
რია ეს შეურაცყოფა აღმოცენებული საჩქმუნოებრივ  
ნიაღაგზე, რომელიც წარმოადგენს ძველი საუკუნეების  
სამარცხევინო ლაქას? აბა, ნეთანელ, ჩქარა გიპასუხე, თო-  
რემ მეტის მოთმენა აღარ შემიძლია.

— სწორედ ეხლა შეგვიძლია ლევან, განვახორციელოთ ჩვენი ძველი დიდი ხნის ოცნება. არ უნდა გავუშვათ ხელიდან ჩვენი კლასობრივი მტრების პროვოკაცია. ეს საუკეთესო მომენტია, როდესაც შევძლებთ ებრაელთა ფართო მასები მოვიზიროთ კულტურული მუშაობისაკენ. ეს ერთის მხრით. მეორე მხრით ჩვენ პრაქტიკულად უნდა გადავდგათ ნაბიჯი. ის, ხომ ხედავ აშ გეგმას? ეს ამ ოთახის გეგმაა. ეს სამი წერტილი ამ გეგმაზე ნიშნავს: აშ ადგილას იქნება გრძელი მაგიდა, ამ ადგილას პატარა მაგიდა, ამ ადგილას კიდევ წიგნების შეაფი.

— ვაშა ნეთანელ! შენ განდა სწორედ ამ ცარიელობაზე მოთავსებულ იქნეს ებრაელთა რაიონის საშკითხველო?

— ყოჩაღ, ლევან, შენ მიხვდი ჩემს აზრებს.

— აგერ ჩემი ხელი. მე შენთან ვარ ამ საკითხში. ეს სახლი მდებარეობს ებრაელთა უბნის ცენტრში და ამაზე უკეთესს ვერ ვიშოვით. წავიდეთ, საღაც საჭიროა და შევუთანხმოთ. ვერავინ და ვერაფერი ვერ დაგვიდგება მის შემდეგ. მე მოვახერხებ დღესვე ვიშოვოთ ასორმოცდა-ათი წიგნი.

— ი ამ კედელზე ჩამოვკიდოთ ლენინის, მარქსის და ენგელსის სურათები. იქ კიდევ კარების თავზე იცკა რიუინაშვილის სურათი. ორი ფანჯრის შუა კი გამოვჭიმოთ მუდამ ნოლიშარი შალომ ალეიხემი<sup>1)</sup>.

— მაგრამ სურათები და წიგნები ხომ არ კმარა? ოთახს სჭირდება განათება, ნივთები და რემონტის ვაკეთება. ამისათვის საჭიროა ფული. საბიუჯეტო წლამდე კი — ჯერ კიდევ დიდი ხანია. მანამდე კი პოლიტგანს არ შეუძლია არც ერთი კაპიკის გაღება. მე ეხლა იმას ვფიქ-

<sup>1)</sup> შალომ ალეიხემი — საკმაოდ ცნობილი, ებრაელთა სახალხო მწერალი. გარდაოცვალა 1916 წ.

რობ, როგორ უნდა ვიშოვოთ ფული? საჭიროა ყველა-  
ფერი საჩქაროდ გავაკეთოთ, რომ საჩქაროდ ღავცეთ თავ-  
ზარი ჩვენს მტრებს და საჩქაროდ შევქმნათ პირველი  
კულტურული კუთხე მშრომელ ებრაელთათვის.

— მეც გეთანხმები ლევან, რომ საჭიროა საჩქაროდ  
გავხსნათ. მე მზად ვარ, თუნდაც ხვალვე. ელექტრონის  
მაგიერ ჭრაქი ავანთოთ. ჯერ თვით ეს ჭრაქი ძილს  
დაუფრთხობს წყვდიადის მოციქულებს და რაღას იზამენ  
მაშინ, როდესაც ამ სამკითხველოდან გამოანათებს ელე-  
ქტრონის ძლევამოსილი შუქურა?.. მე უკვე გამოვიაწერ-  
არიშე, ჩვენ გვჭირდება ჯერჯერობით ასოცი მანეთი და  
ისიც ვიცი, როგორ ვიშოვოთ ეს ფული.

ამ დროს ოთახი გაიღო და შიგ შემოვიდა რაიონის  
კომისარი, უფროსი მილიციონერის თანხლებით. ლევანი  
თითქოს ვერც შეამჩნია, პირდაპირ მიმართა ნეთანელს:

— თქვენ თავისუფალი ხართ. აქ რაღაც გაუგებრობა  
ყოფილა და ჩვენ უკვე გამოვარკვიეთ.

ლევანი წინ წაშოდგა და პირდაპირ თვალებში აეტუზა:

— ვეღარ მიკანით, მოქალაქე კომისარო? არა უშავს,  
ნუ შეწუხდებით, ხელის ჩამორთმევა ჰიგიენური არაა.  
საინტერესოა, როდის შეიტყეთ, რომ აქ გაუგებრობა იყო?  
საერთოდ, ჩვენს პირობეში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით  
კიდევ ბევრი გაუგებრობა ხდება და ჩვენც ვეცდებით ეს  
გაუგებრობანი გამოვარკვიოთ. საბჭოთა ხელისუფლების  
მტრებს, რომლებიც მოქალათებულან ჩვენს აპარა-  
ტებში — ძირშივე აღმოვკვეთთ, გესმით კომისარო?

კომისარს კარგა ხანს ესმოდა, ესმოდა მეგობრების ნა-  
ბიჯებიც, როცა ჩადიოდენ კიბეებზე. ქუჩაში მოგროვი-  
ლიყო აუარებელი ხალხი, რომელიც უდიდესი ცნობის-  
მოყვარეობით და პატივისცემით ელოდა მეგობრების გა-  
მოჩენას. კარგა ხნის დაღამებული იყო, მაგრამ არავან მი-  
დიოდა სახლში და სურდათ თვითონ გამოლაპარაკებო-

დენ ნეთანელს და ლევანს. მიუხედავად იმისა, მეგობრები სალაპარაკოდ არ გაჩერდენ.

\* \*

\*

ვინც არ იცნობდა ამ ხალს, ერთი შეხედვით ძნელი გახდებოდა გაგება, რა მოხდა ისეთი, რომ ასე უცბად თავიდან ბოლომდე შეიცვალა მათი შეხედულება ნეთანელზე. ნეთანელი კარგად გრძნობდა, როდესაც ხედავდა თავის გარშემო მოგროვილ ხალს, რომ მისი ავტორიტეტი იზრდებოდა ყოველ წუთში და ვერავითარი ბნელი ძალები ვეღარ შესძლებდენ ცხოვრების აუცილებელი მსვლელობის შეჩერებას.

ლევანი და ნეთანელი — გადაიქცენ ფართე მასების მსჯელობის ობიექტად.

შემდეგმა დღეებმა მოიტანეს მთელი რიგი ახალი ამბებისა:

დაკარგული ბავში აღმოჩნდა სრულიად ჯანმრთელი და უწვალებელი სადგურ ხრესილში. მისი ჩამოყვანა ქალაქში ერთგვარი ტრიუფი იყო, როგორც მოდებაძეებისათვის, აგრეთვე იმ ხალხისათვის, რომელიც არ იზიარებდა არავითარ ასეთ მსგავს საზიზლარ ჭორებს.

რაიონის კომისარი მოხსნეს სამსახურიდან და მისცეს პასუხისმგებაში.

მასთან ერთად სასამართლოს გადაეცა ჩარჩი ვანოც.

სასამართლომ, ნეთანელის წინადაღებით, ვანოს შეუფარდა შედარებით იოლი სასჯელი: ჯარიმა 120 მანეთი ებრაელთა რაიონის სამკითხველოს სასარგებლოდ და მიეცა საში წელიწადი გამოსაცდელ ვადად.

დიდი სახლი ჩამოერთვა ვანოს და გადაეცა კომუნალურ ვანკოფილებას. ცარიელი და გრძელი ოთახი ვა-

### სურა.

ამ ხალხი აღარ ეტეოდა ოთახში და  
ლა ქუჩაზე იდგნენ.

ძველი ქვეყანა წყეცლას უთვლიდა ახალ თაობას, მაგრამ ამაოდ:

ახალი თაობა მტკიცედ მოდიოდა ახალი ნაბიჯებით  
და ახალი გზებით.

როცა ძველები ლოცულობდენ საღამოს ლოცვას,  
ახლები — საზეიმო საღამოზე კითხულობდენ ტფილისი-  
დან მიღებულ მისასალმებელ დეპეშებს.

### III.

#### ბათოში.

სანაპირო რაზმის სამმართველოში ტელეფონთან-  
იჯდა ახალგაზდა კაცი წითელარმიელის მაზარაში გამო-  
ხვეული. წლოვანებით იგი ახალგაზდა იყო: ჯერ კიდევ  
ოცდასამი წელი არ ჰქონდა შესრულებული, მაგრამ შეხე-  
დულებით ოცდაათი წლის გაუკაცს ჰგავდა. სახეზე ეტყო-  
ბოდა, რომ ცხოვრებაში მას შეხვედრით მრავალი უსია-  
მოვნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი არ ვარდებოდა  
სასოწარკვეთილებაში და ენერგიულად აგრძელებდა გზას.

ოთახში მარტო იყო. არავინ არ ურღვევდა მყუდროე-  
ბას. ქალაქს უკვე ეძინა. დრო გამოშეებით მოისწოდა  
ზღვის ძლიერი ტალღების ნმაური.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზდას მეტის მეტად  
ძნელი სამუშაო ჰქონდა, იგი ბერს არ ჰმოურებოდა. იგი  
სთვლიდა იმ საქმეს, რასაც ის ემსახურებოდა — სასარგე-

მჩს არა

ფხებილად იდგა საც

ამ საღამოს იგი ღელავდა. սაგ

სხვადასხვა საჭირო ქალავდები. რამდენის

თი გადარჩევა და მოწესრიგება, მაგრამ კერ მაკ  
ყოველ წუთში გულის ფანცქალით ელოდა, რომ ტელე-  
ფონზე დაუძახებდენ. როგორ უნდოდა, რომაჩარა და-  
ძანათ და შევტყობინებიათ მისთვის სასიხარულო ამბავი.  
და რა იყო ეს სასიხარულო ამბავი?

იგი არ ცხოვრობდა თავის პირადი სიხარულით. დიდი-  
ხანია მას გამოესალმა. ეს იყო ოდესლაც. სიზმარივით  
გაპერა. ეხლა იგი ცხოვრობდა საერთო ინტერესებით,  
სახელმწიფო ინტერესებით. ყოველთვის, როდესაც მას  
შეატყობინებდენ, რომ დაჭერილია კონტრაბანდისტთა ესა  
თუ თუ ის ჯგუფი, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.  
რგი მთელი თავის არსებით გატაცებული იყო მხოლოდ  
ამ საქმით. იგი სხვაზე არ ჰფიქრობდა, უკედ, ცდილობ-  
და არ ეფიქრა.

ახლაც ჰფიქრობდა მხოლოდ იმ ჯგუფზე, რომელიც  
მისი ცნობების თანახმად დღეს ქალაქში იყო შემოსული  
და ეწეოდა კონტრაბანდით ვაჭრობას. ღელავდა და  
უაზროდ უცქერდა დაფანტულ ქალალდებს. უცბად გა-  
ისმა ტელეფონის წერიალი.

— შესმის. ეს მე ვარ, ამხანაგი ლევი. რა ჰქენით? და  
აპატიმრეთ? ძალიან კარიგი. — რამდენი? ხუთი? მოიყვა-  
ნეთ ეხლავე, საჩქაროდ, ვიცდით. დაჭერილი საქონელი?  
დალუქეთ და თან წამოიღეთ.

ძლიერ მოისუნთქა დამშვიდებით. შემდეგ შეუდგა  
არეულ-დარეულ ქალალდების მოწესრიგებას და როცა

დაასრულა მათი შოგვარება, შოუკიდა ცეცხლი პაპი  
პიროს და დაიწყო ლოდინი.

ოთახში შემოვიდა წითელარმიელი, რომელმაც შეა-  
ტყობინა, რომ ყველა პატიმრები უკვე მოყვანილ  
არიან.

— ძალიან კარგი, შემოუშვით სათითაოდ.

შემოვიდა პირველი. ეს იყო მაღალ-მაღალი, სლავი-  
ანური ტიპის კაცი. ჰქონდა პატარა, კატისფერი თვალე-  
ბი და შეშინებული აცეცებდა აქეთ-იქით..

— თქვენი სწორი სახელი და გვარი? — მიმართა  
ლევიმ.

— სერიოჟა სოკოლოვსკი.

— წლოვანება?

— ოცდათორმეტი წლისა.

— ეროვნება?

— რუსი.

— რომელ ქალაქიდან ხართ წამოსული?

— ნოვორისიისკიდან.

— რამდენი ხანია ჩამოსული ხართ?

— დღეს ჩამოვედი.

ლევიმ ჩახედა საქმეში და შემდეგ მიმართა:

— გირჩევთ აღიაროთ სიმართლე. ჩვენ ყველაფერი  
ვიცით.

კონტრაბანდისტი ჩუმად იყო.

— დიდი ხანია ეწევით კონტრაბანდით ვაჭრობას?

— მე სულაც არ ვეწევი კონტრაბანდით ვაჭრობას. მე  
შემთხვევით ვიყავი ჩამოსული პათომში. გადავეკიდე  
ერთ თათარს და იმან შემაცდინა.

— კიდევ გირჩევთ, საქმეს ნუ იფუჭებთ. ილაპარაკეთ  
მხოლოდ სიმართლე, სიმართლე. რა ჩამოგართვეს?

— სამოცი მეტრი კავერკოტი. და ოცი კარობკა პუ-  
დრი კოტიე.

— რისთვის გჭირდებოდათ ამდენი საქონელი?

— მე დიდი ოჯახი მყავს. აგრეთვე ძმები და დები. შე ყველაფერი ეს ვიყიდე არა გასაყიდათ, არამედ საშინაოდ.

— საშინაოდ იყიდეთ? ოცი კარობკა პუდრი და სამოცი მეტრი კავერკოტი. ძალიან კარგი მაღა გქონიათ, მოქალაქე სოკოლოვსკი. ან იქნებ ჰელიკობთ, რომ შესძლოთ აგვიხვიოთ თვალები და დაგვიმტკიცოთ, რომ თქვენ არასოდეს არ ეწეოდით კონტრაბანდით ვაჭრობას? მოიგონეთ სოჩა და ოდესა. თქვენ გაქვთ შვიდი რეგისტრაცია და უკვე მერვედ ჩავარდით. თქვენი გამოსწორება, როგორც ჩანს, არ შეიძლება საპატიმროთი. თქვენ, როგორც სოციალურად საშიში ელემენტი სახელმწიფოსათვის, უნდა იქნეთ გადასახლებული ძალიან შორს. აშეამად კი თქვენ გადაგგზავნით სახელმწიფო პოლიტიკამმართველოს განკარგულებაში.

სოკოლოვსკი თითქოს ელოდა ასეთ განაჩენს, წარბშეუხრელად გაჰყვა წითელარმიელს. ერთი წამის შემდეგ შეშოვიდა მეორე კონტრაბანდისტი. იგი იყო საშუალო ტანადობისა, შავი სახის პატრონი, ჰქონდა გრძელი ულვაში და პატარა წვერი ნიკაპზე.

— თქვენი სახელი და გვარი?

— ტიგრან მანუკიანცი, ბატონო.

— რით ვერ გადაეჩვიეთ ამ ბატონოს, მოქადაგებები მანუკიანც?

— ბატონი ბრძანდებით, აბა ბატონი როშ არ იყოთ, აქვინ დაგაჯენდათ. სადაური ჩემი ამხანაგი ხართ, მე კონტრაბანდისტი ვარ, თქვენ კი ჩვენი მთავრობა ხართ, ღმერთმა გაცოცხლოთ. გაჭირვებაში რომ ჩავვარდებით, უნდა დაგვისხნათ ხოლმე.

— ზედმეტ ლაპარაკს თავი ანებეთ. დიდი ხანია ჰყილით კონტრაბანდას?

— შე, ბატონო? როგორ გექადრებათ... მე სულ საში  
თვეა, რაც ერთმა ურიაშ შემაცდინა. ის ურია ჩვენთანაა  
ეხლა დაჭერილი.

— რა დავიქირეს?

— ცოტაოდენი ფართალი მქონდა საშინაოდ ნაყიდი.

— შენც საშინაოდ გქონდა ნაყიდი? საინტერესოა,  
როგორ ყველა ერთნაირად მღერით. კმარა, გაიყვანეთ.

— სად, ბატონო, სად უნდა გამიყვანონ?

— ჯერ სარდაფში და მერე ვნახოთ.

— ვა, როგორ გექადრებათ ბატონო ასეთი საქშე? სა-  
ქონელი ხომ წაიღეთ და მეტი რაღა გინდათ? მე ჩემი ზა-  
რალიც მეყოფა. მაშ რიღასთვის მიჭერთ? არ შეიძლება  
სახლში წავიდე?

— რომ შეიძლებოდეს თქვენი სახლში წასვლა, განა  
თქვენისთანა მუქთახორებს პურს ვაჭმევთ? გაიყვანეთ.

მანუკიანცის გაყვანის შემდეგ, შემოუშვეს მესამე  
კონტრაბანდისტი. მას ჩაჩკრმულობა მაჰშადიანური ჰქონდა,  
ხოლო შეხედულებით კი ქართველს ჰეგავდა.

— სახელი და გვარი?

— პასან იუსუფ-ოღლი.

— პასან იუსუფ-ოღლი... ეს გვარი ჩემთვის კარგად  
ცნობილია. მაშ ასე... თქვენ კიდევ ჩავარდით ჩენენს ხელში?  
თქვენ გაქვთ ჩვილმეტი რეგისტრაცია და ვერაფრით თქვე-  
ნი გამოსწორება ვერ შოხერხდა. თქვენი დარჩენა აჭარის-  
ტანში აღარ შეიძლება. გადაგაგზავნით სახელმწიფო პო-  
ლიტიკურ სამშართველოში და ვფიქრობ, ისინი მიიღებენ  
ყოველივე ზომებს, რათა თქვენ გამოვასწორონ.

იუსუფ-ოღლის გააურეოლა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონ-  
და. უხალისოდ გაჰყვა წითელარმიელს. შეშოუშვეს  
მეოთხე.

— თქვენი სახელი და გვარი?

- ევტიხი მოდებაძე.
- ევტიხი... ევტიხი... სად გამიგონია ეს სახელი? ვერ ვიგონებ. წლოვანება?
- ოცდაცხრა წლისა.
- რომელი ქალაქიდან ხართ ჩამოსული?
- ქუთაისიდან.
- რამდენი ხანია ჩამოხვედით?
- მეხუთე დღეა.
- თქვენ ჩვენთან რეგისტრაციაში არ ხართ გატარებული. ნუ თუ ეხლა შეუდექით ამ ხელობას, თუ წინადაც დახელოვნებული იყავით აშ საქმეში?
- თუ დამიჯერებთ, მოგახსენებთ, რომ მე, როდესაც მოვდიოდი ბათომისაკენ, თავზედს ვიწყევლიდი. ბოროტმა ძალამ მაიძულა წამოვსულიყავი. მე ჩემს სიცოცხლეში არასოდეს თანხა არა მქონია. ყოველთვის ვიყავი ნოქარი და ჩემი შრომით ცირჩენდი თავს. ოც საათს მამუშავებდენ დღელაშეში. არ ზოგავდენ ჩემს ჯანსა და ღონეს. როცა რევოლუცია შოხდა და გადაბრუნდა ყველაფერი, ჩემს „ხაზეინს“ უკულმა წაუვიდა საქმები. სახლები ჩამოართვეს და ვაჭრობაც შეუმოკლეს. იმან ჭკუა იხმარა და ფულები გადაარჩინა. ამ ფულებით გამომგზავნა აქ, რომ შემეყიდა საზღვარგარეთის საქონელი და ჩამეტანა მისთვის. როცა ყველაფერი შევიყიდე საქონელთან ერთად დამიჭირეს. მე ყველაფერი მოგახსენეთ. ახლა, როგორც გენებოთ ისე მოიქეცით. იმასაც მოგახსენებთ, რომ არ წამოვსულიყავი, შე ისე ვყავარ ხელში ჩაჭერილი „ხაზეინს“, რომ სიმშილით ამოგვხოცავდა მეც და ჩემს ცოლშვილსაც.
- თუ ნოქარი ხართ, პროფესიის რატომ არ ხართ ჩაწერილი?
- მოკვლით დამემუქრა.

— სირცევილია, ახალგაზდა კაცი როგორ შეუშინდით  
თქვენს გამყვლეთელს. მიბოძეთ თქვენი საბუთი. ძალიან  
კარგი. ახლა მითხარით, ვინ არის თქვენი „ხაზეინი“?

— ვანო ხარზაშვილი.

— ვანო?! ვანო?! ეს წურბელა, ეს ხალხის სისხლის  
მწოვი?..

მოდებაძეს არ ესმოდა რა ემართებოდა ლევის, ხოლო  
ლევის კი გაეხსნა ძველი ჭრილობა და ყველაფერი ძველი,  
როჩელიც ეკუთვნოდა მისთვის შორეულ წარსულს, ნა-  
თლად წარმოუდგა თვალწინ. მაგრამ არ დაუმორჩილა  
თავი სავსებით გრძნობას და განაგრძო:

— ეს იყოს პირველი და უკანასკნელი შეცდომა. თქვენ  
ეხლა განთავისუფლებთ. მომავალში აღარ შესცდეთ. წა-  
დით და ეძიეთ ლუკმა პური პატიოსანი გზით, პატიოსანი  
შრომით. გადაეცით ვანოს, რომ ზისი საქონელი, მისი სი-  
მდიდრე ჩამორთმეულია ლევის მიერ. ეს საქონელი და ეს  
სიმდიდრე მან შეიძინა ლარიბლატაკი ხალხის ზურგზე, მე-  
ვახშეობით და ცარცვაგლეჯით. დღეს დადგა განკითხვის  
დრო და ყველა მცარცველმა უნდა აკოს პასუხი.

მოდებაძე გავიდა ძლიერ დაფიქრებული. არა ნაკლებ  
მასზე დაფიქრებული იყო ლევიც, მაგრამ მან ვერ მისცა  
ფიქრებს გარკვეული მიმართულება. მის წინ იდგა შეხუთე  
პატიმარი. ლევის ეგონა, რომ უკვე სძინავს და სიზმარში  
ხედავს აშ პატიმარს. ეს პატიმარი არც ისე უცნობი უნდა  
იყოს. ეს თვალები, ეს თავხედური და ხულიგნური გამო-  
მეტყველება — რაღაც ახლობელი უნდა იყოს ლევი-  
სათვის.

— თქვენი სახელი, მამის სახელი, გვარი...

— ისაკ რეუბენისძე ..... კაკიაშვილი.

ლევი გაშტერდა, თვალთ დაუბნელდა, ხელიდან კა-  
ლამი გაუვარდა. არ სჯეროდა, მაგრამ სინამდვილე იყო.  
არა ნაკლებ აღელვებული იყო პატიმარი, როდესაც გაი-

გონა ნაცნობი ხმა, რომელიც არ ისმოდა მისთვის და მისი ოჯახისთვის უკვე შვიდი წლის განმავლობაში. ვეღარ მოითმინეს და ხმამაღლა შეჰქიფლეს:

— ლევი!

— ისაკ!

იდგნენ ძმები ერთი-ერთმანეთის პირდაპირ. უდიდესი სურვილი ჰქონდათ ორივეს გადახვეოდენ ერთი მეორეს, მაგრამ ვერც ურთი მათგანი ფეხს ვერ სძრავდა.

ოთახში გამეფდა სამარისებური სიჩუმე. ამ სიჩუმეში ელვარებდა ოთხი თვალი. ისმოდა გახშირებული სუნთქვა. გაუგებარი წუთები იყო და ორივენი დაიბნენ.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ პირველ შომენტში. სამსახურის მოვალეობის შეგნებამ წასძლია ლევის და გრძნობა გონებას დაუმორჩილა. ხელიც არ ჩამოართვა თავის ძმას და შეუდგა. დაკითხვას.

აოცებდა ისაკი ეს ამბავი. ეგონა პირველად, რომ შას ეშველა, მაგრამ ეხლა მიხვდა, რომ მწარედ შესცდა.

— ნუ თუ ისაკ, რევოლუციამ, გასაბჭოებამ და შვიდმა წელიწადშა ვერაფერი გასწავლეს? მენშევიკების დრო ციხეში გაატარე, ეხლა, ბალშევიკების დროსაც არ გინდა გამოეთხოვო. ციხეს? ნუ თუ ამდენ ხანს ვერ მიხვდი, რომ წავიდა ძველი დრო, რომ დღეს იოლად და უსინიდისოდ ალარავის შეუძლია იცხოვოს, რომ დღეს ყოველი პატიოსანი მოქალაქე ვალდებულია იშრომოს, იშრომოს და მხოლოდ იშრომოს?

ისაკი თვალს არ აშორებდა. ლევი არ გამოცვლილა, ის ისეთივე დარჩა, როგორიც იყო ძველად: ვაჭართა კლასის საშინელი მტერი. ოდესლაც ისაკი არ მოუთმენდა ლევის ასეთ ლაპარაკს, მაგრამ ეხლა ჩუმად იყო. ისაკზე მოქმედებდა არა მარტო ის, რომ ლევი ხელისუფლების წარმომადგენელი იყო, არამედ ისიც, რომ ლევის სიტყვები დღეს უკვე მოდიოდა, როგორც შეგნებული აღამიანის

ძახილი, როგორც ავტორიტეტული თქმა და როგორც  
შეუდრევებელი წებისყოფის ნაყოფი. ისაკი იდგა, როგორც  
დამნაშავე, თავდახრილი და ხმას ვერ იღებდა.

ლევის კი აკვირვებდა ისაკის ასეთი მორჩილება.  
ლევი იცნობდა ისაკის დაუდგრომელ ბუნებას და ამიტომ  
ვერ გაეცო, რატომ დაჩუმებულიყო.

— რა ჩამოგართვეს?

— ჩულქები, ინდიგო, საპლაშე და სხვა წვრილმანი.

— რისთვის ეწევი ამ სამარცხვინო ხელობას?

— აბა რა უნდა ვქნათ, ლევი. შენი წასკლის შემ-  
დეგ სულ უკულმა წავიდა ჩეენი ოჯახის საქმე. ბალშევი-  
კებმა თუ რამე გვქონდა: სახლი და კარი, მაღაზია და ფარ-  
თალი, ფული და ნივთები — სულ ქრთიანად ჩამოგვარ-  
თვეს. აღარაფერი არ შეგვარჩინეს. დაგვიტოვეს მარტო  
სამი პატარა ოთახი. მამა ნერვიული გახდა. იგი მოხუცდა,  
წელში მოიხარა და დასწეულდა. ვაჭრობა და საქმიანობა  
იმას აღარ შეუძლია. არონი ხომ დიდი ხანია უკვე ხელ-  
აღებულია საქმეზე. გამოაჩნდა ჭლექი და ყოველ დღე  
ჩეენი თვალების წინ დნება და დნება... დედა სულ სტი-  
რის. სახლში პატრონი აღარავინ არის. ისევ მე დავრჩი  
ერთი. გადავსწყვიტე ოჯახისათვის ყური მეგდო და და-  
ვიწყე საქმიანობა.

— ოჯახისათვის ყურისგდება ძალიან კარგი საქშეა,  
მაგრამ განა უკეთესი საქმე ვერ იშოვე, როგორც კონტრა-  
ბანდით ვაჭრობა? რამდენი ხანია ეწევი ამ ხელობას?

— მალე უკვე წელიწადია.

— სამწუხაროა და სამარცხვინო. რაც მომიყევი ოჯა-  
ხის ამშები, სუსელაფერი მჯერა და შესმის. მე თვავიდანვე  
ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. მაგრამ ნუ მიცემერი ტყუილად  
მაგ თვალებით. მე არ შემიძლია შენი გადარჩენა. მე გუ-  
ლი მკვდარი მაქვს, გესშის ისაკ? მე აღარ ვცხოვრობ დღეს  
ოჯახისათვის, მე ვცხოვრობ დღეს მშრომელი ხალხისა-

თვის. ბევრი რამ გადაეიტანე ამ შვიდი წლის განმავლობაში. სულ ცოტა ხანია, რაც ჩამოვედი რუსეთიდან. არ მეგონა, რომ საქართველოში ჩამოსვლისთანავე ჩემი საკუთარი ხელით დამჭირდებოდა ჩემი საკუთარი ძმის გასამართლება. მაგრამ აუცილებლობას ვერავინ ვერ გაექცევა. პროლეტარიატის ღიქტატურის კანონები ულმობელია. ნათესაური გრძნობა უნდა დაემორჩილოს კლასიურ გრძნობას...

ესმოდა ყოველივე ეს ისაკს. მაგრამ მას ესმოდა არა მარტო ეს სიტყვები. მას ესმოდა ისიც, რომ უდიდესი უფსექტულია აღმართული მისსა და ლევის შორის. ესმოდა ისაკს, რომ მისი საქონელი გადაეცემოდა საბაჟოს. ესმოდა ისაკს, რომ ის უნდა იქნეს გადასახლებული შორეულ ციმბირში... ყველაფერი ესმოდა, მაგრამ ულონო იყო. მისი საკითხი გადაწყვეტილი იყო. ოჯ, როგორ მკაცრად მოექცა შისი ღვიძლი ძმა! ვინ იცის, სხეა რომ ყოფილიყო ლევის აღგილას, ასეთი მრისხანე განაჩენი შეიძლება არ გამოეტანა ისაკისათვის. ისაკს აღარ დაუწყია ხვეწნა, ბავშობიდანვე ახსოედა ლევის ხასიათი: ლევის სიტყვა კანონი იყო.

განშორდენ ძმები, როგორც მტრები. ისაკი წყევლაკრულვას უთვლიდა ლევის, ხოლო ლევიმ კი ისაკის გასვლის შემდეგ, ველარ მოითმინა, ჩაჰკეტა ოთახი და მწარედ აქვითინდა. ეს ღამე ყველაზე უფრო საზარელი იყო, მისთვის ამ უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში. ჯერ მოდებაძემ და შემდეგ ძმასთან უეცარმა შეხვედრამ გააღხვეს მისი ქვა გული და აიძულეს ცოტანით შაინც დაბრუნებოდა წარსულს. გაახსენდა მოხუცი დედა, მოხუცი მამა, ავადმყოფი მორწმუნე ძმა, ნეთანელი, ლევანი...

უეცარი გრძნობების მოზვავებაშ განვლო. ლევიმ გაიარ-გამოიარა ოთახში და გულზე მოეშვა. შემდეგ ისევ მოუკიდა ცეცხლი პაპიროსს, მიუბრუნდა თავის საწერ მა-

„ჩემი მოვალეობა პირნათლად შევასრულე. სანაპირო  
რაზეში ვმუშაობდი შეუსვენებლივ. ეხლა მინდა ვიმუშაო  
ჩემი სპეციალობით. რუსეთში შევისწავლე ხანძრის ქრო-  
ბის საქმე ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.  
გთხოვთ გამაგზავნოთ სახანძრო რაზმში სამუშაოდ. თავი-  
სუფალ დროს მოვანდომებ თვითგანვითარებას, რომლის-  
კენაც ძლიერი ღტოლვა მქონდა ჯერ კიდევ ბავშობი-  
დანვე“.

#### IV.

შეორე დღეა, არონის ჯანმრთელობის მდგომარეობა  
საგრძნობლად გაუარესდა. იგი თითქმის ხმას არ იღებდა.  
თუ რამეს იტყოდა, მოხუცი მშობლებისათვის გაუგებარი  
იყო. დილაობით სიცხე სულ არ ჰქონდა და იწვა მისუსტე-  
ბული, ღონემიხდილი. ხოლო ხანდახან საღამოობით  
მისცემდა ძალიან დიდ სიცხეს და შაშინ ღაიწყებდა  
ბოდვას.

მოხუცი მშობლები თითქმის დღე და ღამე სდარაჯობ-  
დენ, დადიოდენ ფეხის თითებზე. ყოველ ორ საათში მო-  
დიოდა ექიმი. მოდიოდენ აგრეთვე მნახველები, განსაკუთ-  
რებით იეშიბის თაღმიღები<sup>1)</sup>). არონი ვეღარავის ცნობი-  
ლობდა და ექიმმა აკრძალა გარეშე მნახველების მისელა.

რეუბენს არ დაუკლია შრომა თავისი შვილის გადა-  
სარჩენად. ექიმების გარდა, მან, როგორც მორწმუნე ებრა-  
ელმა, გაუგზავნა თვითონ ადმორს<sup>2)</sup> ლენინგრადში დე-  
პეშა, რათა მას ელოცა მისი შვილის გამოსაჯანმრთე-  
ლებლად.

<sup>1)</sup> თაღმიღები — მოწაფეები.

<sup>2)</sup> ადმორი — ხასიათების სექტის მამამთავარი, წმინდანად  
მიჩნეული.

ლოცულობდა ლენინგრადში ადმინისტრაციის, ადგილობრივად — მისი იეჭიბის ამხანაგები, მშობლები და სხვა მორწმუნები, მაგრამ არონს არაფერი შველოდა. მისი მდგრადარეობა თანდათან უარესდებოდა და გადარჩენის იმედი არ იყო.

არონის საწოლთან ახლოს ჩამომჯდარიყვნენ რეუბენი და სარა. ყოველი მათგანი სათითოობდ, კარგად ჰერძნობდა შექმნილ მძიმე მდგომარეობას, მაგრამ ხმას ვერავინ იღებდა. მათ მაგიერ მეტყველებდა მათი სახე, რომელზედაც იხატებოდა: ტანჯვა, სევდა და განუკურნებელი ტკივილი.

...არ ელოდა რეუბენი ასეთ სიბერეს. მთელი თავის სიცოცხლე ზრუნავდა ფულზე. ფული იყო მისი კერპი. ჰერიქ-რობდა, რომ სიბერის დროს ფულის მქონე ადამიანი — ეს ყველაფერი იყო, მაგრამ ეხლა ხედავდა, როგორ მოსტყუვდა. ეხლა დარწმუნდა, რომ ფულმა ის დაპლუპა, რომ ფულმა, საკუთარმა ფულმა დედამიწამდე გაასწორა. დაპერარგა მაღაზიები, სახლები, ფული, ქონება. უკანასკნელად დაუტოვეს სამი ოთახი. ამ კვირაში მას ჩამოართვეს კიდევ ერთი ოთახი. დარჩა ორი პატარა ოთახი, რომელშიდაც ფულს იხდიდა. ფულს კი იხდიდა იმით, რომ ყოველდღე ჰყიდდა უკანასკნელ ნივთებს, მაგრამ რას იზამდა შაშინ, როდესაც გაპყიდდა ყველაფერს? ამაზე აღარ ჰერიქ-რობდა რეუბენი. სიცოცხლეს აგრძელებდა ხელოვნურად, მექანიკურად. ან რა საჭირო იყო დაკარგულ ნივთებზე ფიქრი? განა მარტო ნივთები დაპერარგა? ყველაზე უძვირფასესი — მშობლის სახელი? განა ის ეხლა შამაა? მაშინ — სად არიან მისი შვილები? ლეგი, უკვე შვიდ წელიწადზე მეტია აღარ ჩანს. იგი კარგა ხანია მკვდარია რეუბენისათვის. საკი გადასახლეს სადღაც შორს, შორეულ ციმბირში იმ დროს, როდესაც მან დაიწყო დაჭკვიანება და შეუდგა ოჯახისათვის ზრუნვას. ხოლო არონი,

ღვთის მოშიში და ჭეშმარიტი ებრაელი, ჯამაათის საამაყო  
შვილი — ჩავარდნილია ჭლექის კლანჭებში და ყოველ-  
დღე სიკვდილს ელის. მაშინ ვიღა დარჩება რეუბნეს, ვი-  
ღასთვის უნდა იზრუნოს? ნუ თუ ხალხი? მაგრამ რომელი  
ხალხი? ყოველდღე მრავლდება ურწმუნოთა რიცხვი.  
ახალგაზრდობა მიიღების ნეთანელისაკენ. ლევი, რომ აქ  
ყოფილიყო, აღბათ ისიც შათთან იქნებოდა. ან ვის რაში  
უნდა რეუბენის ზრუნვა? რეუბენი ხომ უკვე გაღატაკდა?  
რეუბენს ხომ აღარაფრის გაკეთება არ შეუძლია? ვინ  
იზრუნებს თვითონ რეუბენისათვის? ვინ მიაწოდებს რეუ-  
ბენსა და სარას — გამწარებული სიბერის დროს უკა-  
ნასკნელ ლუკმას? ვინ? ვინ? ვინ?

... შეიძლება მისი ძევლი მეგობრები, რომლებსაც თა-  
ვის დროზე რეუბენი ძალიან პატივს სცემდა? ფუჭი ოცნე-  
ბაა, აღარავის ახსოვს. განა ვისგან უნდა ელოდეს დახშა-  
რებას? ვანოსაგან? ვანო, რომელიც დღეს მოსისხლე  
მტრად გადაჭცეულა რეუბენისა? რისთვის? რა დაუშავე-  
ბია რეუბენს ვანოსათვის? ლევის ჩამოურთმევია მოდება-  
ძისათვის ვანოს კონტრაბადა. მერე რა შუაშია მოხუცი  
რეუბენი? რა იცის მან, სად არის ლევი? როშელი ლევია?  
ნუ თუ ეს იმის შვილია? ბოროტი ენები ლაპარაკობენ,  
თითქოს ისაკსაც ლევიმ ჩამოართვა საქონელი და გადა-  
სახლაო. მაგრამ შეიძლება ასეთი ამბავი? ვის გაუგონია,  
ვის მოსწრებია, რომ ძმას დაეკლას თავისი ღვიძლი ძმა—  
ვიღაც ურჯულო ბალშევიკების გულისათვის? არა, ეს  
შეუძლებელია...

... მაგრამ ვინ იცის. შეიძლება სიმართლეცაა. დღეს  
შვეუნიერება გამოიცვალა. აღარავინ არის თავის ჭიკუაზე.  
ადონამ<sup>1)</sup> აურია ყველაფერი. ადონაი მიდგა თავის გაჩე-  
ნილებს და აღარავის ინდობს. თორაში ჩამოთველილი

<sup>1)</sup> ადონაი — ღმერთი.

წყევლა-კრულვა — ყოველდღე იჩენს თავს. ადამიანები გაამპარტავნდნენ, აღარ ცნობილობენ მის დიდ ტახტს და სამაგიეროდ გაულმერთებიათ ლენინი და სტალინი... როგორ შეიძლება ამდენი ცოდვა აპატივოს ღმერთშა ხალხს? ღმერთი შემბრალეა და მრისხანე. იგი გამოცდაზე აყენებს ორფეხზე მავალ პირუტყვებს. გამოცდაში ჩაიჭრენ და ეხლა ყველანი იღებენ თავის საკადრის სასჯელს. ახია მათზე. აწი მაინც გაიგებენ თუ რას ნიშნავს ღმერთის უარყოფა. მაგრამ... არონი ხომ ღვთის მორწმუნეა, არონი ხომ წმინდაა, როგორც ზეციური ანგელოზი. მაშ არონი რიღასთვის იტანჯება? რიღასთვის კვდება?

ეკითხებოდა რეუბენი თავის თავს, ეკითხებოდა ღმერთის. ეკითხებოდა სარას სიმწარისაგან გაქვავებულ თვალებს, მაგრამ პასუხი არ იყო, არსად არ იყო.

სარას ტირილიც აღარ შეეძლო. მისი სხეული გაქვავებულ ქანდაკებას ჰგავდა. მისჩერებოდა მომაკვდავ შვილს უსიტყვოდ, უაზროდ. რეუბენივით სხვაზე არაფერს ჰფიქ-რობდა. ამ წუთში დედა ჰფიქ-რობდა შვილზე, მხოლოდ შვილზე, რომელიც დღეს თუ ხვალ უნდა გამოსალმებოდა მათ სამუდამოდ. ოკ, რომ შესძლებოდა სარას არონის გადარჩენა — თუნდაც თავის საკუთარი სიცოცხლის შეწირვით, იგი ერთ წუთსაც არ დაფიქრდებოდა და თავის მოხუც თავს სიყვარულით მიიტანდა სამსხვერპლოზე.

მაგრამ არონის გადარჩენა აღარ შეიძლებოდა. იგი იწვა წყნარად, გაყვითლებული და დამშუქნარი. წვერი გაზრდოდა, თვალები დახუჭული ჰქონდა და უეჭიმოდაც შეიძლებოდა იმის განსაზღვრა, რომ არონი დიდხანს ვეღარ იცოცხლებდა.

საღამო. ახლოვდებოდა. მოხუცებს ყველაზე უფრო ეშინოდათ სალამოსი. სალამოს უამს იწყებოდა შუდამ ნამდვილი აგონია. მისუსტებულ არონს სიცხე უმატებდა

ფერსა და ღონეს. სიცხვე იზრდებოდა საოცარი სისწრაფით  
და არონიც იწყებდა ბოდვას, რომელიც შეწყდებოდა მხო-  
ლოდ განთიაღზე.

აი ეხლაც, უცბად შეინძრა არონი და ნელი ხელის  
კვრით შეეცადა საბნის გადაგდებას. მიხვდენ მშობლები:  
არონს სიცხვე მისცა. ლოყები გაუწითლდა, თვალები გაუ-  
სივდა და ცრემლები გადმოჰყარა.

ეს უკვე ნიშნავდა დაიდ სიცხეს. და არონმა დაიწყო:

— ჩხუბობენ... აი, აი, ხედავთ... ორი ანგელოზი...  
ანგელოზი სიკეთისა გაბრიელ ჰამალახი... <sup>1)</sup> ანგელოზი  
ბოროტებისა სამახ-მემ-ჰარაშაყი <sup>2)</sup>... ისრაელის შვილებო,  
რას უყურებთ... აიღეთ შოთარი, დაუკარით... აიღეთ სი-  
ღურები, ილოცეთ... გამოაცხადეთ თაყანითი... <sup>3)</sup> რომელი  
ანგელოზიც გამარჯვებს ამ ჩხუბში... იმაზე იქნება დამო-  
კიდებული ისრაელის შვილების ბედი... ილოცეთ, იტი-  
რეთ... შეევეღრეთ ღმერთს... მოინანიეთ... მოინანიეთ  
თქვენი ცოდვები... მიეცით ერთმანეთს მეხილა... <sup>4)</sup> იკით-  
ხეთ თეილიმი... <sup>5)</sup> იმწყემსოს ცხვარშა მგელთან... დაი-  
მტვრეს თოფები და ზარბაზნები... იწინასწარმეტყვლა  
იეშაყიაშ... იეშაყია... იეშაყია... შენი შვილები გაორ-  
გულდენ... და ირმიაუსავით <sup>6)</sup> გიპირობენ ორმოში ჩაგდე-  
ბას... ფრთხილად... ფრთხილად, გესმის... მანდ ორშოა...  
შენ უკვე ჩაგდეს... მეც შენთან ერთად მაგდებენ... გი-  
ცხადებ ომს... გახერემებ... შემაყ ისრაელ <sup>7)</sup>...

<sup>1)</sup> გაბრიელ ჰამალახ — გაბრიელ ანგელოზი.

<sup>2)</sup> სამახ-მემ-ჰარაშაყ — ბოროტი ანგელოზი — სამახ-მემ.

<sup>3)</sup> თაყანით — მარხვა.

<sup>4)</sup> მეხილა — შენდობა, პატივება.

<sup>5)</sup> თეილიმ — ფსალმუნი.

<sup>6)</sup> ირმიაუ — წინასწარმეტყვლი იერემია.

<sup>7)</sup> შემაყ ისრაელ — ისმინე ისრაელო... (ასე იწყება ერთ-  
ერთი ებრაული ლოცვა).

ამის შემდეგ ფრჩხილებით ჩაიცლო კედელს ხელი და  
დაუწყო ფხაჭნა. მშობლებს ჯერ ამის მსგავსი არაფერი არ  
ენახათ და დაიწყეს ტარილი. თან ავადმყოფს აწყნა-  
რებდენ:

— არონ! ჩვენო სიამაყევ, რა გემართება, დაწყნარდი...

— აი, აი, ხომ ხედავთ... გამოეფინენ სამახ-მემის რაზ-  
მები... ისინი ათასნი არიან... შე კი ერთი ვარ... გესმით...  
გაიქცენ... შეშინდენ... მე ერთი მივდევ... აღარც ერთს  
არ გაუშვებ ცოცხალს... ამოვსწყვეტავ მათ სახელს... მა-  
შინ ისრაელის შვილს ვეღარ უმტრობენ, როცა დაჯდება  
დიდი ბეთ-დინი...<sup>1)</sup>

და ისევ დაიწყო ფრჩხილებით ფხაჭნა. შემდეგ თავი  
მიახალა კედელზე. რეუბენი შეშფოთდა და შეჰკივლა:

— ჩქარა, სარა ექიმი.

მოხუცი სარა გამოვარდა გარედ. უკვე ბნელოდა. ექი-  
მის სახლამდე საქმაოდ დიდი მანძილი იყო. სარა აღარა-  
ფერს აღარ ჰქოიქრობდა. გული მისი აღარ მუშაობდა და  
მხოლოდ გრძნობდა, რომ დიდი უბედურება უნდა და-  
ტრიალებულიყო მათ ოჯახში. იგი მირბოდა და უკან არ  
იხედებოდა. შირბოდა თავმოწყვეტით, გავიუებული. მთა-  
ვარ ქუჩაზე დიდი მოძრაობა იყო. აუარებელი ხალხი მი-  
დი-მოდიოდა და ყველას უკვირდა ვინ იყო ეს მოხუცი  
დედაკაცი, რომელიც ასე თავგამომეტებით მირბოდა. სარა  
კი არაფერს არ ამჩნევდა, მას სურდა შალე მიეღწია ექი-  
მის სახლამდე. და ერთი აზრით შეპყრობილი, რომ არონი  
კვდება, ვინ იცის უკვე მოკვდა — მირბოდა და მირბოდა,  
ვიდრე მოსახევზე მოულოდნელად არ წაიქცა და სამუ-  
დამოდ გონება არ დაკარგა. მაგრამ გონების დაკარგვამდე,  
ერთ წუთში მიხედა, რომ თვითონ კი არ წაიქცა, არამედ

<sup>1)</sup> ბეთ-დინი — სასამართლო. იგულისხმება ზეცის სასამართ-  
ლო, რომელიც მორწმუნეთა აზრით მუშაობს ებრ. ცნობილ დღე-  
სასწაულ „სამართლის დღეს“ ე. წ. „როშ-ჰაშანა“-ში.

შას დაეჯახა რაღაც საშინელი, უზარმაზარი, რომლითაც  
დასრულდა ყველაფერი ამ ქვეყნად.

ეს იყო საბარეკო ავტომობილი, რომელმაც გასრისა მო-  
ხუცი სარა.

შემთხვევით გამვლელმა ქალებმა იცნეს უბედური  
შემთხვევის მხსვერპლი. ოდესაც სულიერი არსება—წაი-  
ღეს იმავე ავტომობილით, როგორც უსულო საგანი.

რეუბენი კი იდგა უძრავად იმ ოთახში, საღაც გაი-  
მარჯვა სიკვდილმა. აღარ ჩარიბდა სარას და ექიმის  
მოსვლას: არონი უკვე გარდაიცვალა.

და იდგა ცოცხალი მამა და შესცეკეროდა მკვდარ  
შვილს.

არ შეეძლო ტირილი. ცრემლი აღარ იყო.

არ ესმოდა: რა ხმაურობა იყო გარედ. ჯერ ხომ არავინ  
იცოდა არონის სიკვდილი?

მაშ რას სტიროდენ და რას მოსთქვამდენ შეზობლები?

ვერ გაიგო ვერაფერი ვერც მაშინ, როცა უცბად გაიღო  
კარები და აუარებელმა ხალხმა შემოიტანეს სარას უსულო  
გვაძი.

დახედა გვამს და შემდეგ ხალხის შემბრალე თვალებს.

ვერ მიხვდა, რა უნდოდა სისხლის ლაქებს სარას  
სხეულზე.

სარა ხომ არონის გადასარჩენად წავიდა?

მაშ რა მოხდა?

სარა აღარ ინძრევა. სარა დადუშებულია.

რისთვის?

ხომ არ გაიგო არონის სიკვდილი? და ნუ თუ სარამაც  
დაჰკარგა ტირილის ძალა?

თვალები რატომ აქვს დახუჭული?

და უცბად... შიხვდა ყოველივეს. მიხვდა, რომ ამ სა-  
ღამოს ერთსა და იმავე დროს მან დაჰკარგა ცოლი და  
შვილი.

მორწმუნე ხალხმა გაიგო არონის სიკვდილი. აკენესდა  
იქაურობა. ზოგი სარას სტიროდა, ზოგი არონს, ზოგიც  
ორივეს.

მხოლოდ ერთი კაცი, რეუბენი, იდგა ამ სახლში და  
არ სტიროდა. მას ეგონა, რომ გაგიუდა ისიც, გაგიუდა ეს  
ხალხიც, გაგიუდა ქვეყნიერება და გაგიუდა თვითონ  
ლმერთიც.

სარას ცხედარი დაასცენეს არონის გვერდით.

ზევიდან მათ დაჰყურებდა რეუბენი, თავზარდაცემუ-  
ლი, უცრემლო, რომელსაც კედელზე ელანდებოდა გა-  
ფრენილი სულები და ბნელი ეკრანი გაურკვეველი უაზრო  
სიტყვებით:

„ბარუ ხ დაიან ჰაემეთ“<sup>1)</sup>

1) „ბარუ ხ დაიან ჰაემეთ“ — სიტყვა სიტყვით ნიშნავს:  
„ძურთხეულ იყოს სიმართლის მოსამართლე“. ეს ლოცვა იხმარება  
რომელიმე მახლობლის ან ნათესავის გარდაცვალების დროს. მაგრამ  
ეს იხმარება აგრეთვე სხვა უბედურების დროსაც. ამგვარად, მო-  
წმუნე კაცი უბედურების შეხვედრის დროს — ამ ლოცვით ამართლებს  
„ოვთის ნებას“.

## ნაზილი მესახე

### „გელათის ქუჩის დასასრული“

#### I.

სამკითხველოს შოპყვა წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო პუნქტები.

ეს ასე იყო.

აღრე დილით, ნეთანელი გამოძახებული იყო პარტიულ კომიტეტში ამხ. ლევანთან, რომელმაც მხიარული მისალმების შემდეგ აიღო საქმიანი კილო.

— მე ვიცი, ჩემი ნეთანელ, რომ შენი დიდი ენერგია მთლიანად არ არის გამოყენებული. ლენინის ანდერძია: მოსესპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა. ამ ანდერძის განსახორციელებლად უნდა ავამოძრაოთ მთელი ჩვენი ძალები. ჩვენ ვხსნით ებრაელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტებს და მცირემცოდნეთა ჯუფებს. შენ დანიშნული ხარ გამგედ. წადი და დღეიდანვე შეადგინე ჯგუფები.

ნეთანელის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. მას საშუალება ეძლეოდა, ხელისუფლებასთან ერთად მიეტანა სასიკვდილო იერიში ჩამორჩენილობისა და წარსულის წყეული ნაშთების წინააღმდეგ.

— ლევან...

— მაცალე ნეთანელ, მე კიდევ არ მითქვამს ყველა-ფერი. ჯგუფების შედგენას უსათუოდ დღეიდანვე შეუდექი. ნუ გავაცდენთ დროს. ჯგუფები შეგიძლია შეადგინო განუსაზღვრელად. ყოველ ოცდაათ კაცზე თითო მას-

წავლებელს მოგცემთ. ეცადე, რაც შეიძლება მეტი ქალი შიიზიდო სასწავლებელში. არ დაგავიწყდეს აგრეთვე, რომ ჩვენს ხელისუფლებას — საქართველოს ებრაელობის, როგორც ჩამორჩენილი ეროვნული უმცირესობის მიმართ — განსაკუთრებული მიღვომა აქვს. ჯგუფებში უნდა მიიღო ღარიბ-ღატაკი და აგრეთვე წვრილი მოვაჭრები და მათი შვილები, 14 წლიდან დაწყებული. მეცადინეობას აწარმოებთ საღამოს ხუთიდან შვიდ საათამდე. სახელმძღვანელოებით და სათანადო სასწავლო ნივთებით სავსებით უზრუნველყოფილი იქნებით.

— ამ სკოლებით, ლევან, ჩვენ გავაჩაღებთ კოცონს, რომელიც თავის ძლიერ აღმი გახვევს უკულტურობას და საუკუნოებრივ კარჩაკეტილობას.

— ეცადე აგრეთვე, ნეთანელ, რომ მასწავლებლებმა ყოველ მსმენელს ჩაუნერგონ ძეალსა და რბილში ის აზრი, რომ წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ საჭიროა პატიოსანი შრომის გამოძებნა და ძველი პროფესიის უარყოფა.

— გასაგებია. ნახვამდე ჩემო ლევან!

— ნახვამდე, ნეთანელ!

აღფრთვანებული, მომავლისადმი რწმენით აღსავსე გამოვარდა გარეთ. იგი ჰერძნობდა, რომ მას დღეიდან ეხსნებოდა კიდევ უფრო ფართე სამოქმედო ასპარეზი. ნეთანელი იყო — მთლად ტემპერაშენტი.

ცნება „გარადება“ მისთვის არ არსებობდა.

იმავე საღამოს გელათის ქუჩა მოფენილი იყო განცხადებებით. ხოლო დიდი სალოცავის გალავანზე გაქრული იყო ყველაზე დიდი განცხადება უზარმაზარი წითელი ასოებით:

„მშრომელო ებრაელებო! გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინარობის საღიკვიდაციო სკოლები. არც ერთი უცოდინარი ქუჩაზე. ყველამ სკოლი-

საკენი გვეულ სიბნელე და უფიცობა. ძირს ჩვენი  
საუკუნოებრივი მტერი — წერა-კითხვის უცო-  
დინარობა. გაუმარჯვოს სწავლა-განათლებას“.

— რა ამბავია, შეილო, მობილიზაცია ხომ არ გამო-  
უცხადებიათ? — ეკითხებოდა ერთი წერა-კითხვის უცო-  
დინარი, ღარიბი მოხუცი — ახალგაზრდას, რომელიც  
კითხულობდა სალოცავის გალავანზე გაკრულ განცხა-  
დებას.

— რა გადარდებს ძია, შობილიზაცია კიდეც-რომ გა-  
მოცხადდეს — შენ ვინ წაგიყვანს?

— განა ჩემსას ეჩივი? შეილი მყავს უცოდინარი,  
ჩემსავით პირუტყვივით გაზრდილი. ის რომ სადმე წაი-  
ყვანონ ქუთაისის გარეთ — მშეერი მოკვდება მუნჯვივით.

— ჰო და უნდა გიხაროდეს. აქ სწერია, რომ ყველაშ  
წერაკითხვა უნდა ისწავლოსო. არც ერთი უცოდინარი  
აღარ უნდა იყოსო.

— მერე, ვის შეუძლია ფულის გადახდა?

— ნუ სწეხარ, ძია. სწავლა უფასო იქნება.

— უფასო? ყველასთვის? მეც მიმიღებენ?

— შენც მიგიღებენ.

— ო, თუ ასეა, დაილოცა მაგათი მოსვლის დღე...

\* \*

\*

ჩამოყალიბდა უცოდინართა ათი და მცირეშცოდნეთა  
ერთი ჯგუფი. ასობით გაეშურენ სკოლისაკენ სწავლას  
მოწყურებულნი. უჩვეულო სანახაობა იყო. დიდები და  
პატარები, ქალები და კაცები თავშიშველა ისხდენ მერ-  
ხებზე და ფანქრით ხელში შესჩერებოდენ მასწავლე-  
ბლებს, რომლებსაც აეჭრელებინათ დაფა ანბანით.

სწავლა ექსტაზით და შეჯიბრით მიმდინარეობდა. ყველა ოთახში სიმხიარულე იყო და თითქმის ყველა მსმენელი ჰგრძნობდა, რომ ეს მასიური სკოლები რაღაც ახალს და კარგს მოასწავებდა.

ნეთანელი მცირებულნეთა ჯგუფს ასწავლიდა. ამ ჯგუფში თითქმის ყველამ იცოდა წერაკითხვა, მაგრამ მოწიფეთა ცოდნასა და თვითშეგნებაში მაინც დიდი გარჩევა იყო და ამიტომ პირეელ საღამოდანვე ნეთანელმა გადასწყვიტა სათანადოდ გამოერკვია ყოველი მსმენელის ცოდნის დონე.

კონპერაციის შესახებ საუბრობდენ. როდესაც ნეთანელშა დააყენა კითხვა, თუ რას ნიშნავს საერთოდ კონპერაცია, მაშინ წამოდგა ერთი მსმენელი და სრულიად გულუბრყვილოდ განაცხადა:

— კონპერაცია — მამაჩემის კონკურენციაა.

ნეთანელმა მარტივი და გასაგები ენით აუხსნა მსმენელებს კონპერაციის მნიშვნელობა და მისი უპირატესობანი კერძო ვაჭრობასთან შედარებით, რის შემდეგაც მსმენელები ძალაუნებურად შეუდგენ თავის წარსულის უარყოფით შეფასებას. ჰემობდენ რა თავის წარსულს, იმავე დროს ნაწილი გამოსთქვამდა შიშს გაურკვეველი მომავალის წინაშე.

ნეთანელი იძლეოდა მდგომარეობის შეფასებას.

— რევოლუციას შევხვდით მოუმზადებლად. დღეს რევოლუციაში წამოაყენა ცხოვრების ახალი პირობები, რომლებშიც ძირი გამოუთხარეს საქართველოს ებრაელთა მარადიულ პროფესიას — ჩარჩობას და ვაჭრობას. დღეს დაიწყო მასიური გაღატაკების პროცესი. ჩვენი უკულტურობის გამო ჩვენ გვიჭირს შევეგუოთ არსებულ მდგომარეობას. საჭიროა ახალი გზებით სიარული, როგორც კულტურულ აგრეთვე ეკონომიურ ფრონტზე. უმთავრესი არის სწავლა. ამის საშუალება, როგორც ხედავთ მოგვეცა

შხოლოდ ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პი-  
რობებში.

— სწორია, მასწავლებელო. გაგვიძეხით წინ. თქვენ  
იმთავიდანვე სწორი ხაზი გქონდათ აღებული. თქვენთან  
ერთად შევებრძოლოთ ძველ სამყაროს — წარმოსთქვა  
აღტაცებით ერთ ერთმა ბესმენელმა.

— დავასრულოთ ეს საღამოს სკოლა და შემდეგ  
შეუდგებით შრომითი ბუშაობას. — უპასუხა მეორემ.

ალაპარაკდენ სხვებიც.

— უნდა დავიწყოთ შიწის მუშაობა!

— უნდა შევქმნათ საწარმოო კოლექტივები!

ნეთანელი სიამოვნებით ყურს უგდებდა ახალ კად-  
რებს. ასეთი ბედნიერება — მას იშვიათად უნახავს ცხოვ-  
რებაში.

რომელიღაც მსმენელმა შეიტანა წინადადება, რომ  
დაუყოვნებლივ ჩამოეყალიბებინათ დრამატიული წრე  
ჯგუფის შემადგენლობიდან.

— დავარქვათ „წინსვლა“ — სიტყვა ჩაურთო სა-  
შუალო ხნის კაცმა.

— დავდგათ პიესა ჩეენივე ცხოვრებიდან — დაუმატა  
მეორემ.

„საჭიროა პიესა“ — გაიფიქრა და დაიხსომა ნეთა-  
ნელმა.

იმავე საღამოს, შეცადინეობის დასრულებისთანავე ჩა-  
მოყალიბებულ იქნა დრამატიული წრე.

შუალამე გადასული იყო, მაგრამ ახალი ქვეყნის მო-  
წაფენი არ იჩქაროდებ დასაძინებლად წასვლას.

ნეთანელი, მთელი თავის არსებით დაუკავშირდა ამ  
ახალ ძალებს.

სახლისაკენ შიმავალი, სიხარულით ითვლიდა:

„სამკითხველო. სკოლები. დრამატიული წრე“.

ნეთანელის ცხოვრებაში დაიწყო მუშაობისა და შემო-  
ქმედების პერიოდი.

ნეთანელს დაავიწყდა თუ რას უწოდებდენ დასვე-  
ნებას.

სამკითხველოს გარშემო ჩამოყალიბებული ახალი  
კულტურული უჯრედების გაძლიერება-გაღრმავება —  
მოითხოვდა უჩვეულო ტემპებით მუშაობას.

მაგრამ ნეთანელი არ ისვენებდა არც ლამით.

ძილს გამოსტაცა სამი-ოთხი საათი.

ამ საათებში იგი სწერდა.

ძნელი საცნობი იყო ნეთანელი, როცა უჯდა საწერ  
შაგიდას. ამ დროს, თუ კიდევ ვისმე ელვიძა მის სახლში,  
ფეხის თითებზე დადიოდენ, რომ ნეთანელის მყუდროება  
არ დაერღვიათ.

რიბკა — ნეთანელის დედა განსაკუთრებული სიამა-  
ყით გადახედავდა თავის ნასწავლ შვილს და მიდიოდა  
კმაყოფილი დასაძინებლად.

ღირსეულმა შვილმა ანუგეშა — ქვრივი რიბკა.

რიბკას ხშირად უნდოდა ნეთანელისთვის შოეგონე-  
ბია, რომ კარგა ხანია შუალამე გადასულია, რომ დროა  
შეისვენოს, მაგრამ იცოდა რომ არაფერი გამოუვიდოდა  
და შეეჩინა იმ გარემოებას, რომ სახლში ყველას ეძინათ,  
ნეთანელი კი სწერდა.

ნეთანელს არასოდეს არ უწერია მხატვრული ნა-  
წარმოები.

როდესაც გადასწყვიტა წერა, იგი პირველად შე-  
ყოყმანდა:

ვინ იცის რა გამოუვა.

მაგრამ მოაგონდა, რომ ბავშობის ღროს მას უნდოდა  
ენახა ეკალაძის პიესა და ვერ ნახა. შემდეგ, როცა ლე-  
ვანმა მას უამბო ამ პიესის შინაარსი, ნეთანელმა გა-  
დასწყვიტა, როცა გაიზრდებოდა დაეწერა სხვა პიესა.

ეხლა უკვე მომზადდა სათანადო პირობები:

არსებობს დრამატიული წრე. მალე იქნება სამკითხვე-  
ლოს წლისთვის. საჭიროა პიესა, თანამედროვე ცხოვრე-  
ბის ამსახველი.

ნეთანელი სწერდა პიესას. სწერდა გატაცებით, თავ-  
დავიწყებით.

ნისმა განვლილშა ცხოვრებამ მისცა ავტორს საკმაო  
შასალა.

მოქმედებები და მოქმედი პირნი თავისით იშლებო-  
დენ ქაღალდზე.

ნეთანელს აოცებდა ის გარემოება, თუ რისთვის არ  
სწერდა დღემდე. არც ერთი სიტყვა არ იყო წაშლილი  
მის ხელთნაწერში.

მის ორგანიზმი იყო უშრეტი წყარო, საიდანაც  
იღებდა მისი შემოქმედება ულეველ საზრდოს.

ყველა ეს ამბები დაგროვილი იყო მასში და ელოდა  
თავის ხელოვანს, რომელიც მათ გადაიტანდა ქაღალდზე.

ეს ხელოვანი აღმოჩნდა თვით ნეთანელი.

როცა ხელოვანშა უკვე დაასრულა პიესა, აღრე დი-  
ლით გავარდა ჭავჭავაძის ქუჩაზე.

ლევანი ჩაის სვამდა. გაახარა მეგობრის მოსვლამ.

— დღეს დასვენების დღეა. რა კარგია რომ მოხვედი,  
ნეთანელ. რამდენი ზანია ჩვენ არ გვისაუბრია ერთად,  
მეგობრულად.

— იცი ლევან, შენ უნდა იყო ჩემი პირველი კრიტიკოსი.

— საღაური ბრანდესი მნახე? — გაიცინა ლევანმა და  
თან დაუმატა ცნობის მოყვარეობით: — რა არის გასა-  
კრიტიკებელი?

- ჩემი პირსა — მორცხვად უპასუხა ნეთანელმა.  
 — შენ დასწერე პირსა! ყოჩაღ ნეთანელ! ჩქარა, ჩქარა,  
 ამოალაგე. მოთმინება დავკარგე.  
 ნეთანელმა გახსნა შეკრული გაზეთი და იქიდან გა-  
 მოიღო თავის პირსა.

ლევანმა აღარ იცოდა — რა ექნა. უცბად და ერთსა  
 და იმავე დროს უნდოდა წაეკითხა ყველა გვერდები.

— მოიცა, ლევან, ასე არ ვარგა. დავიწყოთ თავი-  
 დან — და გამოართვა ხელთნაწერი.

— ძალიან კარგი. პიესას რა ჰქვია?

— „გელათის ქუჩის დასასრული“.

— შესანიშნავია, ნეთანელ, უკეთეს სახელს ვერავინ  
 ვერ მოიგონებდა.

— რასაკეირველია, მქონდა სხვა სახელწოდებებიც:  
 „თავისუფლებისათვის მებრძოლნი“, „ახალი ებრაელები“.  
 მაგრამ არც ერთი ისე არ გაწოვხატავდა ჩემს აზრს, რო-  
 გორც „გელათის ქუჩის დასასრული“.

დაიწყო პიესის კითხვა.

ტექსტმა დაიპყრო ლევანი.

პიესის კითხვის დროს, თვალწინ იდგა:

მიკიბულ-მოკიბული, გველივით დაკლაკნილი, სახლე-  
 ბი ერთმანეთზე მიტყუპული, უსუფთაო და უნიადაგო,  
 ნახევრად დანგრეული და საუკუნოების სიმძიმისაგან და-  
 ნოტიებული, სიღარტაკის, უშეცრების და სიბნელის სიმ-  
 ბოლო, ანტისანიტარიის საბუდარი და სხვადასხვა ჯიშის  
 ორფეხა პარაზიტების სათარეშო — გელათის ქუჩა, რო-  
 მელსაც ჰქონდა ღმერთითა და არშინით შეზავებული სა-  
 კუთარი იდეოლოგია.

გელათის ქუჩა ვერ ჰგრძნობდა, რომ იგა იყო წარ-  
 სულის პროდუქტი, რომ მისი ნაგებობა ეს იყო დრომო-  
 ჭმული ეპოქის, შემოქმედება, რომ მის ძირითმპალ ნია-

დაგში იყო ჩადებული ყუმბარა, რომელიც დღეს თუ ხვალ  
უნდა აფეთქებულიყო.

ნაცნობი სახეები:

ბარიკადის ერთ შხარეზე: დიდცხვირა კლერიკალი,  
რეუბენი, ვანო...

მეორე შხარეზე: ლე-ნე-ლე. ახალი ძალები. ახალი  
კადრები.

კლასი ებრძეის კლასს.

სხვაგვარი დაყოფა აღარ არსებობს.

გელათის ქუჩა მიეჭანება უფასულისაკენ. მასა  
შედგა გალატაკების გზაზე. ძველი თაობა ებლაუჭება ძველ  
ფორმებს და იჩენს უძლურობისა და უსუსურობის უკა-  
ნასკნელ ნიშნებს.

ამაოდ!

მათ უანგიან თავებს აღარ შესწევთ. ძალა ძველი ყო-  
ფის შესანარჩუნებლად.

გალატაკებულ მასის საშველად მოდის — მშრომელთა  
ხელისუფლება. ხელისუფლებას შხარს უმშვენებს ახალ-  
გაზრდობა.

იმარჯვებს ახალგაზრდობა, ახალი შვეყნის მშენებელი,  
ახალი ყოფის მჭედელი.

დასრულდა პიესის კითხვა.

აღტაცებული ლევანი გადაეხვია მეგობარს და გადა-  
ჰკოცნა. დიდხანს ხმას ვერ იღებდა, ბოლოს როგორც  
იქნა მოახერხა:

— ჩვენს ეპოქას სჭირდება მხოლოდ ასეთი პიესები.  
ახალი — თავის შინაარსით, ახალი — თავის ფორმით. აქ  
არის გაყალბებული არც ერთი ხაზი, არც ერთი  
სიტყვა. აქ არის წმინდა შემოქმედება. აქ არის ოქტომბრის  
მაჯისცემა.

დიდხანს იბასეს მეგობრებმა, შეეხენ დეტალებს.

გადასწყვიტეს მოამზადონ წლისთავისათვის.

— მე უაღრესად ბედნიერი ვარ, ლევან. მხოლოდ ხში-  
რად ჩაძაფიქრებს ჩვენი ლეგი. ისიც რომ ჩვენთან იყოს,  
ჩვენს ბედნიერებას საზღვარი არ ექნებოდა.

— მართალია, ნეთანელ. მაგრამ მე მგონია, რომ ის  
ხმები, რომლებიც გავრცელდა ჭორის სახით — არ უნდა  
იყოს სიმართლეს მოკლებული. ლეგი ბათოში უნდა  
იყოს. მე ყოველ შემთხვევაში მივიწერები პარტიულ კო-  
მიტეტში და ამ ამბავს გამოვარკვევ.

— საოცარია, თუ ის ბათოშია, რისთვის არ ჩაძოდის  
ქუთაისში, ან რისთვის არაფერს არ გვწერს.

— მაგონდება მისი უკანასკნელი ბარათი. მისი დამ-  
წერი იყო — უძლიერესი ნების აღამიანი. ლევისთანა ამხა-  
ნაგი ჩვენთან უნდა იყოს. მისი ადგილი მხოლოდ ჩვენს  
რიგებშია.

— ის გარემოება, რომ ლევი ჩვენთან არ არის — ჩვენს  
სიხარულს ჩრდილს ჰავეს. ამისათვის საჭიროა საჩქაროდ  
მიიღო ლევან ზომები, რომ გამოარკვიო სინამდვილე.

— რასაკვირველია. ლევი ერთნაირად ძვირფასია  
ორივესათვის. და თუ ის მართლა აღმოჩნდა ბათოში —  
ვაცნობოთ დეპეშით წლის თავი და ის არ დააყოვნებს ჩა-  
მოსკლას.

— მაშინ „გელათის ქუჩის დასასრულს“ ექნება ას-  
პროცენტიანი გამართლება — დაასრულა ბაასი ნეთა-  
ნელმა და გამოეთხოვა მეგობარს.

## II.

თეთრი ქვისაგან აგებული ორსართულიანი შენობა  
ხმაურობდა.

ორ სართულში ცხოვრობდა ორი ქვეყანა, რომელთაც  
მიჰქონდათ ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლო. იერი-  
შები.

დღიდი მზადება იყო პირველ სართულში.

ერთ ოთახში სამკითხველო იყო მოთავსებული, მეორეში ბიბლოთეკა, ხოლო მესამე — პატარა ოთახში იმართებოდა ხოლმე ბიბლიოთეკის საბჭოს სხდომები.

ყველა ოთახები განირთდნებული იყო. ახალგაზრდები შედიოდენ, გამოდიოდენ. ახალგაზრდები, რომლებიც ოდესლაც არშინის მზეს ლოცულობდენ, დღეს ისეთივე გატაცებით ეწაფებოდენ სწავლა განათლებას. თუ წინედ მათი გასართობი აღგილები ტრაქტირები იყო, დღეს იგი შესცვალა სამკითხველომ. სამკითხველომ თავი მოუყარა მათ და შეაკავშირა, ასწია მათი თვითშეგნება და პოლიტიკური ცოდნის დონე.

შესრულდა პირველი წელიწადი მისი გახსნის დღიდან.

ამიტომაც იყო დიდი მზადება. ემზადებოდენ მეორე დღის საღამოსათვის. პროგრამის მიხედვით არაჩვეულებრივი ზეიმით უნდა ყოფილიყო ჩატარებული და აღნიშნული სამკითხველოს წლისთავი. განა მარტო სამკითხველოს წლისთავი იყო? ეს იყო ახალგაზრდობის გამარჯვების პირველი წლისთავი.. ახალგაზრდობა ჰგრძნობდა ამას და ყველანი უშუალო და აქტიურ მონაწილეობას იღებდენ წინასწარ მოსამზადებელ მუშაობაში.

საღამოს ექვს საათზე უნდა გახსნილიყო საზეიმო კრება სამკითხველოში. წარმოითქმებოდა სიტყვები. შემდეგ უნდა წასულიყვნენ ინტერნაციონალის კლუბისაკენ. წარმოდგენილი იქნებოდა ნეთანელის პიესა „გელათის ქუჩის დასასრული“. კიდევ ერთი ვოდევილი. შემდეგ დეკლამაცია, მუსიკა, ცეკვა. ყველაფერი ეს საკუთარი ძალებით. ეს ის ძალები იყო, რომელიც წარმოშვა უახლოესმა წლებმა. სპექტაკლის დასასრულს წარმოითქმებოდა სიტყვები, მისალმებები. საღამოს რვა საათიდან იმუშავებდა დიდი

ბუფეტი, რომელიც უნდა მოეწყოთ ქალებს ისე, რომ ბუფეტზე კაპეიკი არ უნდა დახარჯულიყო. სამაგიეროდ ბუფეტში უნდა ყოფილიყო აუცილებლად ყოველნაირი ბუტერბროდები, ქათმები, შემწევარი ბატები, ხაჭაპურები, მინერალური წყლები, ჩაი, ტკბილეულობა, ნაყინი და ყველაფერი, რითაც შეიძლებოდა სამკითხველოს ღარიბი ფონდის გაძლიერება. გამართული იქნებოდა აგრეთვე ლატარია, აუცილონი, ფოსტა.

ერთი სიტყვით ყველა ჰერძნობდა, რომ საღამო უნდა ყოფილიყო მრავალფეროვანი, შინაარსიანი და მეტისმეტად მხიარული. განაწილებული ჰქონდათ ყველას როლები. ზოგი ბილეთებს ჰყიდდა, ზოგი ქაღალდებს სჭრიდა ფოსტისათვის, ზოგი ჭრელი ქაღალდებიდან ფარნებს ამზადებდა. ერთ-ერთ ოთახში ქალები დაფუსფუსობდენ და გრანდიოზულ ბუფეტის გეგმას პრაქტიკულად ანხორციელებდენ. ხოლო მეორე ოთახში ახალგაზრდა რეჟისორი ცხარობდა, რომ ზოგიერთს კარგად არ ჰქონდათ შეთვისებული თავისი როლი.

მუშაობა მიმდინარეობდა ცოცხლად, ახალგაზრდული აღტაცებით და ექსტაზით. საღამოს ინიციატორები და მთავარი ხელმძღვანელები ნეთანელი და ლევანი — მოუსვენრად დატრიალებდენ ოთახიდან. ოთახში და იძლეოდენ ახალ-ახალ დირექტივებს.

ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ პირველი წლის თავი გაზრდიდა მათ ახალგაზრდათა არმიას, რომ აუხელდა თვალებს იმათაც, რომლებიც ჯერ კიდევ ბრმად მიჰყვებოდენ მათ მტრებს. ხვალინდელი დღე, ხვალინდელი საღამო უნდა ყოფილიყო მშრომელ ებრაელ ახალგაზრდათა დემონსტრაცია, კონტრშეტევა წარსულისადმი. ხვალინდელი დღე უნდა გამხდარიყო საზღვარი ძველსა და ახალს შორის; ხვალინდელი დღე უნდა გადაქცეულიყო ახალი გზების ძიების დღედ; ამ დღეს უნდა დაეგმოთ და

უარეყოთ საუკუნეების მიერ დაუანგებული და გაცვეთილი აზრები; ნეთანელის პიესის დედა აზრი, ყოველი ლექსის შინაარსი, ყოველი ამხანაგის გამოსვლა, ყოველი პლაკტის ლოზუნგი — უნდა ყოფილიყო კ'ით აზრით გამსჭვალული: შრომა და ცოდნა.

ყოველივე ეს კი — უნდა ყოფილიყო ხვალ.

და ამიტომაც, ნერვიული აღგზნებით, ახალგაზრდული ტემპერამენტით ელოდენ ხვალინდელ დღის გათენებას. არ უნდოდათ, რომ მეორე დღეს დამარცხებულიყვნენ. ყოველი ახალგაზრდის სული მიისწრაფოდა გამარჯვებისაკენ. ეს გამარჯვება უნდა დამდგარიყო ხვალ და აღარ იცოდენ რა ექნათ, რით გაეთიათ ეს ღამე, რომ მალე მოსულიყო განთიადი, რომ მალე დამდგარიყო მეორე დღე.

ქალაქს კი ეძინა, ეძინა მაგარი ძილით. ეძინა გელათის ქუჩასაც, რომელსაც მიეყრდნოთ თავი თრიათასწლიან ბალიშზე. ეძინა მაგრად და არ სურდა, რომ ვისმე დაერლვია მისი მყუდროება. არც რაიმე ეჭვი ეპარებოდა, რომ მას ხვალინდელი დღე უმზადებდა რაღაც ახალს, საშინელს და არაჩვუელებრივს... უკანასკნელად ეძინათ მშვიდათ ჩაბნელებული და უსინათლო გელათის ქუჩის მცხოვრებლებს და ნახულობდენ სიზმრად იმ „სიმდიდრეს“, რაც მათ ჰქონდათ ცხადად: სიბინძურეს, უცოდინარობას, სიღატაკეს.

არ ეძინა მხოლოდ სამკითხველოს, რომელიც მოუთმენლად, გულისფანცქალით და უცნაური წინადგრძნობით ითვლიდა წუთებს და საათებს...

\* \* \*

\*

ემზადებოდა მეორე სართულიც.

მაგრამ მზადებაში განსხვავება იყო. პირველი სართული ემზადებოდა ენტუზიაზმით, მეორე კი — შურით და ღვარძლით. პირველი სართული ემსახურებოდა ახალ ქვე-

ყანას, მეორე სართული კი იცქირებოდა უკან, ძველი ქვეყნისაკენ. პირველი სართული აშეარა, გაბედული ნაბიჯებით მიღიოდა წინ, ხოლო მეორე სართული ქურდულად აკეთებდა ყოველივეს.

ან როგორ შეიძლებოდა სხვანაირად?

დიდი ხანია არ ეძინა მეორე სართულში მცხოვრებ ვანოს. არა მარტო ამაღამ, არა მარტო იმ ერთი წლის განმავლობაში, როდესაც დაბლა სართულში სამკითხველო მუშაობდა, არამედ იმ დღიდან, რაც ბოლშევიკები დაეპატრონენ ძალაუფლებას, მას არ დაუძინია რიგიანად. ახალი ქვეყანა, ახალი ხალხი, ახალი შეხედულებანი — მას არ უნდოდა ეცნო. ყოველი ადამიანი, რომელიც უმღეროდა შრომას — იყო მისთვის მოსისხლე მტერი. ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი ახალი წესწყობილების სიძულვილი და მთელი არსებით ოცნებობდა ძველის რესტავრაციაზე. ყოველი კომუნისტი, ყოველი კომკავშირელი და ბოლოს ყოველი თანამგრძნობი, თუნდაც უპარტიო — გადაქცეულიყვენ მის თვალში ყაჩაღებად, რომლებმაც წაართვეს ვანოს ყველაფერი...

ვანომ ყველაფერი დაჭვარგა: სახელი, დიდება, უძრავი და მოძრავი ქონება. არ უნდოდა შერიგებოდა ამას. არც შეიძლებოდა მისი ფიქრით ასე აღვილად დათმობა.

მით უმეტეს...

აი ეს აზრი აწუხებდა მას განსაკუთრებით: მით უმეტეს...

მით უმეტეს, რომ მის მატერიალურად გაკოტრებაში უდიდესი დანაშაული მიუძღვოდა ებრაელებს.

ებრაელები?

ეს მხოლოდ ავტორის სიტყვაა. ვანოს ანტისემიტურმა არსებამ არ იცოდა ეს სიტყვა. მის ლექსიკონში ეწერა მხოლოდ: ურია. თავიდანვე, ლვარძლით ხმარობდა ამ სიტყვას. თავის დროზე, ყველაზე უკეთ, ეს შეამჩნია გიმნა-

ზიელმა ლევიმ. ვანოს ყოველთვის ეზიზღებოდა ებრაელები, ვერ იტანდა მათ ორგანიულად და თუ ოდესმე გისა-  
თანმე ჰქონია კავშირი, იმდენად, რამდენადაც შესძლებდა  
მის გამოყენებას თავისი პირადი ინტერესებისათვის, ან  
რამდენად ამას უკარნახებდა მისი კლასობრივი ინტე-  
რესები.

მის თვალწინ ეკრანივით მირბოდენ მომქმედი პირები:  
ლევი...

ეს ის ლევია, რომელმაც დაასამარა მისი უკანასკნელი  
კომერციული კომბინაცია. ლევიმ ჩამოართვა მოდებაძეს  
მთელი საქონელი. ლევიმ ჩაჰუშა უკანასკნელი გაემა.  
ლევიმ მიიყვანა ვანო გაღატაკების პირზე. ჰელიქრობდა ლე-  
ვიზე და აგონდებოდა: როგორ მტრულად ხვდებოდა ლე-  
ვი, როდესაც ვანო შედიოდა მათს მაღაზიაში. მოაგონდა  
უკანელი შეხვედრაც, როდესაც ლევიმ მოიხსნა მაჯი-  
და უქროს საათი და გადასცა ვანოს ნეთანელის მამის  
ვა... ა.

თანელი...

ეს ის ნეთანელია, რომლის ღატაკ მამას ვანო სამაღ-  
ლოდ აძლევდა ნისიად საქონელს. მართალია ძვირად აძ-  
ლევდა და ცოტას აძლევდა, მაგრამ მაინც ხომ ხელს უმარ-  
ავდა? ჰელიქრობდა ვანო და აგონდებოდა სიმწარით, თუ  
როგორ ჩაიფუშა მისი გეგმა და ნეთანელის დაჭერის მა-  
გიერ კინაღამ თვითონ ჩაეარდა ციხეში. ნეთანელის წი-  
ნადადებით მას გადაახდევინეს ასოცი მანეთი და ისიც  
ვისთვის, რისთვის? „ურიების“ სამკითხველოსთვის, რომ-  
ლისთვისაც დააცლევინეს მას მთელი დაბლა სართული!

ლევანი...

ეს საზიზღარი ახალგაზრდა, რომელიც ქრისტიანია,  
მაგრამ „ურიაზე“ საშინელი.

ეს ის ლევანია, რომლის წინადადებით მისი სახლი  
უსასყიდლოდ წაიღო მთავრობამ. ეს ის მტერია, რომელ- გf

შაც მოახსნევინა სამსახურიდან მისი ყოვლად შემძლე სი-  
ძე — რაიონის კომისარი. ეს ის ვაჟბატონია, რომელმაც  
შეაწერინა მასზე ფინინსპექტორს აუარებელი გადასახა-  
დი, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე სდევნის და არ აძ-  
ლევს გასაქანს.

და არ აძინებდა ვანოს ეს სამი სახელი: ლევა, ნეჟ-  
ნელი, ლევანი. შურისძიების გრძნობით იყო აღვსილი მთე-  
ლი მისი არსება და ეძებდა მხოლოდ ფორმას, რითაც გა-  
მოხატავდა თავის გრძნობას.

მთელი წარსული კვირა ჰყიუქრობდა ამ საკითხზე. რა  
უნდა ექნა? ლევი შორს იყო, მაგრამ არ ჰყარგავდა რჩედს —  
რომ მას შეხვდებოდა. მანამდე კი ლევის მიერ მიყენებ ჲ  
ზარალის ანაზღაურებას — აპირებდა მარტოხელა მი უ-  
ცი რეუბენის ხარჯზე, რომელსაც კიდევ იგულებდ  
ლაც დამტვრეულ ნივთებს, რომელნიც ჯერ კიდევ  
გაეყიდნა. განსაკუთრებით გულში ედო ოქროს სა  
იცოდა, რომ რეუბენი მოქვდებოდა მშიერი და მას არ  
გაჰყიდდა. აი ამ ოქროს საათის ხელში ჩაგდებაზე ოცხე-  
ბობდა. მაგრამ განა დააკმაყოფილებდა მას ოქროს საათი?  
ლევანი და ნეთანელი — ხომ კიდევ იქნებოდენ? ლევანი  
და ნეთანელი — რაც დრო გავა ხომ უფრო და უფრო  
გაუმწარებენ სიცოცხლეს. მაშ რა ჰქნას?..

ვერ იძინებდა. აწუხებდა ეს საკითხი და აწუხებდა გზა-  
დების ხმაურობა, რომელიც მოდიოდა დაბლიდან — ასე  
ამაყად და თავხედურად.

და უცბად ვანომაც გადასწყვიტა: მზადება.

იცოდა, რომ ხვალ უნდა ყოფილიყო სამკითხველოს  
წლისთავი. სხვებს უნდა ეზეიმათ წლისთავი, ვანოს კი  
რისთვის უნდა ეტირნა? ან და რატომ უნდა იტიროს მარ-  
ტო ვანომ? დევ, ატირდენ სხვებიც...

დაუძახა მოდებაძეს.

— ხეალინდელ წარმოდგენაზე ბუფეტიც ეჭნებათ? —  
შეეპითხა ახლად შემოსულს.

— კი.

— მაშ იცი, შენც უნდა დაეხმარო იმ ქალებს.

— მე?

— ჰო, შენ. მე ის კი არ მინდა რომ ურიებს დაეხმარო. მე სხვა რამე მინდა. მოგცემ საწამლავს. გაურიე ნაყინში, ან თევზში. უნდა მოიწამლონ ნეთანელი და ლევანი. ისინი უნდა მოკვდენ. იქნებ სხვებიც მიჰყენ ძალა გესმის?

მოდებაძე გაფითრდა.

— რამ შეგაშინა? მე შენ საქმარისად დაგაჯილდოვებ. ფულს მოგცემ ბლომად. ხოლო თუ ამას არ გააკეთებ, მაშინ მოგქლავ, ლუკმა-ლუკმა აგუშტავ.

იცოდა მოდებაძემ, როგორ კაცთან ჰქონდა საქმე და გაჩუმება არჩია. იდგა სახე გაფითრებული და არ იცოდა რა ექნა. ვანო კი აგრძელებდა:

— იცოდე, თუ ახლაც ჩავარდი როგორც კონტრაბანდის დროს, მაშინ შენი ვაჩენის დღე უნდა იწყევლო.

ისედაც იწყევლიდა გაჩენის დღეს მოდებაძე. სწყევლიდა თავის სისუსტეს, თავის უნებობას. ხმა ამოულებლად გავიდა.

ხოლო ვანომ მაინც ვერ მოისვენა, ვერ დაიძინა. პირიქით ამ გადაწყვეტილების შემდეგ უფრო ლელავდა, უფრო შფოთავდა. სისხლი სწყუროდა და ჩქარა უნდოდა მოეკლა წყურვილი. მანამდე კი თავის ლოგინზე, გვერდიდან გვერდზე ბრუნავდა და სწყევლიდა მთელ ქვეყანას, სწყევლიდა თვითონ ლენინს, რომელმაც გადააბრუნა ეს ქვეყანა და აუშალა ვანოს დაეთრები...

იწყა ღია თვალებით და ელოდა მეორე დღეს, რომელსაც უნდა მოეტანა მისთვის ნაწილობრივი შვება. საუკუნესავით გრძელდებოდა ყოველი წუთი, მაგრამ მაინც

ელოდა. სამკითხველოში ხმაურობა გრძელდებოდა. ეს  
ხმაურობა ვანოს გულზე ესობოდა, როგორც მჩხვლეტავი  
ნემსები და თანდათან უფრო ნერვიულობდა.

მაგრამ მაინც იწვა და ელოდა.

ვანოს თეთრი თვალების წინ კვდებოდა ლამე.

### III.

გათენდა.

მზემ გამოაშუქა მოკრძალებული თვალებით. ძლიერი  
ქარი, რომელიც დილიდანვე ამოვარდა, ემუქრებოდა გა-  
ზაფხულის მზის სასიამოენო სხივებს.

გელათის ქუჩა, ერთიერთმანეთზე უგეგმოდ მიშენე-  
ბული და მიტყეპებული ასეული სახლებით — უკანასკნე-  
ლად გამოიცეირებოდა გეტტოს თვალებით.

ქარი არხევდა სალოცავის კედელზე მიკრულ დიდ  
აფიშას, რომელიც აცნობდა მოსახლობას, რომ დღეს, სამ-  
კითხევლოს წლისთავზე, — წარმოდგენილი იქნება „გე-  
ლათის ქუჩის დასასრული“...

ახალგაზრდები უკვე დილიდანვე შეიკრიბენ, გენერა-  
ლური რეპეტიცია დანიშნული იყო საათის თერთმეტისა-  
თვის. წუხელის ოცნებობდენ გათენებაზე. ამ დილით კი  
უკვე ოცნებობდენ დაღამებაზე.

ვანოც, რომელიც ადრე ადგა დილაზე, ველარ ითმენ-  
და დაღამების მოლოდინში და სავსე ჰქონდა გული ბოლ-  
მით და უსუფთაობით, როგორც მდინარე რიონს, რომე-  
ლიც ჩამოდის გელათის ქუჩის ახლოს.

მაგრამ დღევანდელი დღე არ აპირებდა ისე ადვილად  
დაღამებას.

ჯერ კიდევ დილის ათი საათი იყო.

პატარა სახლი მდებარეობდა გელათის ქუჩის თავზე.  
მასში მცხოვრები მამაკაცები უკვე დილა ადრიანად გა-  
ვიდენ „შნუროკებით“ და „ნივილიმკებით“ ბეჭის საძიებ-

ლად. ხოლო დედა-კაცები გასული იყვნენ მეზობლებთან. ოთახში იყო მხოლოდ ორი პატარა ბავში, ერთი სამი წლისა და მეორე ხუთი წლისა, რომლებიც ერთმანეთთან თამაშობდენ. მაგიდაზე იდგა ანთებული „პრიმუსი“, რომელზედაც დუღდა სარეცხის წყალი. ბავშები თამაშობდენ დამშვიდებით, ვიდრე არ დაიწყო უდიდესი ტრაგედიის დასაწყისი.

მათმა თამაშმა გადასწყვიტა ათასების ბედი.

თამაშის დროს ერთი დაეჯახა. შემთხვევით „პრიმუსი“ „პრიმუსი“ გადავარდა და იფეთქა. ამოვარდა ძლიერი ცეცხლის ალი და მოეკიდა მაგიდის საფარს, შემდეგ თვითონ მაგიდას და ბავშების ტანსაცმელს. ბავშებს ენა ჩაუვარდათ შიშისაგან. ცეცხლი მთელ ოთახს მოედო და შეძეგ მთელ სახლს. როცა გარედან შეამჩნიეს ცეცხლი, რომელიც მოდიოდა დაბლიდან და მოარღვევდა სახლის სახურავებს, ბავშები უკვე დამწვრები იყვნენ, ნახშირად ქცეულნი.

სახურავებან ცეცხლი გადავიდა სხვა სახლებზე.

ქარმა წაიღო ცეცხლი სხვადასხვა მიმართულებით. ნაპერშეკლები სცვიოდა სხვადასხვა ქუჩებზე და ერთსადა იმავე დროს ჩნდებოდა ცეცხლი სხვადასხვა ადგილზე. ძლიერი ქარი მას ხელს უწყობდა.

დაიწყო გრანდიოზული ხანძარი.

გელათის ქუჩა გააშუქა უდიდესმა ლამპარმა, რომელიც ემუქრებოდა მას რამოდენიმე საათის განმავლობაში მთლიანად გადაბუგვას.

შეიქმნა კივილი და წივილი, ოხვრა-კვნესა და დემონსტრაცია არყოფილი, მსგავსი სტიქიური უბედურების სანახაობისა.

დაავიწყდათ ახალგაზღებს ყოველივე და გავარდენ განირვებულ მოსახლეობისათვის საშველად.

გავარდა ვანოც ოქროს საათისათვის.

სტიქია კი, ელექტრონის სისტრაფით ძლიერდებოდა და ემუქრებოდა ქუთაისის სხვა რაიონებსაც.

წითელარმიელები და ცეცხლის მქრობელი რაზმები შემოერტყენ გარშემო გელათის ქუჩას, მაგრამ ძნელი იყო ბრძოლა. ცეცხლის ალში იყო გახვეული ყველაფერი და ყოველივე.

„გუგუნდენ ეკლესიის ზარები. ატირდენ ქარხნის საჟვირები.

ქუთაისი უძლური იყო საზარელ მტერთან ბრძოლაში. როცა დარწმუნდენ რომ ცეცხლი არაჩვეულებრივად ძლიერდებოდა და აღგილობრივი ძალები ვერ გაუმკლავდებოდენ მას, მაშინ ამუშავდა რადიო, ტელეგრაფი და ტელეფონი, რომელმაც აცნობა მთელ რესპუბლიკას საშინელი ამბავი.

„გრანდიოზული ხანძარი ქუთაისში. ქუთაისი იწვის. იწვის ებრაელთა უდიდესი რაიონი — გელათის ქუჩა. ვიბრძვით თავგამოდებით, მაგრამ საკუთარი ძალებით ვერ ვუმკლი ვდებით. მოგვეხმარეთ, გვიშველეთ...“

და საჩქაროდ შეინძრენ ქალაქები: ტფილისი, სამტრედია, ფოთი, ბათომი. თვალის დახამხამების უმაღვავნა ცეცხლის მქრობელი რაზმები.

ფოსტა და ტელეფონის საღგური ვერ ასწრებდა მუშაობას.

მეხანძრეთა რაზმის უფროსმა, რომელმაც მიიღო პირველი ტელეფონოგრამა ბათომის ცეცხლის მქრობელთა რაზმის სამხართველოში — დაიხსომა მხოლოდ სამი სიტყვა:

„იწვის გელათის ქუჩა.“

მოაგონდა გუშინდელი დეპეშა და ისევ სამი სიტყვა: „გელათის ქუჩის დასასრული.“

და გიუკივით წამოვარდა საწერი მაგიდიდან, რომ რაზმ-  
თან ერთად სასწრაფოდ გამგზავრებულიყო იმ ქალაქისა-  
კენ, რომელიც არ ენახა შვიდ წელიწადზე მეტია და რო-  
მელსაც ამ წუთებში დაუნდობლად ანადგურებდა უაზრო  
სტიქია.

\* \* \*

\*

### ზანძარი ძლიერდებოდა.

ჰორიზონტი შეღებილი იყო წითლად. ლამპარი მოე-  
დო შაუმიანისა და კათოლიკეთა ქუჩებს. ათასი სახლი იყო  
გახვეული მოულოდნელი მტრის კლანჭებში. მოყვითალო-  
მოშავო ალი დაპფრინავდა ქალაქის თავზე და დემონიუ-  
სი ხარხარით ზეიმობდა ველურ შემოვარდნას.

შეწყდა მუშაობა დაწესებულებებში. მობილიზაცია  
უყვეს მოელ ძალებს. იბრძოდენ ყველანი. ებრძოდენ დაუ-  
ნდობელ მტერს, ებრძოდენ გმირულად, თავგანწირვით.

ისმოდა გულსაკლავი ქვითინი ასეული ლატაკებისა,  
რომლებმაც დაპყარგეს თავშესაფარი. მაგრამ ამ წუთებ-  
ში ვის შეეძლო მიეცა მათთვის ნუგეში, როცა ცეცხლი  
ველათის ქუჩის თავიდან უკვე უახლოვდებოდა ქუჩის ბო-  
ლოს და გააფთრებული მოიწევდა წინ?

იყო საშინელი სურათი: ზევიდან გაპრიალებული ცეც-  
ხლის ალი, დაბლა მებრძოლი გმირები, რომლებიც ყო-  
ველ წუთში შეეარდებოდენ ცეცხლის შუაგულში, რათა  
ცეცხლისთვის გამოეტაცათ რომელიმე უდანაშაულო  
მსხვერპლი. გარშემო ყყირილი, კივილ-წივილი, თმების  
გლეჯა, ნივთების მტვრევა, სირბილი, სახლების ნგრევა.

ეყარა ქუჩაში ლოგინები და ჭურჭელი, ძევლი წიგნე-  
ბი და ძუძუმწოვარი ბავშები. ბავშები ეძებდენ დედებს,  
დედები ბავშებს და გამოურკვევლობა, ერთიერთმანეთის  
უნახაობა უფრო ზრდიდა პანიკის საშინელებას.

აგერ გამოიტანეს ნახშირად ქცეული ქალი, რომელიც შევარდა ხანძრის დროს სახლში, რომ გამოეყვანა თავისი პატარა ბალლი. ბავში გადაარჩინეს, ხოლო დედა კი დაიღუპა.

იმავე დროს თვრამეტი წლის ახალგაზდა შევარდა სახლში, რომ გამოეყვანა ივალმყოფი დედა. მაგრამ შევიდა სახლში და ვეღარ გამოვიდა, ცეცხლმა დაარღვია საძირკველი, სახლი დაინგრა და ორივენი მოჰყვენ ნანგრევებს ქვეშ.

სხვადასხვა აღვილებიდან მოჰყვავდათ ხანძრის მსხვერპლი. მათი რიცხვი უკვე რამოდენიმე ათეული იყო. ვინც კიდევ იძლეოდა სიცოცხლის იმედს — სასწრაფოდ აგზავნიდენ საავადმყოფოში.

აუარებელი იყო გაგიუების შემთხვევებიც.

ერთ ქალს ხელში ეჭირა საჩაიე და გულში იქრავდა, დაკარგული შვილის მაგიერ. მეორე ქალს მიწაზე დაეგდო თავის ტანთსაცმელი და მის გარშემო ცეკვავდა ისტერიული ხარხარით.

რომელილაც პატარა ბავშს შემთესმა თავის დედის კივილი, რომელიც ეძებდა მას. ბავშს სურდა დაეყვირა დედისათვის, რომ ის აქ არის, მაგრამ ვეღარ მოახერხა, შიშისაგან ხმა ჩაუვარდა და სამუღამოდ დამუნჯდა.

ხოლო მეორე ბავში, რომელიც ხეზე იყო ასული, შორიდან ხედავდა, როგორ წაეკიდა ცეცხლი მათ სახლს. გაუსკრა გული, ჩამოვარდა ხიდან და მოკვდა.

ქალაქში იდგა საშინელი სუნი.

გადაიწვა უკვე სამას სახლზე მეტი და დარჩა უბინაოდ და უთავშესაფაროდ სამი ათასი სული.

მაგრამ ჯერ არავის ეცალა ამ სამი ათასისათვის. საჭირო იყო სხვა ათასების გადარჩენა, რომლებთაც ჯერ კადევ ემუქრებოდა ხანძარი.

ხანძარი კი ძლიერდებოდა და ძლიერდებოდა.

\*

რეუბენის ნივთებიც გამოეყარათ ქუჩაზე. ეს იყო რა-  
ლაც ძველი, დაკონკილი ლოგინი, ორიოდე სკამი, საწოლი  
და მაგიდა. მოხუცი შეეჩინა ამ ბოლო დროს ყოველგვარ  
უბედურებას და ამ საერთო უბედურების დროს, აღარაფ-  
რად აგდებდა თავის უბედურებას. უღონო და უილაჯო  
მოხუცი იწვა ქუჩაში თავის ლოგინზე და მრისხანე თვა-  
ლებით შეჰქორებდა ზეცას.

იწოდა თვით სალოცავი და ღმერთი ყურადღებას არ  
აქცევდა!

ვერ გაეგო მოხუც რეუბენს, რატომ ხდებოდა ასეთი  
გაუგებარი ამბები.

თავზე წამოადგა მოულოდნელად ვანო. გაეხარდა.  
ელოდა სანუგეშო სიტყვებს ასეთი დიდი უბედურების  
დროს.

შეცდა.

ვანომ დაავლო ხელი სკამებს და მაგიდას.

— რას შვრები ვანო? დამწვარს კიდევ მდუღარე მე-  
საჭიროება? — ამოიკვნესა არააღამიანური ხმით.

მაგრამ ვანოს არაფერი ახსოვდა ამ წუთებში. ეს უბე-  
დურების მომენტიც მას სურდა გამოეყენებინა თავისი შუ-  
რისძიების გრძნობის დასაკმაყოფილებლად.

— შენ მაინც უნდა მოკვდე, ბებერო. შენ ეხლა მარტო-  
ხელი ხარ და აღარავინ არ გრჩება ამ ქვეყანაზე. მოიტა-  
ოქროს საათი!

მხოლოდ ეხლა ვანომ გაახსენა, რომ ოქროს საათი თან  
არა აქვს და ხანძარის დაწყების დროს დარჩა სახლში, ფან-  
ჯარაზე. უცნაურად აუტოგდა გული რეუბენს, რომ შისი  
საყვარელი საგანი — თან არა პქონდა.

— სახლში დამრჩა, ვანოჯან, თან არა მაქვს.

— სისულელეს ნუ რომავ, ბებერო. მოიტა ეხლავე!  
რეუბენი მუნჯი თვალებით უყურებდა და ვერ გაეგო  
რა უნდოდა გამხეცებულ ვანოს მისგან.

ვანო კი არ სცხრებოდა და უცბად ეტაკა ყელში.

რეუბენის ყვირილზე მოვარდა ხალხი.

შემთხვევით გამორბოდა ლევანი, რომელიც მოწმე გახ-  
და ამ სცენისა. მისმა ახალგაზრდულმა ბუნებამ ვეღარ  
შოთმინა და მაგარი სილა გაჰქრა ვანოს. თან უთხრა:

— საზიზლარო აღამიანო! რამ დაგიბრმავა თვალები?  
ვერა ხედავ, როგორი საშინელი უბედურება აღგია ამ  
ხალხს თავზე? შენ კიდევ ასეთ მომენტში არ გავიწყდება  
შენი სპეცულიანტური ფიქრები და დახმარების მაგიერ —  
ახრჩობ უღონო მოხუცს? როგორა ფიქრობ? ყოველთვის  
ვიქნებით შენს მიმართ ლმობიერნი? კმარა, აივსო მოთმი-  
ნების ფიალა. ჩვენი ხელისუფლება მოვანიჭებს ლირსეულ  
სასჯელს.

და დაუძახა მილიციელს:

— ამხანაგო მილიციელო, წაიყვანეთ ეს მოქალაქე და  
ჩასვით ციხეში. როცა ხანძარს ჩავაჭრობთ, მაგასაც გაუს-  
წორდებით.

ვანო წაიყვანეს. ლევანი კი გავარდა ცეცხლის შუა-  
გულ რაიონში.

რეუბენი ისევ დარჩა მარტო. მაგრამ ვანოსთან შე-  
ხვედრამ მოაგონა მძიმე დანაკლისი. მხოლოდ ეს ერთი  
ნივთი-ლა აკავშირებდა მას თავის სანეტარო წარსულთან.  
და ეხლა ეს ნივთი, დევს ცარიელ ოთხში, ფანჯარაზე,  
რომელსაც მოეკიდება მალე ცეცხლი...

და უცბად რეუბენმა მიატოვა ყველაფერი და გავარდა  
თავის სახლისაკენ. უღონო მოხუცმა უკანასკნელად მოიკ-  
რიბა ძალონე, მიატოვა ყველაფერი და გაიქცა, რათა  
გადაერჩინა ოქროს სათი. ამ აზრით შეპყრობილს აღარ  
ესმოდა არაფერი, არაფრისათვის არ უნდოდა გაეწია ან-

გარიში. თითქოს სიზმარში მას ესმოდა, რომ ჰყვიროდენ  
მის უკან:

— ეინაა ის ბებერი. დაიჭირეთ, არ გაუშვათ...

მაგრამ გვიანდა იყო. რეუბენი უკვე შეეციდა სახლში  
და ხელში აიღო ოქროს საათი, რომელიც ისევ ფანჯარაზე  
იდო. იმავე წუთში ხანძრის უდიდესმა ნაპერწკლებმა ალყა  
შემოარტყეს სახლს და ემუქრებოდენ განალგურებით. გა-  
ვარდენ მაშველი ძალები, მაგრამ ცეცხლი მოეკიდა კიბეს,  
კიბე დაირღვა და შეუძლებელი შეიქნა სახლში შესვლა.

რეუბენი იდგა შუალულ ოთახში, ხელში ეჭირა ოქროს  
საათი, თვალწინ ელანდებოდა ცეცხლის ენები და ესმო-  
და როგორ ჰყვიროდენ გარედ:

— უშველეთ! იწვის მოხუცი...

\* \* \*

\*

მოაღწიეს ქალაქში ახალმა მეხანძრეთა რაზმებმა.

შეიქნა დაუნდობელი ბრძოლა სტიქიისა და ადამიანებს  
მორის.

რაზმელები, არმიელები, მილიციელები, ახალგაზრდე-  
ბი იბრძოდენ როგორც გმირები, როგორც რაინდები. მრა-  
ვალი მათგანი დაშავდა ბრძოლაში, მაგრამ ეს მხოლოდ  
აკაუებდა მათ მიზანს. გააფთრებული, მრისხანე სახეე-  
ბით — მიჰქონდათ იერიშები.

მოეწყო საექიმო პუნქტები. ამუშავდენ წითელი ჯვრის  
თანამშრომლები.

ხელისუფლება შეუდგა ორგანიზაციული დახმარების  
მოწყობას. ხანძრისაგან დაზარალებულნი განაწილებულ  
იქნენ. უდიდეს ნაწილის დახმარებას ხელმძღვანელობდა  
სამკითხველოში — ნეთანელი. თავის ამხანაგებით.

ყველანი მოღიოდენ აქ ამ გაჭირვების ღროს: მოხუცი  
და ახალგაზრდა, კაცი და ქალი, მორწმუნე და ურწმუნო.

მოეწყო დროებითი თავშესაფარები. დაიწყო ცხელი საჭმლის მიწოდება. მთავრობა არაფერს ზოგავდა დახმარებისათვის.

ლამდებოდა. ქარი თითქო ჩადგა, მაგრამ ბოროტი ხანძარი კი ისევ მძვინვარებდა. ბრძოლა გრძელდებოდა.

\* \* \*

\*

რეუბენმა იცოდა, რომ გარედ გასვლა უღარ შეიძლებოდა. ცეცხლმა მოიმწყვდია ჩიხში. კიბე დაირღვა, აიგანს ცეცხლი ეკიდა. გამოსავალი არ იყო. ხედავდა, რომ ცეცხლი მალე შემოვარდებოდა შუაგულ თთახში და მოუღებდა მას ბოლოს.

უაზრო, გამოშტერებული თვალებით ათვალიერებდა ოქროს საათს. ეგონა, ამეტყველდებოდა საათი და მისცემდა ნუგეშს. მაგრამ საათი ჩვეულებრივად სდუმდა, არ მუშაობდა.

სანურავიდან ცეცხლი მოეკიდა ჭერს და შეიჭრა ოთახში. რეუბენი უკვე გაგიჟების პირას იყო. არავითარი იმედი არ ჰქონდა ხსნისა.

ოთახში მძვინვარებდა ცეცხლი, ხოლო რეუბენის თავში — საშინელი კოშმარები.

რეუბენი იდგა ცეცხლისა და კოშმარების ცენტრში.

გარედან, როგორც შორეული ეხო, მას ესმოდა, როგორ ჰყვიროდენ, რომ ამ სახლში იწოდა მოხუცი რეუბენი.

ცეცხლი კი მოიწევდა სულ ახლოს და ახლოს.

მოეკიდა ფანჯრებს, კარებს, იატაქს.

აღარ შეიძლებოდა დეომა.

ცეცხლი სწვდა რეუბენის ძველ ფეხსაცმელებს და გადაეიდა ტანსაცმელზე.

მოეკიდა ცეცხლი ოქროს საათს.

მოეკიდა ცეცხლი რეუბენს.

იწოდა რეუბენი. იწოდა თვალდახუჭული და ოცნე-  
ბობდა მხოლოდ იმაზე, რომ მალე დასრულებულიყო ეს  
საშინელი წამება...

ჯერ კიდევ აზროვნობდა. მაგრამ მის აზროვნებას უც-  
ნაური ხალხი განაგებდა. ამ უცნაურ ხალხს ხელმძღვანე-  
ლობდა ვიღაც ახალგაზდა კაცი: შორეული და იმავე დროს  
ახლობელი.

უცბად თვალი გაახილა და შეხედა პირდაპირ თვა-  
ლებში.

არ სჯეროდა. დახუჭა თვალი და ისევ გაახილა. მის  
წინ იდგა ახალგაზრდა მხესნელი.

ეს არ იყო საშინელი მოჩეუნება. ეს იყო სინამდვილე.

ახალგაზრდამ მაგრად ჩასჭიდა მკლავებში და გაანელა  
ცეცხლის სუსხი.

რეუბენის თვალები გაშტერებით მიაჩერდენ მას.

და უცბად რეუბენის გონებამ შეჰქივლა:

— ლევი!

მხოლოდ ეხლა იცნო ლევიმ თავისი უბედური მამა,  
მაგრამ აღარ იყო გრძნობების დრო. საჭირო იყო მოქმე-  
დება. მეხანძრეთა გმირული დახმარებით, ნახევრად დამ-  
წვარი, ცოცხალმკვდარი რეუბენი გამოყვანილ იქნა გა-  
რედ.

ხანძარი კლებულობდა და ვეღარ უძლებდა ადამიანთა  
თავგანწირულ ნებისყოფას.

საღამოს ჩრდილები გაიფანტენ გელათის ქუჩაზე.

მაგრამ საღლა იყო გელათის ქუჩა?

იყო მხოლოდ ნანგრევები, გადამწვარი და ნახშირად  
ქცეული მიღამო.

ნანგრევებზე იჯდენ და სტიროდენ. ძნელი იყო დანაკ-  
ლისის ანაზღაურება: ეძებდენ ძვირფას არსებებს, რომელ-  
თა პოვნა აღარ შეიძლებოდა. ისმოდა გულსაკლავი მოთქმა  
და გოლება.

მომაკვდავ რეუბენს კვლავ ხელში ეჭირა გაშავებული  
ოქროს საათი, დამწვარი ციფერბლატით და საუკუნოდ  
მოშლილი მექანიზმით.

მიღეული, ღონე მიხდილი თვალებით გასცემროდა გი-  
ლათის ქუჩას და უკვირდა, რომ აღარაფერი იყო.

მის ახლოს კი იჯდა მისი უნცროსი შვილი, რომელიც  
ანუგეშებდა მას:

— არაფერია, მამავ! ჩვენ ამ უბედურებას გადავაქ-  
ცივთ ბედნიერებად. გელათის ქუჩის ნაცვლად ჩვენ გა-  
ვაშენებთ ახალ ქუჩას, ახალ სახლებს. და რასაც ჩვენ გა-  
ვაშენებთ იმას უკვე ცეცხლი ვერ დასწვავს, იმას უკვე  
ხანძარი ვერას დააკლებს...

მომაკვდავი მამა უკანასკნელად გადაეხვია თავის  
შვილს:

— ჩემი დრო გათავდა... მომავალი შენია.

გაუვარდა ოქროს საათი ხელიდან:

რეუბენი გარდაიცვალა.

ლევის გვერდით იდგენ მისი სიყრმის მეგობრები და  
თანამებრძოლები: ლევანი და ნეთანელი.

ორივენი ჰეთიერობდენ ერთსა და იმავეს.

გელათის ქუჩის დასასრულის გენერალურ რეპეტი-  
ციის დროს ახალგაზრდებმა ღირსეულად შეასრულეს თა-  
ვიანთი როლები.

დაღამდა. გადამწვარ ქუჩას გადაეფარა შავი ნისლი.  
ცარიელი სივრციდან დარცხვენილად გამოიყურებოდენ  
ცეცხლის ნაპერწკლები.

მოსკოვი, 1929 წ.

## უმთავრესი შეცდომების გასწორება:

1. გვ. 9, ზეციდან მე-13 სტრ.

სწერია: წადი ამ წუთში ხალხში, ჩაუკეტი თორის და აღარ გა-  
ბედო სკოლაში წასლვა. მაღაზიაცი კი აღარ დავინახო შენი წყე-  
ული სახე.

<sup>1</sup>  
უნდა იყოს: წადი ამ წუთში ხახლში, ჩაუკეტი თორის და აღარ  
გაბედო სკოლაში წასვლა. მაღაზიაცი კი აღარ დავინახო შენი წყე-  
ული სახე.

2. გვ. 12, ზეციდან მე-6 სტრ.

სწერია: ფურმისათვის

უნდა იყოს: ფურმისათვის

3. გვ. 12, ქვემოდან მე-4 და მე-7 სტრ.

სწერია: რევოლუციონური, რევოლუციონურებთან

უნდა იყოს: რევოლუციონური, რევოლუციონურებთან

4. გვ. 13, ზეციდან 17. სტრ.

სწერია: არ დამიერიწყდება.

უნდა იყოს: არ დამაციწყდება

5. გვ. 23, ზეციდან 16 სტრ.

სწერია: ერთხანს გამეფებული მდუმარება ლევიმ დაარ-  
უნდა იყოს: ერთხანს გამეფებული მდუმარება ლევიმ დაარღვეია.

6. გვ. 29, ზეციდან 10 სტრ.

სწერია: გადაიძრო თავის ახალ თბილი პალტო

უნდა იყოს: გადაიძრო თავის ახალი თბილი პალტო

7. გვ. 30, ზეციდან 14 სტრ.

სწერია: და დაობლებულ ორგანზმში

უნდა იყოს: და დაობლებულ ორგანიზმში

8. ପୃ. 30, ଶୈଖମନ୍ଦାନ 9 ଲତା.

ସିନ୍ଧୁରିବା: ଦା ଗ୍ରହମାଘଦେନ

ୟନ୍ଦା ମୂଳବିଷୟ: ଦା ଗ୍ରହମାଘଦା

9. ପୃ. 31, ଶୈଖମନ୍ଦାନ 1 ଲତା.

ସିନ୍ଧୁରିବା: ପ୍ରତିରାତ୍ରିଦିନ ମିଠାପୁରିର ନାମନବିରମିତା ଓ ଜୀବନକୁ ସାବଧାନ...

ୟନ୍ଦା ମୂଳବିଷୟ: ମାଗରୀବ ଯେ ସିଦ୍ଧୁପ୍ରେତି ରୂପଦେବଙ୍କ ଅନ୍ତରେ ବାପୁଗନ୍ଧାନିବ. ମିଠାପୁରାତ୍ରିଦିନ ମିଠାପୁରିର ନାମନବିରମିତା କୁରୁକୁ ସାବଧାନ.

10. ପୃ. 43, ଶୈଖମନ୍ଦାନ 8-11 ଲତା.

ସିନ୍ଧୁରିବା: ଦା ରାତ୍ରିକାଳ ଦାନିଶ୍ଚୟେ ମନୋରୂପି କୁପଲ୍ଲେତ୍ରୀବିଦିଶ „କାନ୍ଦାଗାନ୍ଦିବ“-ସ...

ୟନ୍ଦା ମୂଳବିଷୟ: ଦା ରାତ୍ରିକାଳ ଦାନିଶ୍ଚୟେ ମନୋରୂପି କୁପଲ୍ଲେତ୍ରୀବିଦିଶ „କାନ୍ଦାଗାନ୍ଦିବ“-ସ କାନ୍ଦାଗାନ୍ଦିବ...

11. ପୃ. 44, ଶୈଖମନ୍ଦାନ 7 ଲତା.

ସିନ୍ଧୁରିବା: ରୂପଦେବ ଅନ୍ତରେ ମନୋରୂପି ମନୋରୂପି...

ୟନ୍ଦା ମୂଳବିଷୟ: ରୂପଦେବନି ଅନ୍ତରେ ମନୋରୂପି ମନୋରୂପି...

12. ପୃ. 44, ଶୈଖମନ୍ଦାନ 13 ଲତା.

ସିନ୍ଧୁରିବା: ତାବିଶୁଫ୍ରାଲି ବାପ୍ରିରାବିଦିଶ... ଲ୍ୟେବିଦିଶ... ଜୀବନକୁ ସାବଧାନ...

ୟନ୍ଦା ମୂଳବିଷୟ: ତାବିଶୁଫ୍ରାଲି ବାପ୍ରିରାବିଦିଶ... ଲ୍ୟେବିଦିଶ... ଜୀବନକୁ ସାବଧାନ!

13. ପୃ. 45, ଶୈଖମନ୍ଦାନ 8-3 ଲତା.

ସିନ୍ଧୁରିବା: ଲାମିଶ୍ଵିଦିଲା:

ୟନ୍ଦା ମୂଳବିଷୟ: ଲାମିଶ୍ଵିଦିଲା:

14. ପୃ. 45, ଶୈଖମନ୍ଦାନ 8-11 ଲତା.


ସିନ୍ଧୁରିବା: ମାଶୀବିଦିଶ ମନୋରୂପି ନିଶ୍ଚେଦିବ...

ୟନ୍ଦା ମୂଳବିଷୟ: ମାଶୀବିଦିଶ ମନୋରୂପି ନିଶ୍ଚେଦିବ...

15. ପୃ. 51, ଶୈଖମନ୍ଦାନ 8-3 ଲତା.

ସିନ୍ଧୁରିବା: ଦା ଶୁଦ୍ଧିରୂପରମାତ୍ମା

ୟନ୍ଦା ମୂଳବିଷୟ: ଦା ଶୁଦ୍ଧିରୂପରମାତ୍ମା



2-25

ს. 307  
167

კურთავების ცენტრული ბიბლიოთეკა



K 24.779/2

